N. GIGOLAEVA R. GIORGOBIANI
N. SIRADZE

LINGUA LATINA MEDICINALIS

2007

ნელი გიგოლაევა

რუსუდან გიორგობიანი

ნანა სირაძე

სამედიცინო ლათინური ენა

(სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლებისათვის)

მეოთხე (გადამუშავებული) გამოცემა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
2007

YDK. 807. 1. (038) : 61
გ 475

ISBN 99928-0-383-5

რედაქტორი:

ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
ნოდარ გაფრინდაშვილი

(მეხამე გადამუშავებული გამოცემის)

ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, დოცენტი
ვალერი ასათიანი

(პირველი გამოცემის)

რეცენზენტები:

მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ირინე კვაჭაძე

ფარმაცევტულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ალიოშა ბაკურიძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
მანანა ქუთელია

თსსუ
თბილისი, 2007

წიგნს ვუძღვნით დაუვიწყარი
მეგობრისა და კოლეგის,
შესანიშნავი მთარგმნელის -
მარინე იმნაძის სსოვნას

წინასიტყვაობა
(პირველი გამოცემის)

სახელმძღვანელო განკუთვნილია სამედიცინო პროფილის უმაღლესი სასწავლებლების პირველკურსელთათვის. იგი შედგენილია ლათინური ენისა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლების ახალი პროგრამის გათვალისწინებით. წიგნით სარგებლობა შეუძლიათ აგრეთვე სხვადასხვა ტიპის სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებს, ტერმინოლოგიით დაინტერესებულ ასპირანტებსა და პრაქტიკოს ექიმებს.

სახელმძღვანელოში მოცემული მასალა ისეა შერჩეული, რომ დაეხმარება სტუდენტებს მაპროფილებელი საგნების ათვისებასა და უკეთ შესწავლაში. ლათინური ენისა და სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნა ექიმის პროფესიული მრჩდის საწინდარია და უფრო ნაყოფიერს ხდის მის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. შესავალი;
2. გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია) ანატომიურ და ჰისტოლოგიურ ტერმინოლოგიაზე აქცენტით;
3. ფარმაცევტული ტერმინოლოგია;
4. კლინიკური ტერმინოლოგია;
5. ლათინურ-ქართული და ქართულ-ლათინური ლექსიკონები;
6. დანართი;
7. სარჩევი.

თეორიული და ლექსიკური მასალა დალაგებულია გრამატიკული თემების მიხედვით. შეიცავს ლექსიკურ მინიმუმებს თითოეულ კონკრეტულ თემაზე. გრამატიკული მასალა აღჭურვილია ლათინური გამოთქმებით (რაც ინტელექტის განვითარებას ემსახურება) და სავარჯიშოებით (ცოდნის განსამტკიცებლად).

ანატომიურ-ჰისტოლოგიური ტერმინოლოგია ძირითადად წარმოდგენილია სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში და დალაგებულია გრამატიკული თემების შესაბამისად.

ფარმაცევტული ტერმინოლოგია აგებულია ფარმაკოლოგიური და ქიმიური სახელწოდებების საფუძველზე. წინამდებარე სახელმძღვანელოში პირველად აისახა ორმაგი და კომპლექსური მარილების, ქიმიოთერაპიული საშუალებების, ჰორმონებისა და სხვა

ნაერთების სახელწოდებები, მოცემულია სამკურნალო საშუალებათა ქიმიური და ტრივიალური ნომენკლატურული ერთეულები.

კლინიკური ტერმინოლოგიის დასკვნითი ნაწილი აგებულია ძირითადად პათოლოგიური ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის ტერმინოლოგიის ბაზაზე. სავარჯიშო მასალას წინ უძღვის ბერძნულ-ლათინური პრეფიქსების, სუფიქსების და მაწარმოებელი ტერმინოელემენტების ცხრილი, ხოლო ბერძნულ-ლათინური დუბლეტები მოცემულია არა ზოგადად ლათინურსა და ბერძნულ ენებში მათი ეკვივალენტურობის, არამედ კლინიკურ ტერმინოლოგიაში მათი ადეკვატურობის მიხედვით.

წიგნს დართული აქვს appendix - დანართი, რომელშიც შევიტანეთ არაპროგრამული, მაგრამ სასწავლად სასურველი მასალა: სტუდენტური ჰიმნი "Gaudeamus", ჰიპოკრატეს ფიცი ლათინურ და ქართულ ენებზე, ადაპტირებული სამედიცინო თემატური ტექსტები, ქრისტიანთა მთავარი ლოცვები "Pater noster" და "Ave Maria", აგრეთვე ლათინური სენტენციები და გამოთქმები.

ავტორები მადლიერებით მიიღებენ ყველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებენ მომდევნო გამოცემებში.

ნინასიტყვაობა III გამოცემისათვის

I-II გამოცემიდან განვლილ პერიოდში სახელმძღვანელო ნაყოფიერად დაინერგა, . მივიღეთ მრავალი გამოხმაურება როგორც სპეციალისტთა, ასევე სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთაგან. გვინდა გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ ყველას, ვინც გულისხმიერებით მოეკიდა ჩვენს ნაშრომს და მოგვაწოდა საქმიანი შენიშვნები.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს სახელმძღვანელოს გადამუშავებულ და შევსებულ ვარიანტს. ახალ გამოცემაზე მუშაობისას გავითვალისწინეთ როგორც კოლეგების მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები, ასევე სტუდენტებთან მუშაობის პროცესში წამოჭრილი საკითხები და სათანადო ცვლილებები შევიტანეთ წიგნში. კერძოდ, ცალკეულ გრამატიკულ თემებს დავუმატეთ სავარჯიშო მასალა, საფუძვლიანად გადავამუშავეთ და შევავსეთ ფარმაცევტული ტერმინოლოგიისა და რეცეპტურის ნაწილი, მნიშვნელოვნად გავზარდეთ წიგნზე დართული ლექსიკონი.

კვლავ მადლიერებით მივიღებთ საქმიან შენიშვნებსა და გამოხმაურებებს, რაც დაგვეხმარება სამედიცინო პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში "ლათინური ენისა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლების" სწავლების მეთოდიკის დახვეწაში.

ავტორები

შესავალი

ლათინური ენის მოკლე ისტორია

ლათინური ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს.

ძვ.წ. VIII ს-ში აპენინის ნახევარკუნძულის დასახლებული იყო იტალიკური ტომებით. ესენი იყვნენ: ლატინები, საბინები, ვოლსკები, ოსკები, უმბრები და სხვ. ამ ტომთა შორის ლატინები დანარჩენ ტომებზე ადრე დაწინაურდნენ. ლატინები მოსახლეობდნენ ტიბრის სანაპიროზე, ლაციუმად (Latium) წოდებულ ტერიტორიაზე. მათი სახელწოდება სწორედ აქედან წარმოდგა.

ლატინებმა განავითარეს საქალაქო ცხოვრება, დააარსეს მკვიდრი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი, ქალაქი რომი (754-753 წწ. ქრ.- მდე), რომლის გარშემოც გააერთიანეს სხვა იტალიკური ტომები, საკმაოდ ადრე შექმნეს ანბანი და საკუთარი დამწერლობა, ლატინთა ეკონომიკურსა და კულტურულ-პოლიტიკურ დაწინაურებას ხელი შეუწყო, უპირატესად, სამმა გარემოებამ:

1. იტალიკური ტომების მოსვლამდე აპენინის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ მაღალი კულტურის მქონე არაინდოევროპული ტომები, კერძოდ, ეტრუსკები, რომელთა სამფლობელოები ძვ.წ. VIII-VII სს-ში უშუალოდ ესაზღვრებოდა ჩრდილოეთ ლაციუმს. მოსულმა იტალიკურმა ტომებმა დაამარცხეს არაინდოევროპული ტომები (ეტრუსკები) და მათი კულტურული მონაპოვრების გავლენით შექმნეს თავიანთი კულტურა და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ეტრუსკების მონაწილეობა რომაული სახელმწიფოებრიობის შექმნაში დღეს მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია.

2. გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ლაციუმს, რომ ადრე ბიარებოდა ბერძნულ კულტურას, რომელიც სამი გზით შედიოდა ლაციუმში: ა) ეტრუსკების მეშვეობით, ბ) საკოლონიზაციო მიზნებით მიმავალი ბერძნების დასადგურებით ლაციუმის ნავსადგურებში და გ) ადრიატიკის ზღვასა და ლაციუმს შორის მდებარე უმბრიის გზით.

3. ბერძნების წყალობით ლატინებმა უკვე ძვ.წ.VIII ს-ში ჩამოაყალიბეს ანბანი და ადრევე შექმნეს საკუთარი დამწერლობა, რომელიც ძვ.წ. V ს-ის წინა ხანებიდან წარმოდგენილია სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტებით. ძვ.წ. VIII საუკუნიდანვე რომმა უპირატესობა მოიპოვა მეზობელ ქვეყნებზე და ლატინთა ძალაუფლება თანდათან გავრცელდა მათ ტერიტორიებზეც.

ძვ.წ. VII-IV საუკუნეებში რომაელებმა დაიპყრეს აპენინის ნახევარკუნძულის როგორც ჩრდილოეთი, ასევე სამხრეთი ნაწილი, რომელიც ბენძნული კოლონიებით იყო მოფენილი და რომელსაც Ma-

gna Graecia (დიდი საბერძნეთი) ეწოდებოდა. ლატინთა გამარჯვებას თან სდევდა ლათინური ენის გავრცელება მთელ აპენინის ნახევარკუნძულზე, რის შედეგად დაითრგუნა ადგილობრივი ენები.

მას შემდეგ, რაც რომის გარშემო გაერთიანდა მთელი აპენინის ნახევარკუნძული, რომის სახელმწიფო დაუპირისპირდა კართაგენს, რომელიც მანამდე წარმართავდა ალებმიცემობას ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამგვარად, ძვ.წ. III ს-დან რომაელებს უხდებოდათ შეტაკება კართაგენის ძლიერ სახელმწიფოსთან. იწყება ე. წ. პუნიკური ომები (ძვ.წ. 264-140 წწ). ეს ომებიც რომაელების გამარჯვებით დამთავრდა. ძვ.წ. 148 წ. რომაელებმა დაიპყრეს მაკედონია, ხოლო 146 წ. - საბერძნეთი.

ძვ. წ. II ს-ის დასაწყისიდან ლათინური ენა ვრცელდება აპენინის ნახევარკუნძულის გარეთაც, რადგან ამ დროისათვის რომის სახელმწიფო გაბატონდა მთელ რიგ ქვეყნებზე. ამ ხანისათვის მას დაპყრობილი ჰქონდა უძველესი კულტურის სახელმწიფოები: საბერძნეთი, კართაგენი, ეგვიპტე, აგრეთვე აფრიკის, აზიისა და ევროპის ტომები. მაგრამ აღმოსავლეთ საბერძნეთში, აზიურ პროვინციებსა და ეგვიპტეში ისე მტკიცედ იყო დამკვიდრებული ბერძნული ენა, რომ ლათინურმა ენამ მისი გამოდევნა ვერ შეძლო. ამიტომ აქ ფეხი მოიკიდა ბილინგვიზმმა - ორენოვანმა სისტემამ (ლათ. bi - ორი, lingua - ენა).

აღმოსავლეთში რომი შეეჯახა მაღალ ელინურ კულტურას და განიცადა მისი გავლენა როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ ამ გავლენის შედეგად ლათინურ ენაში შევიდა მრავალი ბერძნული სიტყვა, ე. ი. მოხდა მათი გალათინურება.

უკვე ძვ.წ. II ს-ის შუა წლებიდან იბადება უკმაყოფილება რომის დაპყრობითი პოლიტიკით, რის გამოც იწყება სოციალური ბრძოლები, სამოქალაქო ომები და მონათა აჯანყებები: სიცილიის მონათა აჯანყებები, სამოკავშირეო ომი, სულას დიქტატურა, მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით, კატილინას შეთქმულება, I ს-ის მიჯნაზე წარმოებს სამოქალაქო ომი იულიუს კეისარსა და პომპეუსს შორის. ყველა ამ მიზეზის გამო რომის ძლიერება თანდათან სუსტდება.

ლათინური ენის განვითარებაში გამოყოფენ შემდეგ პერიოდებს:

1. არაბული (ძვ.წ. III-IV სს) ანუ კლასიკურამდელი პერიოდის ლათინური;

2. ოქროს ხანის (ძვ.წ. I ს.-ახ.წ. I ს) ანუ კლასიკური პერიოდის ლათინური;

3. ვერცხლის ხანის (ახ.წ. II ს) ანუ გვიანკლასიკური ხანის ლათინური;

4. გვიანი ხანის ლათინური (ახ.წ. III-VI სს.).

ლათინური ენის ადრეული წერილობითი წყაროები თარიღდება ძვ.წ.

VII-V საუკუნეებით, მაგრამ III საუკუნიდან უფრო მრავლად მოიპოვება ლათინური წერილობითი ძეგლები. არქაული პერიოდის ლიტერატურული ლათინურის უდიდეს წარმომადგენლად ითვლება ძველი რომაელი კომედიოგრაფი პლავტე (ძვ.წ. 254-184 წწ). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მისი ენის ფონეტიკური წყობა მნიშვნელოვნად უახლოვდება კლასიკური ლათინურის ნორმებს.

კლასიკური ლათინური (sermo classicus) არის ლიტერატურული ენა, რომელმაც მედმიწევნით გამომსახველობასა და სინტაქსურ დახვეწილობას მიაღწია ციცერონის (ძვ.წ. 70-19 წწ.) და კეისრის (ძვ.წ. 100-44 წწ.) პროზაულ თხზულებებში და ვირგილიუსის (ძვ.წ. 106-43 წწ.), ჰორაციუსის (ძვ.წ. 65-8 წწ.) და ოვიდიუსის (ძვ.წ. 43 წ.-ახ.წ. 18 წ.) პოეტურ ნაწარმოებებში.

კლასიკური ლათინურისაგან გამოყოფენ რომაული მხატვრული ლიტერატურის კლასიკურის შემდგომი ანუ გვიანკლასიკური ხანის ენას. ამ პერიოდში მოღვაწეობენ სენეკა, ტაციტუსი, იუვენალი, მარციალი, პეტრონიუსი, აპულეუსი.

გვიანი ხანის ლათინური არის გვიანი იმპერიისა და მისი დაცემის შემდეგ "ბარბაროსულ" სახელმწიფოთა წარმოშობის ეპოქა. ამ პერიოდში ლათინური ენა ივსება პროვინციალიზმებით, ბარბარიზმებით. ამ ეპოქის მწერლები არიან: ამიანე მარცელინუსი და ქრისტიანი ავტორები.

ენის განვითარების ყველა ეტაპზე ლიტერატურული ლათინურის პარალელურად არსებობდა სალაპარაკო ენა, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ჯგუფად იყოფოდა: განათლებულ რომაელთა სალაპარაკო ენა - sermo cotidianus, დაბალი ფენის (პლებეათა) ენა - sermo plebejus. სოფლის მოსახლეობის ენა - sermo rusticus და პროვინციათა მოსახლეობის ენა sermo peregrinus.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ რომმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა, მაგრამ ამით ლათინური ენის მნიშვნელობა არ შემცირებულა. ის გახდა რომანული ენების საფუძველი. სალაპარაკო ლათინური ენის შერწყმით ადგილობრივ ენებთან წარმოიშვა იტალიური, ფრანგული, პროვანსიული, ესპანური, გალისიურ-პორტუგალიური, რეტორუმინული, რუმინული და სხვა ენები. გარდა ამისა, ლათინური ენა XVIII ს-მდე ისმარებოდა მეცნიერებასა და ლიტერატურაში, იურისპრუნდეციასა და საგარეო ურთიერთობაში, ისწავლებოდა სკოლებსა და უნივერსიტეტებში და კათოლიკურ ეკლესიებში.

შუა საუკუნეებში მთელი ცენტრალური და დასავლეთი ევროპა კათოლიკური აღმსარებლობისა იყო. კათოლიკურ ეკლესიებში წირვა მიმდინარეობდა ლათინურ ენაზე, ეროვნულ ენაზე მხოლოდ ქადაგებას ისმენდა მრევლი. რადგან ლათინური საეკლესიო ენა იყო, განათლებისა და მეცნიერების ენად იქცა. შუა საუკუნეების იდეალად

ითვლებოდა vir trilingualis - კაცი, რომელმაც იცოდა საღმრთო წერილის სამივე ენა: ივრითი, ბერძნული და ლათინური*

შუა საუკუნის ფილოსოფოსები და მეცნიერები თავიანთ შრომებს წერდნენ ლათინურ ენაზე. ევსტაქიუსი (1501-1574), მიგელი სერვეტი (გარდ. 15 წ.), უილიამ ჰარვეი (1578-1667), ბოტანიკოსი კარლოს ლინეი (1707-1778), რუსი სწავლული ლომონოსოვი (1711-1765), მეანი და ბოტანიკოსი მაქსიმოვიჩი-ამბოდიკი (1744-1812), მიკროსკოპისტი-ჰისტოლოგი გუბლიანსკი (1748-1795), დიდი რუსი ქირურგი პიროგოვი (1801-1881) და მრავალი სხვ.

ამჟამად ლათინური და ძველი ბერძნული ენები ითვლება "მკვდარ" ენებად, ვინაიდან ამ ენებზე აღარ ლაპარაკობენ. მიუხედავად ამისა, აღორძინების ეპოქიდან მოკიდებული ლათინური და ძვ. ბერძნული ენების საფუძველზე იქმნებოდა და ვითარდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგია, მრავალ ევროპულ ენაში დამკვიდრდა ლათინური წარმოშობის სიტყვები: კონსტიტუცია, რეფორმა, რესპუბლიკა, იმპერია, დემონსტრაცია, დეკრეტი, დიქტატურა, რევოლუცია... კონფერენცია, კონგრესი, აგენტატი, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, ლაბორატორია, აუდიტორია... კულტურა, ლიტერატურა, რეალიზმი, სენტიმენტალიზმი, არტისტი, ინსტრუმენტი, სოლისტი, კონსტრუქცია, კორპუსი, ტრანსლაცია, რადიო და მრავალი სხვ.

ამჟამად ვატიკანში გამოდის ლათინური ჟურნალი Vox Latina, რომელშიც სისტემატურად იბეჭდება პრობლემური სტატიები თეოლოგიისა და პოლიტიკის სფეროდან.

ევროპული მედიცინა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, წარმოიშვა საბერძნეთში. სამეცნიერო მედიცინას საფუძველი ჩაუყარა ძველი საბერძნეთის დიდმა ექიმმა და მოაზროვნემ - ჰიპოკრატემ (ძვ.წ. 460-370 წწ.). ბუნებრივია, რომ სამედიცინო ტერმინოლოგიის მთელი სისტემა თავდაპირველად ბერძნული იყო. შემდგომ განსაკუთრებული წვლილი სამედიცინო დარგისა და მეცნიერების განვითარებაში შეიტანეს ალექსანდრიული სკოლის (ეგვიპტე) ექიმებმა პეროფილოსმა (ძვ.წ. IV ს.) და ერასისტრატოსმა (ძვ.წ. IV-III სს.).

სამედიცინო მეცნიერების შემდგომი განვითარების და ტერმინოლოგიის ლათინურ ენაზე დამუშავებისათვის უდიდესი ღვაწლი გასწია რომაელმა სწავლულმა ექიმმა - ავლუს კორნელიუს ცელსუსმა (ძვ.წ. I ს-ის დასასრულს - ახ.წ. I ს-ის I ნახევარი),

---

იბეზცეცჩ ძიკიიზნა დცშბნაბ ძა იიზლაბზბცეც ცცოიზეცნაბაბ*
(ბიელიზაიბ ,ბპიტბცეგიბ ,ბიიბნცლაოკ ,ბიცილაოთ ,ცშცნ ,ბკიაჩცეც)
ბიცჩნ ნოგიბი ჟეცბოშპ ძა შბიიბ ძიბოლაბეცბაბსპბ იიზცილაოთბკ
ოდიშნლეძბაბ ძიბეზცეცჩ ნბ ძკიიზნბ იიზშიიბძლა ძუიშბაბ ნბ ძიკიიზნბ
ილეცგბაბიდ ძა იიზლიაბცეგბაბიბ ,იიზშიბნაჩ :ბიბეზჩ

რომელმაც შექმნა ნაშრომი "მედიცინის შესახებ (De medicina). სწორედ კორნელიუს ცელსუსმა დაამკვიდრა რომაულ მედიციინაში ლათინური სახელწოდებები ტრადიციული ბერძნული ტერმინების პარალელურად და წარმოაჩინა ლათინურის - როგორც მეცნიერებისა და ტერმინოლოგიური ენის შესაძლებლობა.

ანტიკურობის გამოჩენილი ექიმი იყო კლავდიუს გალენუსი (131-201 წწ.), რომლის სახელსაც უკავშირდება გალენური პრეპარატები. საშუალო საუკუნეებში მედიცინის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არაბმა სწავლულებმა. კერძოდ, აღმოსავლეთის დიდმა ექიმმა და მოაზროვნემ იბნ სინამ (980-1037 წწ.), რომლის ძირითადი ნაშრომი არაბულიდან ლათინურად ჯერ კიდევ XII საუკუნეში ითარგმნა და მთელ დასავლეთში ფართოდ გახდა ცნობილი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის განვითარების ახალი ეტაპი დაკავშირებულია აღორძინების ეპოქასთან (XIV-XVI სს.). XVI საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ანდრე ევზალიუსი - ანატომიის უდიდესი რეფორმატორი. ავტორი თხზულებისა "ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ". სწორედ აღორძინების ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე მეცნიერულ სამედიცინო ტერმინოლოგიას.

ჩვენს სინამდვილეში ძველი ბერძნული და ლათინური ენები არის ის ბაზისი, რომელზეც იგება ახალი და იხვეწება უკვე არსებული და დამკვიდრებული სამედიცინო ტერმინები.

მედიცინის ერთიანი და მუდმივად განახლებადი ბერძნულ-ლათინური ტერმინოლოგია ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის სწავლულ მედიკოსთა სამეცნიერო ურთიერთობებს. ანატომიური ნომენკლატურის უნიფიცირების მიზნით, არაერთხელ ჩატარდა ანატომთა საერთაშორისო კონგრესი. 1895 წელს ბაზელში (შვეიცარია) პირველად დამუშავდა ერთიანი ანატომიური ნომენკლატურა (RNA - Baseliana Nomina Anatomica). მომდევნო ნომენკლატურული კონგრესი ჩატარდა იენაში (გერმანია) 1935 წელს. ამ კონგრესზე მიიღეს ანატომიურ ტერმინთა ახალი სია, რომელიც ლიტერატურაში შევიდა იენის ანატომიური ნომენკლატურის სახელით (INA - Ieniana Nomina Anatomica). 1955 წელს პარიზში ჩატარდა ანატომების საერთაშორისო კონგრესი. პარიზის კონგრესზე მიღებულმა ანატომიურ ტერმინთა სიამ (PNA - Parisiana Nomina Anatomica) ოფიციალური საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ხოლო ნიუ-იორკში 1960 ცელს ჩატარებულმა ანატომების VII საერთაშორისო კონგრესმა მიიღო PNA-ს შესწორებები.

ანატომთა VIII ინტერნაციონალურ კონგრესზე ვისბადენში (გერმანია) მიიღეს 1000 ტერმინის შესწორება და შეიტანეს Nomina Anatomica-ში.

1970 წელს ანატომების, ჰისტოლოგებისა და ემბრიოლოგების IX საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც ჩატარდა ლენინგრადში, მიიღეს საერთაშორისო ჰისტოლოგიური ნომენკლატურა.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სისტემატიურად მუშავდება და გამოიცემა საერთაშორისო ფარმაკოპეა - **Pharmacopoea internationalis**, რომელშიც ყოველ წამალს აქვს საერთაშორისო ლათინური სახელწოდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამედიცინო ტერმინები - ანატომიური, კლინიკური, ფარმაცევტული - უმეტეს შემთხვევაში ლათინურ-ბერძნული წარმოშობისაა. ამიტომ, ბუნებრივია, სამედიცინო განათლება წარმოუდგენელია ამ ენების საფუძვლების ათვისების გარეშე.

შესასწავლ სამედიცინო ტერმინოლოგიას სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგი სახით:



**PNA-ს ტერმინები გამოიყენება ადამიანის ნორმალური ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის სასწავლო დისციპლინებში.*

§1. ლათინური ანბანი

1	ბეჭდური		სახელწოდება		გამოთქმა
1	A	a	a	ა	ა
2	B	b	be	ბე	ბ
3	C	c	ce	ცე	კ, ც
4	D	d	de	დე	დ
5	E	e	e	ე	ე
6	F	f	ef	ეფ	ფ
7	G	g	ge	გე	გ
8	H	h	ha	ჰა	ჰ
9	I	i	i	ი	ი
	J	j	iot	იოტ	ი
10	K	k	ka	კა	კ
11	L	l	el	ელ	ლ
12	M	m	em	ემ	მ
13	N	n	en	ენ	ნ
14	O	o	o	ო	ო
15	P	p	pe	პე	პ
16	Q	q	qu	ქუ	ქ
17	R	r	er	ერ	რ
18	S	s	es	ეს	ს, ზ
19	T	t	te	ტე	ტ, ც
20	U	u	u	უ	უ
21	V	v	ve	ვე	ვ
22	X	x	ix	იქს	ქს
22	Y	y	ypsilon	იფსილონ	ი
24	Z	z	zet	ზეტ	ზ, ც

ლათინურანბანისაფუძვლადდაედოეტრუსკულიდაძვ.ბერძნულიენისანბანი.ძვ.წ. I საუკუნემდელლათინურიანბანი21ასოსშეიცავდა.შემდგომდაემატაy(იფსილონი)და z(ზეტი),რომლებიცბერძნულიდანშეთვისებულსიტყვებშიიხმარებოდა.

u კლასიკურლათინურშიაღნიშნავდასმოვაენასაც(უ)დათანხმოვანსაც(ვ). მოგვიანებითთანხმოვნისაღსანიშნავადშემოიღესგრაფიკული ნიშანი v.

§2. ხმოვანთა გამოთქმა. დიფთონგები

ლათინურ ენაში ექვსი ხმოვანია a, e, i, o, u, y. ისინი გამოითქმის როგორც ქართული ბგერები "ა", "ე", "ი", "ო" და "უ".

მარტივი ხმოვნების გარდა ლათინურში გვხვდება დიფთონგები, ანუ ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად მიღებული კომპლექსები. დიფთონგის შემადგენელი ორი ხმოვანი ერთ მარცვალს ქმნის. დიფთონგი გამოითქმის ან როგორც ერთი გრძელი ხმოვანი, ან გრძელი და მოკლე ხმოვნის ერთობლიობა.

ლათინურში 4 დიფთონგი არსებობს (ae, oe, au, eu).

როგორც ერთი გრძელი ხმოვანი გამოითქმის:

ae - ე -	vertebrae -	(ვერტებრე)	- მალები
	costae -	(კოსტე)	- ნეკნები
	haema -	(ჰემა)	- სისხლი
oe - ე -	oedema -	(ედემა)	- შეშუპება
	lagoena -	(ლაგენა)	- ბოთლი
	oesophagus -	(ეზოფაგუს)	- საყლაპავი*

როგორც გრძელი და მოკლე ხმოვნების ან ხმოვნის და ვ თანხმოვნის ერთობლიობა გამოითქმის:

āŭ - აუ (ავ) -	Aurum -	(აურუმ)	- ოქრო
	auris -	(აურის)	- ყური
ēŭ - ეუ (ევ)-	Europa -	(ევროპა)	- ევროპა
	Eucalyptus	(ევკალიპტუს)	- ევკალიპტი (მც).

როდესაც ამ ხმოვანთა მეზობლობა არ ქმნის დიფთონგს, მაშინ დიფთონგის მეორე ხმოვანს (e) თავზე მოუდის ორი წერტილი.

მაგ.:	Aloë – (ალოე)	- ალოე (მც.)
	aër - (აერ)	- ჰაერი.

**თანამედროვე ანატომიურ ნომენკლატურაში გამარტივებული სახით იწერება - esophagus.*

§3. თანხმოვანთა გამოთქმა

c ასო კლასიკურ ლათინურში გამოითქმოდა როგორც "კ".

გვიანდელი წყაროებით c ასო იკითხება როგორც "კ" ან "ც". "c" გამოითქმის როგორც "ც" იმ შემთხვევაში, თუ მას მოჰყვება "i" ან "e" ბგერები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში c გამოითქმის როგორც "კ".

C +	i, y, j, e, ae, oe	=	ც
	a, o, u, თანხმოვნის წინ ან ხიტყვის ბოლოს		კ

cor (ლათ.)
[კორ]
lac (ლათ.)
[ლაკ]
cellula (ლათ.)
[ცულულა]
cito! - სწრაფად
[ციტო]
coccygea - კუდუსუნის
[კოკციგეა]
cutis (ლათ.)
[კუტის]
cervicalis - კისრისა
[ცერვიკალის]

cardia - (ბერძნ.) გული
[კარდია]
galactos - (ბერძნ.) რძე
[გალაკტოს]
cytuś - (ბერძნ.) უჯრედი
[ციტუს],
Caesar - კეისარი
[ცეზარ]

derma - (ბერძნ.) კანი
[დერმა]

g-ს მართლწერა უნდა განვასხვავოთ q-სგან და ყოველთვის გარკვევით ვწეროთ.

დავიმახსოვროთ g ≠ q

g ყოველთვის გამოითქმის როგორც "გ".
ganglion - ნერვული კვანძი
[განგლიონ]

gu გამოითქმის როგორც "გუ".
gutta - წვეთი
[გუტა]
angustus - ვიწრო, წვრილი
[ანგუსტუს]
gummi - გუმფისი (ხის წებოვანი გამონაყოფი)
[გუმი]

ngu + ხმ. = ნგვ

unguentum - მალამო
[უნგვენტუმ]
sanguis (ლათ.) სისხლი (ბერძნ. **haema**)
[სანგვის] [ჰემა]
unguis - ფრჩხილი
[უნგვის]
Lingua Latina - ლათინური ენა
[ლინგვა ლატინა]

k ასო ლათინური სიტყვების მართლწერაში არ გამოიყენება. ლათინური "კ" ბგერა ყველგან c ასოთი გამოიხატება. ბერძნული "კ" ბგერა ლათინურში ჩვეულებრივ c ასოთი გადმოდის და იკითხება როგორც "კ", ხან "ც".

მაგ.: **cardia** [კარდია] - გული
cytus [ციტუს] - უჯრედი

პირველ შემთხვევაში c გამოითქმის "კ", მეორეში კი "ც".

k ასო ბერძნული წარმომავლობის სიტყვებში მაინც გვხვდება:
kyphosis - ხერხემლის გადახრა, **kakos** - ცუდი, **kinesis** - მოძრაობა.

k-ს ბერძნული სიტყვების მართლწერაში გამოყენების გარკვეული კანონზომიერებები აღინიშნება:

leucos - [ლევკოს] - თეთრი
leucocytus - [ლევკოციტუს] - ლევკოციტი
leucoderma - [ლევკოდერმა] - კანის პიგმენტაციის დარღვევა
leucosis - [ლევკოზის] - ლევკოციტების სიჭარბე

მაგრამ: **leukaemia** [ლევკემია] - სისხლის გათეთრება.
ტერმინოელემენტები **leuc** თეთრი ყოველთვის უნდა ჟღერდეს როგორც "ლეუკ", ამიტომ c-ს ნაცვლად ამ უკანასკნელ შემთხვევაში იწერება k.

ასევე **glyc** - ტკბილი, შაქარი
glykaemia - შაქრის არსებობა სისხლში.

k გვხვდება არაბული ენიდან შემოსული სიტყვებშიც:

Kalium - კალიუმი
kefir - კეფირი

k გამოიყენება თანამედროვე ევროპული ენებიდან შემოსული სიტყვების მართლწერაში: **Wilkinson** - ვილკინსონი.

აქვე შევნიშნავთ, რომ W ლათინურ ანბანში არ გვხვდება.

ლათინურ სიტყვებში "ვ" ბგერა იწერება V ასოთი. W გამოიყენება მხოლოდ თანამედროვე ევროპული ენებიდან შემოსული სიტყვების, ძირითადად გვარების სწორად გადმოცემის მიზნით.

L კლასიკურ ლათინურში გამოითქმოდა როგორც მაგარი "ლ", გვიანდელ ლათინურში კი იგი ისე რბილად გამოითქმის, როგორც მეგრული "ლ" ან რუსული "ль". მაგ.: **collum** - ყელი, **lumbus** - წელი.

p გამოითქმის როგორც ქართული "პ" და არა როგორც გერმანული ან ინგლისური p.

caput [კაპუტ] - თავი.
patella [პატელა] - კვირისტავი.

q ასო გვხვდება მხოლოდ u ხმოვანთან ერთად და მასაც აუცილებლად უნდა მოსდევდეს რომელიმე ხმოვანი. ხმოვნის წინ qu იკითხება როგორც "ქვ".

qu + ხმ. = ქვ

Quercus	[ქვერკუს] - მუხა
quadratus	[ქვადრატუს] - კვადრატული
aqua	[აქვა] - წყალი
quinque	[ქვინქვე] - ხუთი
obliquus	[ობლიქვუს] - ირიბი
squama	[სქვამა] - ქიცვი

s კლასიკურ ხანაში მხოლოდ "ს"-დ გამოითქმოდა. გვიანდელი ტრადიციით კი ორ ხმოვანს შორის მოქცეული s "ზ"-დ იკითხება.

ხმოვანი + s + ხმოვანი = ზ

incisura	[ინციზურა] - ნაჭდევი
spinosus	[სპინოზუს] - წვეტიანი
neurosis	[ნეუროზის] - ნევროზი

გარდა ამისა, თუ s-ს უსწრებს ან მოსდევს m ან n და ორივე თანხმოვანი მოქცეულია ხმოვნებს შორის, s მაშინაც იკითხება "ზ"-დ.

ხმოვანი + (m, n) s + ხმოვანი = ს

mensis	[მენზის] - თვე
sensus	[სენზუს] - გრძნობა

ხმოვანი + s (m, n) + ხმოვანი = ს

organismus	[ორგანიზმუს] - ორგანიზმი
neoplasma	[ნეოპლაზმა] - ახალი წარმონაქმნი

t გამოითქმის როგორც ქართული "ტ" და არა გერმანული ან ინგლისური t.

truncus	[ტრუნკუს] - ტანი, ღერო
costa	[კოსტა] - ნეკნი
vertebra	[ვერტებრა] - მალა

ti გამოითქმის როგორც "ტი".

tinctura	[ტინკტურა] - ნაყენი
tibia	[ტიბია] - წვივის დიდი ძვალი

მაგრამ პოზიციაში ti + ხმ, ti გამოითქმის როგორც "ცი", თუ მას წინ არ უსწრებს s, x, t.

ti + ხმ. = ცი	s, x, t + ti + ხმ. = ტი

solutio	[სოლუციო] - ხსნარი
articulatio	[არტიკულაციო] - სახსარი
mixtio	[მიქსტიო] - შერევა
bestia	[ბესტია] - ნადირი, მხეცი

"ვ" ბგერა ლათინურში v ასოთი გადმოიცემა:

verus	[ვერუს] - ნამდვილი
vertebra	[ვერტებრა] - მალა
vesica	[ვეზიკა] - ბუშტი
vena	[ვენა] - ვენა

x რთული თანხმოვანია. იკითხება როგორც "ქს". უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლათინურში არასოდეს არ იწერება

შემდეგი ასოთშეთანხმებები: cs, ks, gs, qs - ამათ ნაცვლად გამოიყენება ასო x.

Xeroformium	(ქსეროფორმიუმ) - ქსეროფორმი
radix	(რადიქს) - ფესვი
apex	(აპექს) - მწვერვალი
mixtura	(მიქსტურა) - ნარევი
coccyx	(კოკციქს) - კუდუსუნი

z ლათინურ ანბანში შემოიტანეს ბველი ბერძნული "ბ" ბგერის გადმოსაცემად, რომელსაც ბერძნულ ანბანში ძეტა გამოხატავდა. ლათინურში "ბ"-ს ნაცვლად გამოითქმის "ზ".

zona	(ზონა) - სარტყელი
zygoma	(ზიგომა) - ყვრიმალი
zygomaticus [ზიგომატიკუს]	- ყვრიმალისა

სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებში z იკითხება როგორც "ც".

Zincum (გერმან.) - თუთია
[ცინკუმ]

§4. Y-ის მართლწერის წესები

ბველ ბერძნულ ენაში ორი განსხვავებული ხმოვანია (იოტა და იფსილონი), რომლებიც ლათინურში "i"-დ გამოითქმის. მიუხედავად იმისა, რომ ლათინურ გამოთქმაში ეს ხმოვნები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ლათინური მართლწერა იცავს ბერძნული ორთოგრაფიის ტრადიციებს და იოტა გამოისახება i, ხოლო იფსილონ y ასოთი.

ბერძნული "ი" ბგერა (იოტა) ლათინურში i ასოთი გადმოდის.

მაგ.:	**cardia**	[კარდია] - გული
	heliotherapia	[ჰელიოთერაპია]-მზის სხივებით მკურნალობა
	basis	[ბაზის] - ფუძე
	dosis	[დოზის] - ულუფა

ბერძნული "u" ასო, რომელიც დაახლოებით ისე გამოითქმოდა, როგორც გერმანული "ü" ბველი ქართული ვ, ლათინურში გადმოდის იფსილონით - y.

ზოგჯერ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცალკეული სიტყვების მართლწერაში გამოიყენება ასო y.

მაგ.: coccyx - კუდუსუნი
zygoma - ყვრიმალი
crystallus - კრისტალი
tympanum - დაფა
Eucalyptus - ევკალიპტი
Hyoscyamus - ლენცოფა
typhus - ტიფი
larynx - ხორხი

მაგრამ ცალკეული სიტყვების დასწავლით, "იფსილონ"-ის მართლწერას ვერ დავძლევთ. სამედიცინო ტერმინოლოგიაში ხშირად გვხვდება ბერძნული პრეფიქსები, ფუძეები თუ ძირები, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვთ მაშინაც კი, როდესაც რთული სამედიცინო ტერმინის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. მათ ტერმინოელემენტებს უწოდებენ. y-ის შემცველი ტერმინოელემენტების შესწავლით ბევრად მეტი ტერმინის სწორად წერასა და დასწავლას შევძლებთ. ქვემოთ მოცემულია ტერმინოელემენტების სია, რომელთა მართლწერაში გამოყენებულია y.

ტერმინო - ელემენტი	მნიშვნელობა	მაგალითები
cycl	წრე, ციკლი	Tetracyclinum, Cyclophosphanum
cyst	ბუშტი	cystitis, cholecystitis
cyt	უჯრედი	cytologia, leucocytus, cytodiagnostica
dys (წინს.)	ფუნქციის მოშლა	dystrophia, dysuria
erythr	წითელი	erythrocytus, erythema
hydr	წყალი	Hydrogenium, Hydrargyrum
hypo (წინს.)	ქვემოთ, ნორმაზე ნაკლები	hypotonia, hypoglossus, მაგრამ - Hippocrates*
hyper (წინს.)	ზემო, ნორმაზე მაღი	hypertonia, hyperthermia
lys	დაშლა, რღვევა	thrombolysis, analysis, haemolysis
myo	კუნთი	myologia, myocardium

*ჰიპოკრატე - ძვ. ბერძენი ექიმი, ანტიკური მედიცინის რეფორმატორი

mycosis	სოკოვანი დაავადება	stomatomycosis, dermatomycosis
mycinum	ანტიბიოტიკები სტრეპტომიცინის ჯგუფისა	streptomycinum, biomycinum
mycetinum	ანტიბიოტიკები ლევომიცეტინის ჯგუფისა	laevomycetinum, eulaevomycetinum
oxy	ჟანგბადი	Oxygenium, oxydum, peroxydum
pyo	ჩირქი	pyosis, pyothorax
pyr	სიცხე	amidopyrinum, pyramidonum, მაგრამ- aspirin*
poly (წინს.)	მრავალი	polydactylia, polyarthritis, მაგრამ poliomyelitis**
phys	ბუნებრივი	physiologia, hypophhsis. physiotherapia
syn (წინს.)	შეერთება, ზრდა	synthesis, synchondrosis, syndactylia
yl	ნივთიერება	Methylium, Aethylium, amylum

*ეს უკანასკნელი ლათინური სიტყვისაგან (asper) წარმოდგება.
**polios (ბერძნ.) - ნაცრისფერი, რუხი.

§5. დიგრაფები

ზოგიერთი ბერძნული თანხმოვანი ბგერის გადმოსაცემად ლაოინურ ენაში გამოიყენება ასოთშეთანხმებები, რომელთაც დიგრაფები ეწოდება. დიგრაფი, როგორც სახელწოდება მიუთითებს, იწერება ორი ასოთი, მაგრამ ერთ ბგერად გამოითქმის. ეს ასოთშეთანხმებები ლათინური სიტყვების მართლწერაში არ გამოიყენება. განვიხილოთ ისინი.

დიგრაფი	გამოთქმა	მაგალითები
ch	ხ	Brachium - მხარი antebrachium - წინამხარი
th	თ	thrombosis - თრომბოზი thorax - გულმერდი
ph	ფ	Phosphorus - ფოსფორი phalanx - ფალანგა
rh	რ	rheumatismus - რევმატიზმი rhomboideus - რომბისებრი

ch-ს ქართულში შეესატყვისება "ქ".

მაგ: bronchus - ბრონქი
Chlorum — ქლორი
chirurgus - ქირურგი

ch დიგრაფი ხშირად გვხვდება s-ს მემობლად. sch კომპლექსი ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში იკითხება სხ-დ, ხოლო სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებში შ-დ.

მაგ: schela [სხოლა) - სკოლა
schema [სხემი] (ბერძნ.) - სქემა
Leischmania [ლეიშმანია] (გერმ.) - ლეიშმანია
(გერმანელი მეცნიერის გვარის მიხედვით)

მაგრამ თანამედროვე ევროპული ენების გავლენით sch შ-დ გამოითქმის ბერძნული წარმოშობის სიტყვებშიც.

ischiadicus [იშიადიკუს] (ბერძნ.) - საჯდომის.

ph-ს ქართულში შეესატყვისება "ფ", მაგრამ ევროპული და რუსული ენების გავლენით ph და f ერთნაირად გამოითქმის. წერისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ f დაიწერება ლათინური წარმომავლობის სიტყვებში, ხოლო ph - ბერძნულში.

ძველ ბერძნულში, ისევე როგორც ქართულში, არის "თ" და "ტ" ბგერები, ისინი ბერძნულში სხვადასხვა ასოებით გამოიხატებოდა. ლათინურში ბერძნული "თ" გადმოიცემა "th" დიგრაფით, ხოლო "ტ" ბგერა, როგორც ლათინურ, ისე ბერძნულ სიტყვებში, გადმოიცემა "t" ასოთი. მაგ.: phototherapia – სინათლით მკურნალობა. ამ ბერძნულ სიტყვაში გვხვდება "ტ" და "თ" ბგერები.

ბერძნულ და ლათინურ "რ" ბგერა წერისა და გამოთქმის დროს ჩვეულებრივ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ძველბერძნული 'p სიტყვის თავში გამოითქმებოდა როგორც "ჰრ". ეს მოვლენა ლათინურში გამოისახა ph კომპლექსით, რომელიც გამოთქმისას სრულად არ რეალიზდება. წარმოითქმება მხოლოდ "რ".

სავარჯიშო:

I. წაიკითხეთ ხმამაღლა.

1. დაუკვირდით დითინგების გამოთქმას:

Gangrena, aegrotus, amoeba, leukaemia, auditus, pneumonia, eupnoя, aлг, Aether, aethylicus, galactorrhoea, haemorrhagia, Eucalyptus, paediater, aneurisma, succus, lacteus, diaeta, lagoena, Althaea, Crataegus, saepe, praecordium, oedematosus, pyorrhoea.

2. დაუკვირდით c-ს გამოთქმას:

cбput, cyllum, tъncus, ycciput, сайcus, crбnium, cйrebrum, claviculбris, scбpula, accessyrius, mъsculus, scйleton, cruciбtus, cбvum, cartilбgo, cyndylus, бrcus, cyrpus.

3. დაუკვირდით s-ს გამოთქმას:

fyssa, hъmerus, mesentйirium, impriйssio, sнnus, sigmoнdeus, pars, petrysus, chiбsma, fissъra, dens, platəsma, mesogбstrium, mucysus, nasolacrimбlis.

4. დაუკვირდით x-ის და z-ის მართლწერასა და გამოთქმას:

fliйxio, sнmplex, бxis, maxilla, fyrnix, нndex, plйxus, lбrynx, dйxter,

circumflйxus, rбdix, extremнtas, cуха, extrбctum, zyna, Orэza, zygomбticus, бzygos.

5. დაუკვირდით qu-ის და ngu-ის მართლწერასა და გამოთქმას:

quadrбtus, unguйntum, lнquor, oblнqua, lнngua, squamysus, triquйtrum, бngulus, sбnguis, quбdriceps, unguinбlis, sublinguбlis.

6. დაუკვირდით დიგრაფების და ასოთშეთანხმებების გამოთქმას:

nucha, thyrax, kyphysis, trochбnter, splanchnolygia, brynchus, hypophysiбlis, labyrinthus, phбlanx, sэmphysis, synchondrysis, нsthmus,, pars sympбthica, cavum subarachnoidбle, os нschii, incisura ischiбdica major, glandula thyreoиdea.

7. გამოყავით ბერძნული წინსართები და ფუძეები:

synchondrysis, synostysis, syndesmysis, hypoglyssus, hypochyndrium, hypertonia, dysenterиa, dyspepsиa, myalgиa, myocбrdium, hyperthermиa, myositis, physiotherapиs, pyorrhйa.

8. დაუკვირდით ti კომპლექსის გამოთქმას:

solъtio, auscultбtio, protuberбntia, vнtium, tнbia, combъstio, distбntia, rбtio, bйstia, operбrio, ystium, eminйntia, mнxtio, articulбtio.

II. წაიკითხეთ და განსაზღვრეთ, რომელი წესების გამოყენება დაგჭირდათ ამა თუ იმ სიტყვის სწორად წარმოსათქმელად:

longus - გრძელი, status - მდგომარეობა,incisura - ნაჭდევი, usus - გამოყენება, systema - სისტემა, cornua coccygea - კუდუსუნის რქები,costae verae - ნამდვილი ნეკნები,arcus vertebrae - მალის რკალი, corpus costae - ნეკნის სხეული, vertex - თხემი,sectio Caesarea - საკეისრო გაკვეთა,habitus phthisicus - ჭლექიანის გარეგნობა, herba - ბალახი, os humeri - მხრის ძვალი, hydrotherapia - წყლით მკურნალობა, heliotherapia - მზის სხივებით მკურნალობა,substantia compacta et substantia spongiosa - მკვრივი და ღრუბლისებრი ნივთიერება, abscessus - ჩირქგროვა, processus spinosus - წვეტიანი მორჩი, articulatio composita - რთულისახსარი,radix dentis - კბილის ფესვი,flavum - დალექილი ყვითელი ვერცხლისწყალი,collum costae - ნეკნის ყელი, autointoxicatio - თვითმოწამვლა, auscultatio - მოსმენა, anaemia - სისხლნაკლულობა, Liquiritia seu Glycyrrhiza - ძირტკბილა (ლათ. და ბერძნ.), musculus extensor - გამჭიმავი კუნთი,typhus exanthematicus - პარტახტიანი ტიფი.

§6. მახვილი

ლათინურ ენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მახვილს.
უნდა დავიმახსოვროთ შემდეგი წესები:
1. ერთმარცვლიან სიტყვებში მახვილი არ დაისმის.
2. ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე დაისმის:

nо́sus - ცხვარი	cysta - ნეკნი	cо́put - თავი
cyllum - ყელი	cyrpus - სხეული	bо́sis - ფუძე

3. სამ და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილი დაისმის ბოლოდან მეორე მარცვალზე, თუ იგი გრძელია. თუ ბოლოდან მეორე მარცვალი მოკლეა, მახვილი დაისმის ბოლოდან მესამე მარცვალზე.

tinctъ́ra - ნაყენი	artиculо́tio - სახსარი
ligamи́ntum - იოგი	tиbia - დიდი წვივი

§7. მარცვლის სიგრძე-სიმოკლე

მარცვალი გრძელია, თუ გრძელ ხმოვანს შეიცავს, ან მოკლე, თუ მოკლე ხმოვანს შეიცავს.
ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე ბუნებით, ან პოზიციით (მდებარეობით).
1. გრძელ მარცვალს ქმნის დიფთონგი, რადგანაც ორი ხმოვნის შერწყმითაა მიღებული:

Althaйa - ტუხტი
oйdema - შეშუპება
Crataйgus - კუნელი
lagoйna - ბოთლი
haйma - სისხლი (ბერძნ.)

2. ხმოვანი გრძელია პოზიციით, თუ მას ორი ან მეტი თანხმოვანი ან ორმაგი თანხმოვანი (x, z) მოსდევს.

ligamи́ntum - იოგი
unguи́ntum - მალამო
dи́xter - მარჯვენა
procи́ssus - მორჩი
vи́ntris - მუცლის
reflи́xus - რეფლექსი

II. დაწერეთ ლატინური ასოებით:

ა)ნერვუს	ბ) აქვა მენთე
კუტის	სოლუციო აქვოზა
დექსტერ	ლევომიცეტინუმ
აკუსტიკუს	უნგვენტუმ სინთომიცინი
ცენტრუმ	ქსეროფორმიუმ
კაუდა	ჰიდრობრომიდუმ
კონდილუს	რადიქს პლანტე
ჰემოთერაპია	ხლორტეტრაციკლინუმ
სინდესმოლოგია	ციტოპლაზმა
კარდიოლოგია	ლინიმენტუმ ალოეს
ფალანქს	ექსტრაკტუმ ფოლიორუმ
კორნუა კოკციგეა	ტინკტურა ვალერიანე
კოლლუმ კოსტე	ოლეა ეთერეა
პროცესუს სპინოზუს	გუტტა აქვე
ვერტებრე თორაციცე	ფარმაკოლოგია
სანგვის ვენოზუს	რემედია სპაზმოლიტიკა
არტიკულაციო სიმპლექს	აციდუმ ბორიკუმ
მუსკულუს ექსტენზორ	ამილუმ ტრიტიცი

III. დამოუკიდებელი სამუშაო თვითკონტროლისათვის.

1. რა შემთხვევაში იწერება "rh", "ph", "ae", "oe"?
2. როგორ იწერება "ფ" ბგერა ლათინურ სიტყვებში?

---------- "კ" ----------?
---------- "ტ" ----------?
---------- "ი" ----------?
---------- "რ" ----------?

3. რომელი ასოებით გამოისახება ბგერა "კ"?

---------- "ც"?
---------- "ზ"

4. რა შემთხვევაში იკითხება დიფთონგის შემადგენელი ხმოვნები ცალ-ცალკე?
5. როგორ გამოითქმის ასო t?

---------- c? ---------- z?

6. რომელი ასოთშეთანხმებები მიგვანიშნებენ სიტყვის ბერძნულ წარმომავლობაზე?
7. ლათინურში მახვილის სწორად დასასმელად რომელი მარცვლის სიგრძე-სიმოკლეს აქვს მნიშვნელობა?
8. რა შემთხვევაში დაისმის მახვილი პოლოდან მესამე მარცვალზე?
9. თუ ბოლოდან მეორე მარცვალი ღიფთონგია, რომელ მარცვალზე დაისმის მახვილი?
10. დაწერეთ 5 სამმარცვლიანი სიტყვა და დაუსვით მახვილი.

br ვერ აგრძელებს მარცვალს:*
cérebrum - თავის ტვინი
vértebra - მალა

3. ხმოვანი ხმოვნის წინ მოკლეა. ასევე h-ის წინა ხმოვანიც მოკლეა.
rotátio - ბრუნვა
bráchium - მხარი
operétio - ოპერაცია
superfícies - ზედაპირი

რომ გავიგოთ, ხმოვანი ბუნებით გრძელია თუ მოკლე, ამისთვის ლექსიკონს უნდა მივმართოთ. კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთი სუფიქსის ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს.

გრძელმარცვლიანი სუფიქსებია:

- úr -	incisúra, sutúra, fractúra, mixtúra, apertúra.
- ín -	novocaínum, procaínum, analgínum, corticotropínum.
- ós -	spinósus, aquósus, squamósus, leucósis, thrombósis.
- ál -	abdomináliis, thoracális, pulmonális, lumbális, frontális.
- óma -	sarcóma, fibróma, myóma, osteóma.

მოკლემარცვლიანი სუფიქსებია:

- ic -	thorácicus, trochantéricus, gástricus. zygomáiicus, ópticus.
- ul -, - cul -, - ol -	scápula, pilula, ventricula, arteríola. tubérculum, músculus.
- id -	brómidum, chlóridum, cyánidum, súlfidum.

სავარჯიშო:

1. წაიკითხეთ სიტყვები, დასვით მახვილები:

Medicina, Fossula, Truncus, bulbus oculi, mordus contagiosus, Coffeinum, Morphinum, medicamentum, remedium, fonticulum, frenicus, penicillinum, Papaverinum, corpusculum, diaeta, oculus, articulatio composita.

**ხშული b, d, c, p, t, g + ნარნარა l, r (muta cum liquida) წინამავალ ხმოვანს ვერ აგრძელებს.*

მორფოლოგია
§8. მეტყველების ნაწილები

ლათინურ ენაში განასხვავებენ მეტყველების შემდეგ ნაწილებს:

1. Numen substantīvum - არსებითი სახელი,გამოხატავს საგანს.
2. Nomen abjectīvum - ზედსართავი სახელი, ახასიათებს საგანს რაიმე ნიშნის ან თვისების მიხედვით.
3. Nomen numerāle - რიცხვითი სახელი,გამოხატავს რაოდენობას, რიგს, წილს ან ჯერობას.
4. Pronomen - ნაცვალსახელი, წინადადებაში ცვლის ზემოთ ჩამოთვლილ სახელებს, აღნიშნავს პირს, კუთვნილებას, ჩვენებითობას, მიმართავს და ა. შ.
5. Verbum - ზმნა,გამოხატავს მოქმედებას.
6. Adverbium - ზმნიზედა, აღნიშნავს მოქმედების ადგილს, დროს ან გარემოებას.
7. Praepositio - წინდებული (ქართულ ენაში მისი შესატყვისია თანდებული). დაერთვის სახელს და აღნიშნავს მიმართულებას.
8. Conjunctio - კავშირი, ერთმანეთთან აკავშირებს სიტყვებს ან წინადადებებს.
9. Interjectio - შორისდებული, გამოხატავს ემოციებს ან ნება-სურვილს.

ამათგან არსებითი, ზედსართავი და ნაცვალსახელი იბრუნვის, ზმნა იუღლება, ე. ი. პირველი ხუთი მეტყველების ნაწილი ფორმაცვალებადია, დანარჩენი მეტყველების ნაწილები (ზმნიზედა, წინდებული, კავშირი, შორისდებული) ფორმაუცვლელნი არიან.

§9. ანატომიური ტერმინოლოგია
ანატომიური ტერმინის სტრუქტურა

ლათინური ანატომიური ტერმინოლოგია შეისწავლება PNA-ს ტერმინების მიხედვით. ანატომიური ტერმინი ორი სახისაა. მარტივი ანუ ერთსიტყვიანი და რთული ანუ მრავალსიტყვიანი.

განვიხილოთ ანატომიური ტერმინის სტრუქტურათა ზოგადი სქემა.

1. ერთსიტყვიანი ანატომიური ტერმინი წარმოდგენილია არსებითი სახელით, რომელიც მხოლობითი ან მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დგას და მოგვიყვებს კითხვაზე რა?

caput - თავი
costae - ნეკნები
calvaria - ქალას თაღი
articulationes - სახსრები
corpus - სხეული
musculus - კუნთი

2. ორსიტყვიანი ანატომიური ტერმინი მსაზღვრელ-საზღვრულისგან შედგება. საზღვრული ყოველთვის I ადგილზე დგას. მსაზღვრელი გადმოიცემა არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვით (შეუთანხმებელი მსაზღვრელი) ან ზედსართავი სახელით (შეთანხმებული მსაზღვრელი)



caput costae - ნეკნის თავი
corpus vertabrae - მალის სხეული
fossa cranii - ქალას ფოსო
septum nasi - ცხვირის ძგიდე
os breve - მოკლე ძვალი
costa vera - ნამდვილი ნეკნი
pulmo dexter - მარჯვენა ფილტვი
auris sinistra - მარცხენა ყური

2. სამსიტყვიან ანატომიურ ტერმინში პირველ ადგილზე კვლავ ძირითადი ცნება დგას (არსებითი სახელი), რომელსაც ორი მსაზღვრელი ახლავს. იმის მიხედვით, თუ როგორ საინტაქსურ მიმართებაშია მსაზღვრელები ტერმინის ძირითად ცნებასთან და ერთმანეთთან, გამოიყოფა სამსიტყვიანი ტერმინის რამდენიმე სტრუქტურული ვარიანტი:

A. როცა არსებით სახელს მსაზღვრელად შეუთანხმებელი მსაზღვრელ-საზღვრული ახლავს.



მაგ.: crista capitis costae - ნეკნის თავის ქედი
lamina arcus vertebrae - მალის რკალის ფირფიტა

B. როცა არსებით სახელს 2 მსაზღვრელი ახლავს, რომელთაგან ერთი მიმართებას გვიჩვენებს, მეორე კი - რაგვარობას, პირველ ადგილს დაიკავებს მიმართების აღმნიშვნელი მსაზღვრელი (შეუთანხმებელი), მეორეს კი - რაგვარობის (შეთანხმებული).



მაგ.: ligamenta tarsi interossea - მაჯის ძვალთაშუა იოგები
arteria femoris lateralis - ბარძაყის გვერდითი არტერია

C. თუმცა გვაქვს ისეთი ანატომიური ტერმინებიც, რომლებშიც მიმართების აღმნიშვნელი შეუთანხმებელი მსაზღვრელი ბოლო ადგილზეა.



მაგ.: ligamentum accessorium cubiti - იდაყვის დამატებითი იოგი
musculus transversus linguae - ენის განივი კუნთი

D. როცა არსებით სახელს ორი შეთანხმებული მსაზღვრელი ახლავს, პირველ ადგილს დაიკავებს რაგვარობის, მეორეს კი - მდებარეობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი.



მაგ.:
arteria coronaria dextra - მარჯვენა გვირგვინოვანი არტერია
ligamentum arcuatum medianum - შუამდებარე რკალოვანი იოგი

როგორც ვხედავთ, ანატომიურ ტერმინში მთავარ ფუნქციას ასრულებს არსებითი სახელი. გავეცნოთ მას.

არსებითი სახელი
NOMEN SUBSTANTIVUM

§10. გრამატიკული კატეგორიები

ლათინურ ენაში სამი გრამატიკული სქესია (Genus):

1. მამრობითი - genus masculinum (m)
2. მდედრობითი - genus femininum (f)
3. საშუალო - genus neutrum (n)

არსებითი სახელი ამ სამი სქესიდან ერთ-ერთის მატარებელია.

ლათინურ ენაში ორი რიცხვია (*numerus*):

1. მხოლობითი - numerus singularis (N. sing.)
2. მრავლობითი - numerus pluralis (N. plur.)

არსებით სახელს აქვს ექვსი ბრუნვა

1. Nominativus (Nom.) - სახელობითი, ქვემდებარის ბრუნვა.
2. Genetivus (Gen.) - ნათესაობითი, შეუთანხმებელი მსაზღვრელის ბრუნვა.
3. Dativus (Dat.) - მიცემითი, უბრალო დამატების ბრუნვა.
4. Accusativus (Acc.) - ბრალდებითი, პირდაპირი დამატების ბრუნვა.
5. Ablativus (abl.) - მოქმედებითი, გამოხატავს მოქმედების იარაღს ან გარემოებას.
6. Vocativus (Voc.) - წოდებითი, მასში დაისმის სახელი, რომელსაც მიმართავენ.

ეს უკანასკნელი ბრუნვა სამედიცინო ტერმინოლოგიაში არ გამოიყენება, და ამდენად, არსებით სახელთა ბრუნებისას მას არ შევისწავლით.

ლათინურ ენაში არსებით სახელთა ხუთი ბრუნებაა (Declimatio) თუ რომელ ბრუნებას მიეკუთვნება არსებითი, ვადგენთ მხ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვის (Gen. sing.) დაბოლოების მიხედვით:

I	ბრუნებაში Gen. sing.-ში გვაქვს დაბოლოება			ae
II	———————	———————	———————	i
III	———————	———————	———————	is
IV	———————	———————	———————	us
V	———————	———————	———————	ei

§11. არსებითი სახელის სალექსიკონო ფორმები

ლექსიკონში არსებითი სახელი წარმოდგენილია შემდეგი სახით: პირველ ადგილზე დგას არსებითი სახელი Nom. sing.-ში (მხოლობითი რიცხვის სახელობითი) სრული ფორმით. მეორე ადგილზეა Gen. sing.-ის ან ფუძისა და Gen. sing.-ის დაბოლოება. მესამე ადგილზე აღინიშნება სქესი: m - მამრობითი, f - მდედრობითი, n - საშუალო.

არსებითის სალექსიკონო ფორმის საშუალებით ვადგენთ მის ბრუნებას, სქესსა და ფუძეს.

არსებითი სახელის ფუძე რომ ვიპოვოთ,უნდა ჩავსვათ იგი Gen. sing.-ში და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი.

მაგ.: კუნთი - musulus, i m; კუნთი ლათინურად არის musculus. კუნთის - musculi, ხოლო m ნიშნავს, რომ ეს არსებითი მამრობითი სქესისაა.

i - II ბრუნებაში Gen. sing.-ის დაბოლოებაა,მაშასადამე,ფუძე არის muscul.

ამოვწეროთ ლექსიკონიდან არსებითი სახელები: იოგი, ფრთა, გულმკერდი, შუბლი, ბარძაყი, ზედაპირი, რკალი, რქა.

იოგი - ligamentum, i n
ფრთა - ala, ae f
გულმკერდი - thorax, acis m
შუბლი - frons, ntis f
ბარძაყი - femur, oris, n
ზედაპირი - facies, ei f
რკალი - arcus, us m
რქა - cornu, us n

აღმოჩნდება, რომ ligament-i II ბრუნების არსებითია, საშუალო სქესისა, მისი ფუძეა ligament.

al-ae - I ბრუნების არსებითია,მდედრობითი სქესის. ფუძე al -
thorac-is - III ბრუნება, მამრობითი სქესი. ფუძეა thorac-
front-is - III ბრუნება,მდედრობითი სქესი. ფუძეა front-
femor-is - III ბრუნება, სასუალო სქესი. ფუძე femor-

უკანასკნელ სამ შემთხვევაში II სალექსიკონო ფორმას წარმოადგენს არა მარტო Gen. sing.-ის დაბოლოება,არამედ ფუძისა და ბრუნვის დაბოლოებები ერთად.

faci-ei - V ბრუნება, მდედრობითი სქესი. ფუძე faci-
arc-us - IV ბრუნება, მამრობითი სქესი. ფუძრ arc-
corn-us - IV ბრუნება, საშუალო სქესი. ფუძე corn-

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლათინურ ენაში სამი გრამატიკული სქესია და ხუთი ბრუნება. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილით შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რომელი ბრუნებისაა არსებითი სახელი და განვსაზღვროთ ანატომიური ტერმინების მხოლობითი და

მრავლობითი რიცხვის სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვები.

ბრუნება	I	II		III		IV		V
სქესი	F.	M.	N.	M.F.N.		M.	N.	F.
Nom sing.	a	-us -er	-um -on	სხვადასხვა		-us	-u	-es
Gen. sing.	-ae	i		-is		-us		-si
Nom plur.	-ae	-i	-a	-es	-(i)a	-us	-ua	es
Gen. plur.	-arum	-orum		-(i)um		-uum		-erum

როგორც ვხედავთ, არსებითის სალექსიკონო ფორმის დასწავლა საჭიროა იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ მისი ფუძე. არსებითი სახელის ფუძის ცოდნა კი გვჭირდება: 1. არსებითი სახელის ბრუნებისათვის (ბრუნებისას არსებითის ფუძეს ემატება ბრუნვის ნიშნები); 2. სიტყვაწარმოებისათვის.

სავარჯიშო:

1. მითითებული არსებითი სახელები მოძებნეთ ლექსიკონში, ამოიწერეთ სალექსიკონო ფორმები და განსაზღვრეთ მათი ბრუნება, სქესი და ფუძე: ქედი, ნერვი, სადინარი, სახსარი, ყურძენი, სხეული, ტერფი, ბეჭი, მუხლი, მხარი, შუბლი, ძველი, ფილტვი, წიაღი, ღეძო, გულმკერდი, ძეძო, ყური, თვალი, ხრტილი, ლავა, კედელი, ადამიანი, რვალი, ყელსახვევი, უჯრედი, ნაწილი, მორჩი.

მაგ.: მორჩი - processus, us m
process-us ფუძე - process IV ბრუნება, მამრ. სქესი

II. ჩასვით ჩამოთვლილი არსებითი სახელები ორივე რიცხვის სახელობთსა და ნათესაობითში და თარგმნეთ ეს ფორმები:

vertebra, ae f - მალა
occiput, itis n - კეფა
processus, us m - მორჩი
sulcus, i m - ღარი
caput, itis n - თავი
septum, i n - ძგიდე
cranium, i n - თავის ქალა
superficies, ei f - ზედაპირი, ზედა მხარე
pulmo, onis m - ფილტვი
digitus, i m - თითი
crus, uris n - კანჭი
femur, oris n - ბარძაყი
os, ossis n - ძვალი

მაგ.: ligamentum, i n - იოგი

N. sing	N. plur.
Nom. ligamentum - იოგი	ligament-a - იოგები
Gen. ligament-i - იოგის	ligament-orum - იოგების

§12. შეუთანხმებელი მსაზღვრელი

ორსიტყვიანი ანატომიური ტერმინი შეიძლება იყოს შეთანხმებულ ან შეუთანხმებელმსაზღვრელიანი.

თუ მსაზღვრელი გამოიხატება არსებითი სახელის ნათესაობით ბრუნვით და მოგვიგებს კითხვაზე ვისი? ან რისა? იგი არ შეუთანხმდება საბღვრულ არსებით სახელს. მაგ.:

collum costae - ნეკნის ყელი
fovea dentis - კბილის ფოსო
arcus vertebrae - მალის რკალი
inclinatio pelvis - მენჯის დახრილობა
caput costae - ნეკნის თავი
crista capitis costae - ნეკნის თავის ქედი
os coccygis - კუდუსუნის ძვალი

მსაზღვრელ-საბღვრულის ბრუნებისას საბღვრული არსებითი იბრუნება, ხოლო შეუთანხმებელი მსაზღვრელი უცვლელად დგას ნათესაობით ბრუნვაში (შეადარეთ ქართულში: ნეკნის ყელი, ნეკნის ყელში, ნეკნის ყელმა და ა. შ.) შეუთანხმებელი მსაზღვრელი ქართულ და ლათინურ ენებში ბრუნვაუცვლელია, განსხვავება კი მათ შორის პოზიციაშია - ქართულში მსაზღვრელი საბღვრულის წინ დგას, ხოლო ლათინურში პირიქით - მოსდევს საბღვრულ სიტყვას.

სავარჯიშო:

I. ამოიწერეთ ყველა არსებითი სახელი სალექსიკონო ფორმებით და თარგმნეთ ანატომიური ტერმინები:

1. მუხლის იოგი; 2. წინამხრის ჩონჩხი; 3. მკერდის ტარი; 4. ცხვირის ძგიდე; 5. მალის სხეული; 6. ნეკნის თავი; 7. ქალას ნაკერები; 8. მყესის ღარი; 9. ძვლის წვეტი; 10. წილის სადინარი; 11. მუხლის სახსარი; 12. გასავლის ხრტილი; 13. თვალის ნერვი; 14. ნერვის ტოტი; 15. მუხლის ვენები; 16. ნეკნის კუთხე; 17. სადინარის იოგი; 18. ბეჭის წვეტი; 19. მაჯის ღარი; 20. რკალების იოგები; 21. ცხვირის გასავალი; 22. სადინარის ფოსო.

მაგ.: მუხლი - genu, us n მუხლის იოგი - ligamentum fenus
იოგი - ligamentum, i n

II. თარგმნეთ ქართულად:
angulus oculi, recessus membranae tympani, porta hapatis, basis ossis sacri, axis pelvis, venae cordis, foramina venarum, fissura ligamenti, plexus foraminis, venae cerebri.

§13. შეთანხმებული მსაზღვრელი

თუ მსაზღვრელი მოგვიგებს კითხვაზე: რომელი? ან როგორი? მაშინ იგი გამოიხატება ზედსართავი, რიცხვითი ან ნაცვალსახელით, ან კიდევ მიმდეობით. ასეთი მსაზღვრელი შეუთანხმდება საზღვრულ არსებით სახელს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში და მას შეთანხმებული მსაზღვრელი ეწოდება.
შეთანხმებულმსაზღვრელიანი ტერმინებია:

წინა რკალი - arcus anterior
სასახსრე ღრმული - fovea articularis
საძილე ბორცვი - tuberculum caroticum
გვერდითი ნაწილი - pars lateralis
განივი ხაზები - lineae transversae
მეშვიდე წარზიდული მალა - vertebra septima prominens
ნამდვილი ნეკნები - costae verae
ცრუ ნეკნები - costae spuriae

ზოგჯერ ლათინური შეთანხმებული მსაზღვრელი ქართულად შეუთანხმებელი მსაზღვრელით გამოიხატება. ამას მოითხოვს ქართული ენის ნორმები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლათინურში ის შეთანხმებული მსაზღვრელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ლათინური მსაზღვრელი არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ზედსართავია.

კუდუსუნის რქა - cornu coccygeum
გავის რქა - cornu sacrale
გულმკერდის მალები - vertabrae thoracicae

"კუდუსუნის", "გავის" და "გულმკერდის" ლათინურში ზედსართავებია. ეს მსაზღვრელები არსებითით რომ ყოფილიყო გამოხატულიგვექნებოდა არა coccygeum, sacrale, thoracicae არამედ:
coccygis (coccyx, ygis, n)
sacri (sacrum, i n)
troracis (thorax, acis m)
არ დაგავიწყდეთ, რომ ლათინურ ენაში პირველ ადგილზე დგას საზღვრული სიტყვა ანუ ძირითადი ტერმინი, შემდეგ კი მსაზღვრელი.

ზედსართავი სახელი
NOMENADIECTIVUM*
(მიმოხილვა)

ანატომიურ ნომენკლატურაში შეთანხმებული მსაზღვრელის როლში ყველაზე ხშირად ზედსართავი სახელი გვხვდება. ზედსართავი სახელები ორი რიგისაა: I რიგის ზედსართავები იბრუნება I და II ბრუნებით. II რიგისა კი - III ბრუნებით. IV და V ბრუნებით ზედსართავები არ იბრუნება.

§14. პირველი რიგის ზედსართავი სახელები

I რიგის ზედსართავ სახელებს სქესის შემდეგი დაბოლოებები აქვთ: -us, -a, -um ან -er, -a, -um.

მამრობითი სქესის ზედსართავები ბოლოვდება -us ან -er-ზე და იბრუნება II ბრუნებით, მდედრობითი სქესის ზედსართავები ბოლოვდება a-ზე და იბრუნება I ბრუნებით. საშუალო სქესის ზედსართავები კი -um-ზე ბოლოვდება და II ბრუნებით იბრუნვის. თუ გადავხედავთ არსებით სახელთა ბრუნების ზოგად ცხრილს, დავინახავთ, რომ I რიგის ზედსართავ სახელთა დაბოლოებები ემთხვევა I და II ბრუნების არსებით სახელთა დაბოლოებებს.

I რიგის ზედსართავი სახელები ლექსიკონში ასეა წარმოდგენილი:

verus, a, um - ნამდვილი	dexter, tra, trum - მარჯვენა
rectus, a, um - სწორი	sinister, tra, trum - მარცხენა
latus, a, um - განიერი	liber, era, erum - თავისუფალი

მათი სრული სალექსიკონო ფორმებია:

M	F	N
verus	vera	verum
rectus	recta	rectum
latus	lata	latum
dexter	dextra	dextrum
sinister	sinistra	sinistrum
liber	libera	liberum

**ზედსართავ სახელებს დაწვრილებით განვიხილავთ სახელმძღვანელოს მომდევნო მონაკვეთებში, შესაბამისი ბრუნების არსებით სახელთა შემდეგ.*

ამათგან მამრობითი და საშუალო სქესის ზედსართავები II ბრუნებით იბრუნება, მდედრობითი კი - I-ით. მაშასადამე, ჩვენთვის ნაცნობ ბრუნვის ფორმებში (მხ. და მრ. რიცხვის სახელობითი და ნათესაობითი) ეს ზედსართავები დაირთავენ შემდეგ დაბოლოებებს.

	M	F	N
Nom. sing.	-us	-a	-um
Gen. sing	-i	-ae	-i
Nom. plur.	-i	-ae	-a
Gen. plur.	-orum	-arum	-orum

შევუთანხმოთ ზედსართავები არსებით სახელებს:

სწორი კუნტი - musculus rectus	Nom. sing.
სწორი კუნთის - musculi recti	Gen. sing.
სწორი კუნთები - musculi recti	Nom. plur.
სწორი კუნთების - musculorum rectorum	Gen. plur.

განიერი იოგი - ligamnetum latum	Nom. sing.
განიერი იოგის - ligamenti lati	Gen. sing.
განიერი იოგები - ligamenta lata	Nom. plur.
განიერი იოგების - ligamentorum latorum	Gen. plur.

სწორი ხაზი - linea recta	Nom. sing
სწორი ხაზის - lineae rectae	Gen. sing.
სწორი ხაზები - lineae rectae	Nom. plur.
სწორი ხაზების - linearum rectarum	Gen. plur.

I რიგის ზედსართავი სახელები უთანხმდება არა მარტო I და II ბრუნების, არამედ III, IV და V ბრუნების არსებით სახელებსაც. შეთანხმებები აქაც ხდება სქესში, ბრუნვასა და რიცხვში, თუმცა არსებითსა და ზედსართავს განსხვავებული დაბოლოებები აქვს.

pars, partis f - III ბრუნების არსებითია
liber, libera, liberum - I რიგის ზედსართავი

მაგ.: თავისუფალი ნაწილი - pars libera	Nom. sing.
თავისუფალი ნაწილის - partis liberae	Gen. sing.
თავისუფალი ნაწილები - partes liberae	Nom. plur.
თავისუფალი ნაწილების - partium liberarum	Gen. plur.

cornu, us n - IV ბრუნების არსებითია

coccygeus, coccygea, coccygeum - I რიგის ზედსართავი

კუდუსუნის რქა - cornu coccygeum	Nom. sing.
კუდუსუნის რქის - cornus coccygei	Gen. sing.
კუდუსუნის რქები - cornua coccygea	Nom. plur.
კუდუსუნის რქების - cornuum coccygeorum	Gen. plur.

facies, ei f - V ბრუნების არსებითია
externus, externa, exterum - I რიგის ზედსართავია

გარეთა ზედაპირი - facies externa	Nom. sing.
გარეთა ზედაპირის - faciei externae	Gen. sing.
გარეთა ზედაპირები - facies externae	Nom. plur.
გარეთა ზედაპირების - facierum externarum	Gen. plur.

§15. I რიგის ზედსართავ სახელთა მოკლე ლექსიკური მინიმუმი

1. acusticus, a, um - სასმენი
2. dexter, tra, trum - მარჯვენა
3. sinister, tra, trum - მარცხენა
4. externus, a, um - გარეთა, გარეგანი
5. internus, a, um - შიგნითა, შინაგანი
6. obliquus, a, um - ირიბი
7. longus, a, um - გრძელი
8. latus, a, um - განიერი
9. liber, era, erum - თავისუფალი
10. medius, a, um - შუა, შუათანა
11. profundus, a, um - ღრმა
12. albus, a, um - თეთრი
13. flavus, a, um - ყვითელი
14. verus, a, um - ნამდვილი, ჭეშმარიტი
15. spurius, a, um - ცრუ
16. pterygoideus, a, um - ფრთისებრი
17. accessorius, a, um - დამატებითი
18. xiphoideus, a, um - მახვილისებრი
19. coccygeus, a, um - კუდუსუნისა
20. rectus, a, um - სწორი
21. thoracicus, a, um - გულმკერდისა
22. scalenus, a, um - კიბისებრი
23. caroticus, a, um - საძილე
24. magnus, a, um - დიდი

სავარჯიშო:

I. თარგმნეთ ქართულად. გაარკვიეთ, მსაზღვრელი შეთანხმებულია თუ შეუთანხმებელი:

Vertebra thoracis. Vertebra thoracica. Musculus dorsi. Musculus longus. Manubrium sterni. Lobus pulmonis. Septum osseum. Oculus dexter. Os latum. Basis ossis. Vertebra coccygea. Genu sinistrum. Meatus acusticus. Angulus costae. Lamina interna. Nervus accessorius. Arteria carotica. Sulcus venae. Sulcus profundus.

II. თარგმნეთ ლატინურ ენაზე:

ღრმა, ღარი, თეთრი ნივთიერება, გულმკერდის მალა, ცრუ ნეკნი, ნამდვილი ნეკნები, გულმკერდის მალები, მარცხენა ფილტვი, მარჯვენა ბეჭის სასმენი გასავალი (meatus, us, m), გარეთა ფირფიტები, რიბის ხაზი, ირიბი კუნთები.

III. დამოუკიდებელი სამუშაო: ამოიწერეთ ანატომიის სახელმძღვანელოს შესაბამისი თავიდან ტერმინები, განსაზღვრეთ, რომელი მსაზღვრელია შეთანხმებული და რომელი შეუთანხმებელი.

§16. II რიგის ზედსართავი სახელი

II რიგის ზედსართავი სახელები იბრუნვიან III ბრუნებით. ამ ზედსართავ სახელთაგან ანატომიურ ნომენკლატურაში ყველაზე ხშირად გვხვდება ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები. გავეცნოთ მათ.

ორდაბოლოებიან ზედსართავ სახელებს აქვთ სქესის შემდეგი დაბოლოებები: -is მამრობითი და მდედრობითი, ხოლო -e საშუალო სქესისათვის.

	M. F.	N.
მაგ. brevis, e - მოკლე	brevis	breve
articularis, e - სასახსრე	articularis	articulare
costalis, e - სანეკნე	costalis	costale
cervicalis, e - კისრისა	cervicalis	cervicale

ორივე რიცხვის სახელობითსა და ნათესაობითში მათ ექნება შემდეგი დაბოლოებები:

	M. F.	N.
Nom. sing.	- is	-e
Gen. sing.	-is	-is
Nom. plur.	-es	-ia
Gen. plur.	-ium	-ium

მოკლე იოგი - ligamentum breve
მოკლე იოგის - ligamenti brevis

მოკლე იოგები - ligamenta brevia
მოკლე იოგების - ligamentorum brevium

შუბლის წიაღი - sinus frontalis
შუბლის წიაღის - sinus frontalis
შუბლის წიაღები - sinus frontales
შუბლის წიაღების - sinuum frontalium

სასახსრე ზედაპირი - facies articularis
სასახსრე ზედაპირის - faciei articularis
სასახსრე ზედაპირები - facies articulares
სასახსრე ზედაპირების - facierum articularium

§17. ორდაბოლოებიან ხელსართავ სახელთა მოკლე ლექსიკური მინიმუმი

1. articularis, e - სასახსრე
2. brevis, e - მოკლე
3. cervicalis, e - კისრისა
4. communis, e - საერთო
5. lumbalis, e - წელისა
6. caudalis, e - კუდისა
7. sacralis, e - გავისა
8. costalis, e - სანეკნე
9. occipitalis, e - კეფისა
10. frontalis, e - შუბლისა
11. jugularis, e - საულლე
12. clavicularis, e - ლავიწისა
13. condylaris, e - როკისა
14. superciliaris, e - წარბზედა
15. ethmoidalis, e - ცხავისებრი
16. sphenoidalis, e - სოლისებრი
17. ovalis, e - ოვალური, კვერცხისებრი
18. lacrimalis, e - საცრემლე
19. auricularis, e - ყურისებრი,ყურისა

სავარჯიშო:

I. თარგმნეთ ქართულად. გაარკვიეთ, მსაზღვრელი შეთანხმებულია თუ შეუთახმებელი:

Basis ossis. Foramina sacralia pelvina. Fovea articularis. Facies pelvina. Tuberculum gastricum. Lobus dexter. Lobus hepatis. Foramina sacralia dorsalia. Crista sacralis. Facies articularis capitis

costae. Tuberculum musculi scaleni anterioris. Processus xiphoideus. apertura thoracis inferior.

II. ამოიწერეთ სალექსიკონო ფორმები, განასხვავეთ შეთანხმებული და შეუთანხმებელი მსაზღვრელი და თარგმნეთ ქართულად:

Septum sinuum sphenoidalium. Crista lateralis anterior. Massa dorsalia. Foramen ovale. Labyrinthus ethmoidalis. Meatus acusticus internus. Apertura sinus sphenoidalis. Sukus arteriae temporalis mediae. Cellulae ethmoidales.

III. თარგმნეთ ლათინურ ენაზე:

მკერდქვეშა კუთხე. თვალბუდის მედიპირი. სანეკნე ნაჭდევები. კეფის დიდი ხვრელი. ლავიწის ნაჭდევი. სასახსრე ბორცვი. კეფის ქიცვი. ქვედა ყბის ფოსო. როკის არხი. საფეთქლის მედიპირი. კეფის გარეთა ქედი. თვალბუდისკენა ფირფიტა. შუბლის კიდე. კეფის კუთხე. საფეთქლის ხაზი. თვალბუდის ნაწილი. შუბლის ბორცვი.

§18. ზედსართავი სახელების შედარებითი ხარისხის ფორმების შეთანხმება არსებით სახელებთან

ანატომიურ ტერმინებში შეთანხმებული მსაზღვრელის ფუნქციას ხშირად ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის ფორმები ასრულებს. შედარებითი ხარისხის ზედსართავ სახელებს Nom. sing.-ში აქვს -ior და -ius დაბოლოებები. -ior მამრობითი და მდედრობითი, -ius საშუალო სქესისათვის.

	M. F.	N.
anterior, ius - წინა	anterior	anterius
posterior, ius - უკანა	posterior	posterius
superior, ius - ზედა	superior	superius
inferior, ius - ქვედა	inferior	inferius
major, ius - უფრო დიდი	major	majus
minor, us - უფრო პატარა	minor	minus

ზედსართავთა შედარებითი ხარისხის ფორმები იბრუნებიან III ბრუნებით და სახელობითსა და ნათესაობითში აქვთ შემდეგი დაბოლოებები:

	M. F.	N.
Nom. sing.	-ior	-ius
Gen. sing	-ior-is	-ior-is
Nom. plur.	-ior-es	-ior-a
Gen. plur.	-ior-um	-ior-um

მაგ: წინა კიდე - margo anterior
წინა კიდის - marginis anterioris
წინა კიდეები - margines anteriores
წინა კიდეების - marginum anteriorum

უკანა ზედაპირი - facies posterior
უკანა ზედაპირის - faciei posterioris
უკანა ზედაპირები - facies posteriores
უკანა ზედაპირების - facierum posteriorum

დიდი ბორცვი - tuberculum majus
დიდი ბორცვის - tuberculi majoris
დიდი ბორცვები - tubercula majora
დიდი ბორცვების - tuberculorum majorum

სავარჯიშო:

I. თარგმნეთ ქართულ ენაზე:

Processus clinoideus posterior. Crista lacrimalis anterior. Cingulum membri inferioris. Fissura orbitalis superior. Arcus anterior et arcus posterior. Tuberculum anterius et tuberculum posterius. Fovaea articulares superiores. Fovea articularis inferior. Crista tuberculi majoris. Linea nuchae superior. Facies articularis posterior. Apertura thoracis inferior. Linea temporalis superior. Foramen erhmoidale posterius. Sulcus nervi petrosi minoris. Concha nasalis superior. Cornu minus. Canalis palatinus major. Fissura orbitalis inferior.

II. მოემზადეთ საკონტროლო წერისთვის:

ა) გაიმეორეთ: დიფტონგები, თანხმოვანთა გამოთქმა, დიგრაფები, "y" სამედიცინო ტერმინოლოგიაში, მახვილის წესები, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, შეთანხმებული და შეუთანხმებელი მსაზღვრელი.

ბ) თარგმნეთ ანატომიური ტერმინები ქართულიდან ლათინურად და ლათინურიდან ქართულად (განვლილი მასალის მიხედვით).

ზმნა
VERBUM

§19. გრამატიკული კატეგორიები

ლათინურ ენაში ზმნას ახასიათებს შემდეგი გრამატიკული კატეგორიები:

1. სამი პირი (persona): I, II და III.
2. ორი რიცხვი: Numerus singularis და Numerus pluralis.
3. ორი გვარი (Genus): მოქმედებითი (Genus activum) და ვნებითი (Genus passivum).
4. სამი კილო (Modus): თხრობითი (Modus indicativus), კავშირებითი (Modus conjunctivus) და ბრძანებითი (Modus imperativus).
5. ექვსი დროითი ფორმა, რომელთაგან ჩვენ შევისწავლით მხოლოდ აწმყოს (praesens).
6. ექვსი ინფინიტივუსი ანუ საწყისი (განუსაზღვრელობითი ფორმა), რომელთაგან შევისწავლით მხოლოდ აწმყოს მოქმედებითი გვარის ინფინიტივუსს (Infinitivus praesentis activi).
7. ოთხი სახის მიმღეობა, რომელთაგან შევისწავლით ორს: 1. აწმყოს მოქმედებითი გვარის მიმღეობას - Participium praesentis activi; 2. ნამყო სრულის ვნებითი გვარის მიმღეობას - Participium perfecti passivi.

§20. ზმნის ძირითადი სალექსიკონო ფორმები

ლათინურ ზმნას აქვს ოთხი ძირითადი ფორმა, რომელთა ფუძეებზე სხვადასხვა აფიქსების დამატებით იწარმოება ზმნის სხვა ფორმები. ძირითადი ფორმებია:

1. I persona singularis indicativi praesentis activi - აწმყოს მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოს მხოლობითი რიცხვის I პირი;
2. I persona singularis indicativi parfecti activi - ნამყო სრულის მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოს მხოლობითი რიცხვის I პირი;
3. supinum - სუპინუმი;
4. Infinitivis praesentis activi - აწმყოს მოქმედებითი გვარის ინფინიტივუსი.

ამ ფორმათაგან სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ყველაზე პროდუქტიულია სუპინუმი, რომლის შესაბამისი გრამატიკული კატეგორია ქართულში არა გვაქვს. ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ იგი მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან ერთად იხმარება და გამოხატავს მიზანს. მაგ.: "მოსასმენად", "აღსანიშნავად" და ა. შ.

განვიხილოთ ზოგიერთი ზმნის ძირითადი ფორმები და ვთარგმნოთ ისინი:

signo,	signavi,	signatum,	signāre;
აღვნიშნავ,	აღვნიშნე,	აღსანიშნად,	აღნიშვნა;
misceo,	miscui,	mixtum,	miscēre;
ვურევ,	შევურიე,	შესარევად,	შერევა;
divido,	divisi,	divisum,	dividĕre;
ვყოფ,	დავყავი,	დასაყოფად,	დაყოფა;
audio,	audivi,	auditum,	audīre.
ვისმენ,	მოვისმინე	მოსასმენად,	მოსმენა.

§21. ზმნის ფუძე და უღლება

ზმნის ფუძის დაბოლოების მიხედვით ლათინურ ენაში გვაქვს ოთხი უღლება.

I უღლების ზმნების ფუძე ბოლოვდება ā-ზე

II უღლების ზმნების ფუძე ბოლოვდება ē-ზე

III უღლების ზმნების ფუძე ბოლოვდება თანხმოვანზე, ან u-ზე

IV უღლების ზმნების ფუძე ბოლოვდება ī-ზე

ზმნის ფუძე ვი პოვოთ ინფინიტივუსის ფორმას უნდა ჩამოვაშოროთ -re დაბოლოება I, II და IV უღლებაში, ხოლო -ĕre III უღლებაში.

განვსაზღვროთ ზემოთ ნახსენები ზმნების ფუძე და უღლება:

signare	ფუძე	signā	ე. ი.	I უღლება
miscēre	ფუძე	miscē	ე. ი.	II უღლება
dividĕre	ფუძე	divid	ე. ი.	III უღლება
audīre	ფუძე	audī	ე. ი.	IV უღლება

რომ არ აგვერიოს II და III უღლების ზმნები, კარგად უნდა დავუკვირდეთ ინფინიტივუსს, თუ -re-ს წინა "e" გრძელია (ē), მაშინ ეს ხმოვანიც ფუძისეულია და მხოლოდ -re-ს ჩამოვაშორებთ; ხოლო თუ -re-ს წინა "e" მოკლეა (ĕ), მაშინ ეს "ĕ" შემაერთებელი ხმოვანია ზმნის ფუძესა და ინფინიტივუსის დაბოლოებას შორის. ამიტომაც "ĕre" უნდა ჩამოვაშოროთ აღნიშნულ სალექსიკონო ფორმას და ამ ტიპის ზმნები განეკუთვნებიან III უღლებას. შეცდომის თავიდან ასაცილებლად შეიძლება გამოვიყენოთ ზმნის პირველი სალექსიკონო ფორმაც. თუ "-o" ბოლოკიდურების წინ "e" აღინიშნება, მაშინ ეს ხმოვანი ფუძისეულია და საქმე გვაქვს მე-2 უღლებასთან; ხოლო თუ "o"-ს წინ "e" არ არის, მაშინ ზმნის ფუძე არ მთავრდება "ē"-ზე და ასეთი ზმნა III უღლებას განეკუთვნება.

§22. ზმნის ლექსიკური მინიმუმი

1. მკურნალობა - curo, curavi, curatum, curāre.
2. შერევა - misceo, miscui, mixtum, miscēre.
3. ხეხვა - tero, trivi, tritum, terĕre.
4. ღება - recipio, recepi, receptum, recipĕre.
5. მოსმენა - audio, audivi, auditum, audīre.
6. გაბურღვა, გახვრეტა - perforo, perforavi, perforatum, perforāre.
7. მიმაგრება - affigo, affixi, affixum, affigĕre.
8. დამიანებელარღვევა - laedo, laesi, laesum, laedĕre.
9. დაფქვა, დანაყვა - contundo, contundi, contusum, contundĕre.
10. გაჭრა - incido, incidi, incisum, incidĕre.
11. კბენა - mordeo, momordi, morsum, mordēre.
12. დახეულჭრილობა - lacero, laceravi, laceratum, lacerāre.
13. ჩხვლეტა - pungo, pupugi, punctum, pungĕre.
14. გამოხდა - destillo, destillavi, destillatum, desillāre.
15. დაფქვნა - pulvero, pulveravi, pulveratum, pulverāre.
16. გაფილტრა - filtro, foltravi, filtratum, filrtrāre.
17. წვა - uro, ussi, ustum, urĕre.
18. განზავება - diluo, dilui, dilutum, diluĕre.
19. ხარშვა - cuquo, coxi, coctum, coquĕre.
20. გასტერილება - steriliso, sterilisavi, sterilisatum, sterilisāre.
21. გაცემა - do, dedi, datum, dāre.
22. აღნიშნა - signo, signavi, signatum, signāre.
23. ხელახლანახვა - video, vidi, visum, vidēre.
24. დაყოფა - divido, divisi, divisum, dividĕre.
25. კვება - nutrio, nutrivi, nutritum, nutrīre.
26. განძიდება - abduco, abduxi, abductum, abducĕre.
27. მოტანა - affero, attuli, allatum, afferre.
28. გამოტანა - effero, extuli, elatum, effĕrre.
29. გადატანა - defero, detuli, delatum, defĕrre.
30. ასვლა - ascendo, ascendi, ascensum, ascendĕre.
31. ჩასვლა - descendo, descendi, descensum, descendĕre.
32. შეკავშირება, შეერთება - communico, communicavi, communicatum, communicare.
33. რყევა, ცახცახი - fluctuo, fluctuavi, fluctuatum, fluctuāre.
34. დაპირისპირება - oppono, opposui, oppositum, opponĕre.
35. დაბრუნება - recurro, recurri, recursum, recurrĕre.
36. დაჩქარება - accelero, acceleravi, acceleratum, accelerāre.
37. შემოსაზღვრა - limito, limitavi, limitatum, limitāre.
38. დარჩენა - permaneo, permansi, permansum, permanēre.
39. გაკვთაგამობა - disseco, dissecui, dissectum, dissecāre.

40. გადასახლებახეტიალი-migro, mogravi, migratum, migrāre.
41. ცვლამონაცვლეობა-alterno, alternavi, alternatum, alternāre.
42. დასუსტებაშემცირება-deficio, defeci, defectum, deficĕre.
43. განსხვავება-differe, distuli, dilatum, differe.
44. დამახინჯება,ფორმის დაკარგვა - deformo, deformavi, deformatum, deformāre.
45. დაჩირქებადამწიფება-abscedo, abscessi, abscessum, abscedĕre.
46. შეწყვეტა-intermitto, intermissi, intermissum, intermittĕre.
47. შეჩერება-remitto, remisi, remissum, remittĕre.
48. დართვა,მირთმება-interccuro, intercucuri, intercursum, intercurrĕre.
49. ცოცვა-serpo, serpsi, serptum, serpĕre.
50. კანკალი-tremo, tremui, tremitum, tremĕre.
51. შეღწევა-penetro, penetravi, penetratum, penetrāre.
52. ამოძრავებაშენახლრება-agito, agitavi, agitatum, agitāre.
53. ბოლვაუგონოდყოფნა-deliro, deliravi, deliratum, delirāre.
54. აღგზნებაგამოწვევა-excito, excitavi, excitatum, excitāre.
55. დახმარება-adjuvo, adjuvi, adjutum, adjuvāre.
56. შესწორება-corrigo, correxi, correctum, corrigĕre.
57. დასუსტება-laxo, laxavi, laxatum, laxāre.
58. გაწმენდა-purgo, purgavi, purgatum, purgāre.
59. ფორმირებადადგენა-consitituo, constitui, constitutum, constituĕre.

საშარჯიშო:

I. ამოწერეთ და თარგმნეთ აიი გმნის სალექსიკონო ფორმები, განსაზღვრეთ მათი ფუძე და უღლება.

II. ხაზი გაუსვით მოცემული გმნების ფუძეებსა და სუპინუმს, ჩამოთვალეთ გმნისა და სუპინუმის ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები:

1. დათმობაალიარება-concedo, concessi, concessum, concedĕre.
2. მიმაგრებამხარდაჭერა-confirmo, confirmavi, confirmatum, confirmāre.
3. წაყვანაგაძღოლა-duco, duxi, ductum, ducĕre.
4. გამოფენა-expono, exposui, expositum, exponĕre.
5. მკურნალობამზრუნველობა-curo, curavi, curatum, curāre.
6. სრბილი-curro, cucuri, cursum, currĕre.
7. გამოცხადებათქმა-dico, dixi, dictum, dicĕre.
8. (ორმოს)თხრა-fodio, fodi, fossum, fodĕre.
9. გჯანსაღება-sano, sanavi, sanatum, sanāre.
10. მუშაობა-laboro, laboravi, laboratum, laborāre.

მაგ.: სწავლება-deceo, docui, doctum, docĕre.
დოქტორი, დოცენტი, დოქტრინა, დოქტორანტურა...

III. მოცემული ზმნების ინფინიტივუსის მიხედვით განსაზღვრეთ მათი ფუძე და უღლება:

ავსება - implēre
შეკრება, მოგროვება - colligĕre
მიღება, შესმა - suměre
გაცუმება - tacēre
დაფარვა - tegĕre
სვლა - venīre
დანახვა - vidēre
შეერთება - jungĕre
კარგად ყოფნა - valēre
წერა - scribĕre

§23. ბრძანებითი კილო
MODUS INPERATIVUS

ლათინურ ენაში შეიძლება ებრძანოს მხოლოდ მეორე პირს და ამ კილოს აქვს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ფორმები. I, II და IV უღლებაში ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის ფორმა ემთხვევა ზმნის ფუძეს. III უღლების ზმნების ფუძეს კი ემაგება -e.

ინფინიტივუსი	ფუძე	ბრძანებითი კილოს მხ. რიცხვი
cūrāre მკურნალობა	cura I უღლება	cura! უმკურნალე!
dare გაცემა	da I უღლება	da! გაეცი!
docēre სწავლება	doce II უღლება	doce! ასწავლე!
micēre შერევა	misce II უღლება	misce! შეურიე!
dividĕre დაყოფა	divid III უღლება	divide! დაყავი!
audīre მოსმენა	audi IV უღლება	audi! ისმინე!
terĕre ხეხვა	ter III უღლება	tere! გახეხე!

III უღლების ზოგიერთი ზმნა ბრძანებითი კილოს საწარმოებლად

არ დაირთავს -ĕ-ს.

dicĕre	dic!	facĕre	fac!
თქმა	თქვი!	კეთება	აკეთე!

ბრძანებითი კილოს მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად I, II და IV უღლების ზმნებს უკანვე ემატება სუფიქსი -te, ხოლო III უღლების ზმნებს -ite.

უმკურნალე!-cirate!	ასწავლეთ!-docete!
გაეცით!-date!	შეურიეთ!-miscete!
დაყავით!-dividite	მოისმინეთ!-audite!
გახეხეთ!-terite!	

უარყოფითი ბრძანებითი იწარმოება ზმნის ინფინიტივუსის ფორმის წინ უარყოფითი ნაწილაკის noli (მხოლობითში), nolite (მრავლობითში) დამატებით.

მაგ.:	არ დააზიანო-noli nocēre!
	არ დააზიანოთ-nolite nocēre! *

სავარჯიშო:

I. მოცემული ინფინიტივუსის ფორმების მიხედვით, აწარმოეთ ბრძანებითი კილოს ფორმები და თარგმნეთ:

აღება - recipĕre	კვება - nutrīre
გაჭრა - incidĕre	გახეხვა - terĕre
გამოხდა - destillāre	შეკრება - colligĕre
განზავება - diluĕre	მუშაობა - laborāre
ხარშვა - cequĕre	მიმაგრება - affigĕre

მაგ: აღება - recipĕre, recipe! - აიღე! recipite - აიღეთ!

II. გაარჩიეთ, თარგმნეთ:

1. Divide massam tabulettarum! 2. Pulverate tabulettas! 3. Tere Camphoram! 4. Divide et impera! 5. Veni, vidi, vici. 6. Noli perforare! 7. Agitate liquores! 8. Doce linguam Latinam! 9. Misce te substantias! 10: Medice, cura fracturam digitorum pedis! 11. Vivĕre est cojitāre. 12. Cojito, ergo sum. 13. Collige herbam Valerianae!

---

*არ დააზიანო! არ ავნო! ანგარიშის ეპირველესი ლოგიკოსაებია.

§24. ანმყო დროის თხრობითი კილო

გმნის ფორმათა-ცელას პირისა და რიცხვის მიხედვით ულება ჰქვია. ულებისას ლათინურ გმნას, ისევე როგორც ქართულს, არ სჭირდება პირის ნაცვალსახელების დართვა, რადგან აფიქსების საშუალებით პირის ფორმები უნაცვალსახელოდაც მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

აწმყოს მოქმედებითი და ვნებითი გვარის პირის ნიშნებია:

Genus activum		Genus passivum	
N. sing.	N. plur.	N. sing.	N. plur
1. -o	-mus	-or	-mur
2. -s	-tis	-ris	-mini
3. -t	-nt	-tur	-ntur

I, II და IV ულების გმნებს პირის ნიშნები დაემატება პირდაპირ ფუძეზე და მივიღებთ ამა თუ იმ პირის ფორმას.

შენიშვნა: 1. I ულების გმნებში მხოლობითი რიცხვის I პირის ნიშანი შეერწყმის ფუძის ბოლო ხმოვანს (a + o = o).

I ULება SIGNĀRE - ანიშვნა

Genus activum		Genus passivum	
N. sing.	N. plur.	N. sing.	N. plur.
1. sign-o	signa-mus	sign-or	signa-mur
2. signa-s	signa-tis	signa-ris	signa-mini
3. signa-t	signa-nt	signa-tur	signa-ntur

II ULება VIDĒRE - ხედვა

Genus activum		Genus passivum	
N. sing.	N. plur.	N. sing.	N. plur.
1. vide-o	vide-mus	vide-or	vide-mur
2. vide-s	vide-tis	vide-ris	vide-mini
3. vide-t	vide-nt	vide-tur	vide-ntur

შენიშვნა: 2. IV ულების მრავლობითი რიცხვის III პირში -nt, -tur, დაბოლოებების წინ ფუძის შემდეგ ჩნდება თემატური ხმოვანი -u.

IV უღლება AUDIRE - მოსმენა

Genus activum		Genus passivum	
N. sing.	N. plur.	N. sing.	N. plur.
1. audi-o	audi-mus	audi-or	audi-mur
2. audi-s	audi-tis	audi-ris	audi-mini
3. audi-t	audi-u-nt	audi-tur	audi-u-ntur

შენიშვნა: 3. III უღლების მწნები (პირველი პირის გარდა) პირის ნიშნებს დაირთავენ თემატური ხმოვნის საშუალებით. -nt-ს წინ u ხმოვანია, r-ს წინ ĕ, დანარჩენი პირის ნიშნების წინ კი - i.

III უღლება DIVIDĔRE - მოსმენა

Genus activum		Genus passivum	
N. sing.	N. plur.	N. sing.	N. plur.
1. divid-o	divid-i-mus	vidid-or	divid-i-mur
2. divid-i-s	divid-i-tis	divid-ĕ-ris	divid-i-mini
3. divid-i-t	divid-u-nt	divid-i-tur	divid-u-ntur

***

1. Bene dignoscitur; bene curantur - რასაც კარგად შეიცნობ, კარგად განკურნავ.
2. Festina lente! - იჩქარე ნელა!
3. Medice, cura te ipsum! - ექიმო, განკურნე საკუთარი თავი!
4. Noli nocēre! - არ დააზიანო (არ ავნო)!
5. Mala herba cito crescit - სარეველა (ცუდი ბალახი) სწრაფად იზრდება.
6. Dum spiro, spero - სანამ ვცოცხლობ, ვიმედოვნებ.
7. Salve! - მოგესალმები (გამარჯობა)!
8. Vale! - კარგად იყავი!

§25. ყოფნა ზმნის უღლება აწმყო დროის თხრობით კილოში

ESSE - ყოფნა

N. sing.	N. plur.
1. sum - ვარ	summus - ვართ
2. es - ხარ	estis - ხართ
3. est - არის	sunt - არიან

სავარჯიშო:

I. აუღლეთ აწმყოს მოქმედებით და ვნებით გვარში შემდეგი ზმნები: ხარშვა, კვება, მუშაობა, წასმა, განზავება, მკურნალობა, გახეხვა.

II. გაარჩიეთ, თარგმნეთ:

1. Destillamus aquam bis. 2. Osteologiam bene studemus. 3. Puer suturas calvariae monstrat. 4. Columna vertebralis aliter columna vertebrarum nominatur. 5. In histologia studeo cellulas prismaticam, sphericam, squamosam, planam, stellatam. 6. Vesicula est vesica parva, canaliculis - canalis parvus.

§26. კავშირებითი კილო
MODUSCONJUMCTIVUS

კავშირებითი კილოს ზმნები ლათინურ ენაში გამოხატავენ შესაძლო, დასაშვებ მოქმედებას. მთქმელის სურვილს ან ნებას. კონიუნქტივს ის განასხვავებს ინდიკატივის ანუ თხრობითი კილოსაგან, რომ ამ უკანასკნელში გადმოცემულია ის მოქმედება, რომელიც მთქმელს რეალობად ესახება, კავშირებითი კილო კი გამოხატავს შესაძლებელ ან შეუძლებელ, სასურველ ან არასასურველ მოქმედებას:

მაგ.: ნეტავ მოგემზადებინა წამალი.
რომ მოგვეყვანა ექიმი.
ნეტა არ დაიგვიანოს.

აწმყოს კავშირებითი კილო Praesens conjunctivi იწარმოება ზმნის ფუძეზე -e ან -a სუფიქსების ღართვით: -e I უღლების ზმნების ფუძეს ემატება, -a კი II, III და IV უღლებისას. შემდეგ კი სუფიქსიან ზმნას ეღერთვის პირის ნიშნები. ზმნის ფუძე +a (II, III, IV ურლება). e (I უღლება) + პირის ნიშნები.

Praesens conjunctivi activi

პირი, რიცხვი	I უღლება	II უღლება	III უღლება	IV უღლება
N. sing.	curem	misceam	teram	audiam
	cures	misceas	teras	audias
	curet	misceat	terat	audiat
N. plur.	curemus	misceamus	teramus	audiamus
	cureris	misceatis	teratis	audiatis
	curent	misceant	terant	audiant

Praesens conjunctivi passivi

N. sing.	curer	miscear	terar	audiar
	cureris	miscearis	teraris	audiaris
	curetur	misceatur	teratur	audiatur
N. plur.	curemur	misceamur	teramur	audiamur
	ciremini	misceamini	teramini	audiamini
	curentur	misceantur	terantur	audiantur

კონიუნქტივი მარტივ წინადადებაში შეიძლება გამოხატავდეს:

ა) მოწოდებას იმ მოქმედებისაკენ, რომელშიც თვითონ მთქმელიც მიიღებს მონაწილეობას.

მაგ.: Laboramus - მოდით ვიმუშაოთ!
Gaudeamus* - მოდითვიმხიარულოთ!
Servamus patriae - ვემსახუროთ სამშობლოს!

ბ) აკრძალვას - მე-2 პირის ფორმა უარყოფით ნაწილაკთან ერთად.

მაგ.: Ne venias! - არ მოხვიდე!
Ne misceatis! - არ შეურიოთ!

გ) სურვილს, თუ ახლავს utinam - ო, ნეტავ.
Utinam sciat! - ნეტავ იცოდეს!

დ) დათმობას, დაშვებას, ქართულად ითარგმნება "დავუშვათ" მშნის დახმარებით.

მაგ.: Sit hoc iter difficile - დავუშვათ გზა ძნელია.

ე) მერყეობას, ორჭოფობას. მაგ.: Quid agam? - რა ვქნა?

ვ) არადამაჯერებელ მტკიცებას. მაგ.: Hoc non dicam - ამას ვერ ვიტყოდი.

---

*Gaudeumus - სტუდენტური ჰიმნის სათაურია.

§27. ზმნა
FIO, FACTUM SUM, FIERI

ეს ზმნა აღნიშნავს კეთებას, მოხდენას, ჩამოყალიბებას და გამოყენებას. როგორც "facio - ვაკეთებ" ზმნის ვნებითი გვარის ფორმა. მისი ფუძეა fi. იუღლება IV უღლების ზმნებივით უმნიშვნელო ცვლილებებით. კერძოდ,ი არ დაირთვის თემაგურ ხმოვანს r, s, t თანხმოვნების წინ.

FIO ზმნის უღლება

Praesens	indicativi	Praesens conjunctivi
რიცხვი	პირი	
N. sing.	1. fio	fiam
	2. fis	fias
	3. fit - კეთდება	fiat - გაკეთდეს
N. plur.	1. არა აქვს	fiamus
	2. არა აქვს	fiatis
	3. fiunt - კეთდებიან	fiant - გაკეთდნენ

კავშირებითი კილო განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება რეცეპტში ისეთი სამკურნალო საშუალებების გამოწერისას, რომლებიც აფთიაქში უნდა დამზადდეს, იმ ოპერაციების აღსანიშნავად, რომლებიც პროვიზორმა უნდა ჩაატაროს ექიმის მითითებით.

მაგ: Misceatur - გაერიოს (შეერიოს)
Signetur - აღენიშნოს (დაეტიკეტოს)
Solvatur - დაე,გაიხსნას.
Dentur tales doses - გაიცეს ასეთი დოზები.

კონიუნქტივი შეიძლება შეგვხვდეს რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც დამოუკიდებელი წინადადება იწყება კავშირით "ut - რათა, რომ".*

Misce, ut fiat unguentum - შეურიეთ რომ დამზადდეს (გაკეთდეს) მალამო.
Tere, ut fiat pulvis - გახეხეთ, რომ დამზადდეს ფხვნილი.

**რეცეპტურაში ut კავშირი ხშირად აღარ იხმარება, თუმცა იგულისხმება. მაგ: Misce, fiat globuli - შეურიე (რომ) დამზადდეს ბრუთულები.*

Stet loco frigido, ut formetur gelatina -იდგას ცივ ადგილზე, რომ წარმოიქმნას ჟელატინი.

სავარჯიშო:

I. გაარჩიეთ მნები და თარგმნეთ წინადადებები:

1. Adde massam pilularum quantum satis, ut fiant pilulae numero 50. 2. Solutio sterilisetur. 3. Liquores filtrentur. 4. Cito dispensetur! 5. Fiat lux! 6. Liquores in lagenas infundantur. 7. Olea aetherea in lagenis obturatis serventur.

II. თარგმნეთ ლათინურ ენაზე:

1. ექიმმა გამოწეროს წამალი.
2. იოდი გაიხსნას ქსეროფორმში.
3. ნაჩვენები იქნება წინამხრის ჩონჩხი.
4. გაიხეხოს ქაფური!
5. გახმეს კატაბალახა.
6. მედიკამენტი ინახებოდეს ცივ ადგილზე.
7. მასა დაიყოს თანაბარ ნაწილებად.

§28. არსებით სახელთა I ბრუნება
DECLINATIOPRIMA

I ბრუნებით იბრუნებიან მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, რომელთაც Nom. sing.-ში აქვთ -a დაბოლოებახოლო Gen. sing.-ში -ae.

მაგ.:

ფრთა-ala, ae f
მალა-vertebra, ae f (spondylos)
სვეტი-columna, ae f
ნეკნი-costa, ae f
ქალას თაღი-calvaria, ae f
ქედი-crista, ae f
იდაყვი-ulna, ae f

I ბრუნების არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები

	N. sing.	N. plur.
Nom.	-a	-ae
Gen.	-ae	-arum
Dat.	-ae	-is
Acc.	-am	-as
Abl.	-a	-is

ala, ae f -ფრთა

	N. sing.	N. plur.
Nom.	ala	al-ae
Gen.	al-ae	al-arum
Dat.	al-ae	al-is
Acc.	al-am	al-as
Abl.	al-a	al-is

შეუთანხმებელი მსაზღვრელი I ბრუნებაში.

ბეჭის ქედი - crista scapulae
ქვედა ყბის ნაჭდევი - incisura mandibulae
ქალას თაღის ნაკერი - sutura calvariae
ლოყის ფოსო - fossa buccae

	N. sing.	N. plur.
Nom.	sutura calvariae	sutur-ae calvariae
Gen.	sutur-ae calvariae	sutur-arum calvariae
Dat.	sutur-ae calvariae	sutur-is calvariae
Acc.	sutur-am calvariae	sutur-as calvariae
Abl.	sutur-a calvariae	sutur-is calvariae

შეთანხმებული მსაზღვრელი I ბრუნებაში.

ცრუ ნეკნი - costa spuria
მარჯვენა ბეჭი - scapula dextra
ნამდვილი ნეკნი - costa vera
მარცხენა ლოყა - bucca sinistra

	N. sing.	N. plur.
Nom.	costa vera	cost-ae ver-ae
Gen.	cost-ae ver-ae	cost-arum ver-arum
Dat.	cost-ae ver-ae	cist-is ver-is
Acc.	cost-am ver-am	cost-as ver-as
Abl.	cost-a ver-a	cost-is ver-is

§29. I ბრუნების არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. cellula, ae f (ბერძნ. cyt-us)- უჯრედი
2. cornea, ae f (ბერძნ. karat)- რქოვანა
3. fibula, ae f – წვივის მცირე ძვალი
4. fractura, ae f – მოტეხილობა
5. lingua, ae f (ბერძნ. glossa)- ენა
6. mandibula, ae f – ქვედაყბა
7. maxilla, ae f – ზედაყბა
8. pneumonia, ae f - ფილტვების ანთება
9. retina, ae f -ბადურა
10. tibia, ae f - წვივის დიდი ძვალი
11. vena, ae f (ბერძნ. phleb-os)- ვენა
12. clavicula, ae f – ლავიწი
13. scapula, ae f -ბეჭი
14. costa, ae f -ნეკნი
15. crista, ae f -ქედი
16. ala, ae f -ფრთა
17. fascia, ae f -ფასკია, კუნთის გარსი
18. fossa, ae f -ფოსო
19. fossula, ae f -ფოსუკი
20. fovea, ae f -ორმო, ღრმული
21. fissura, ae f -ნაპრალი
22. apertura, ae f -ხვრელი, შესავალი
23. glandula, ae f (ბერძნ. aden)- ჯირკვალი
24. incisura, ae f -ნაჭდევი
25. sutura, ae f -ნაკერი
26. spina, ae f -წვეტი
27. squama, ae f -ქოცი
28. trochlea, ae f -ჭანჭი
29. medulla, ae f (ბერძნ. myelos)- ზურგის ან ძვლის ტვინი
30. vesica, ae f (ბერძნ. cystis)- ბუშტი
31. bucca, ae f -ლოყა
32. Althaea, ae f -ტუტბი
33. Amygdala, ae f -ნუში (ნაყოფი)
34. ampulla, ae f -ამპულა
35. aqua, ae f (ბერძნ. hydr)- წყალი
36. aqua destillata -გამოხდილი წყალი
37. Atropa belladonna -ბელადონა
38. Atropa caucasica -შბაგა
39. Camphora, ae f -ქაფური

40. Caphora trita - გასეხილი ქაფური
41. Convallaria, ae f - შროშანა
42. gutta, ae f - წვეთი
43. planta, ae f (ბერძ. phyton) - მცენარე
44. berba, ae f – ბალახი
45. pilula, ae f - აბი
46. tabuletta, ae f - ტაბლეტი
47. tinctura, ae f - ნაყენი
48. mixtura, ae f - ნარევი
49. Mentha, ae f - პიტნა
50. Valeriana, ae f - კატაბალახა
51. Calendula, ae f - გულყვითელა
52. Salvia, ae f - სალბი
53. Urtica, ae f - ჭინჭარი
54. capsula, ae f - კაფსულა
55. Periploca, ae f - ღვედკეცი
56. Gelatina, ae f - ჟელატინი
57. Senna, ae f - სინამაქი
58. officina, ae f - აფთიაქი
59. Schizandra, ae f - ლიმონურა
60. Liquiritia, ae f - ძირტკბილა

***

Tabula rasa - სუფთა დაფა.
Persona grata - სასურველი პირი.
Persona non grata - არასასურველი პირი.
Terra incognita - უცნობი მიწა.
Invia est in medicina via sine lingua Latina - გაუვალია მედიცინაში გზა ლათინური ენის გარეშე.
Aquila non captat muscas - არწივი არ იჭერს ბუზებს.

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ
cellula plana - ბრტყელი უჯრედი;
lamina externa - გარეთა ფირფიტა;
incisura vertebrae - მალის ნაჭდევი;
spina scapulae - ბეჭის წვეტი;
aqua destillata - გამოხდილი წყალი;
tinctura Urticae - ჭინჭრის ნაყენი;
aqua Amygdalarum - ნუშის წყალი;
capsula amylacea - სახამებლის კაფსულა.

II. გაარჩიეთ, თარგმნეთ:
Protuberantia occipitalis externa. Linea nuchae superior. Apertura thoracis. Crista occipitalis interna. Fossa glandulae

lacrimalis. Linea nuchae inferior. Apertuta externa aquaductus vestibuli. Incisura jugularis. Incisura parietalis. Fossa hypophysialis. Fossura orbitalis superior. Concha nasalis superior. Sella turcica. Apertura sinus aphenoidalis.

III. თარგმნეთ ლათინურად:

ა) ნამდვილი ნეკნი. ცრუ ნეკნი. კეფის ქიცვი. ნამდვილი ნეკნები. როკის ფოსო. შუბლის (ძვლის) ქაცვი. ლატერალური (გვერდითი) ფირფიტა. დაცხრილული ფირფიტა. ქიცვიანი ნაკერი. განივი ხაზები. ბეჭის წვეტი. ლოყის ფოსო. მალის ნაჭდევი.

ბ) წყლის წვეთი. მცენარეების ნარევი. პიგნის წყალი. ქაფურის მალამო. ნუშის წყალი. აბების მასა. კატაბალახას ნაყენი. კატაბალახას აბები. ტუხტის ნარევი. ბალახების ნაყენი.

§30. წინდებული - PRAEPOSITIO

ლათინურ ენაში წინდებული შეიძლება დაერთოს არსებითს ან ნაცვალსახელს მხოლოდ აკუზატივუსში ან აბლატივუსში.

წინდებულები, რომლებიც მოითხოვენ სახელს აკუზატივუს ბრუნვაში:

ad - მდე, თვის
adversus - წინააღმდეგ
ante - მდე, წინ
apud - თან, ახლოს
circum - ირგვლივ, ახლოს
contra - წინააღმდეგ, საპირისპიროდ
extra - გარეთ, გარდა
infra - ქვემოთ, ქვეშ
intra - შიგნით
inter - შორის
post - შემდეგ, უკან
propter - ახლოს, გამო
supra - ზემოთ, - ზე
ultra - იქით
per - გავლით, საშუალებით, განმავლობაში

მაგ.:
ad usum internum - შინაგანი ხმარებისათვის
ad usum externum - გარეგანი ხმარებისათვის
per rectum - სწორი ნაწლავის საშუალებით
contra tussim - ხველების საწინააღმდეგოდ
post operationem - ოპერაციის შემდეგ
inter musculos - კუნთებს შორის
per diem - დღის განმავლობაში
ante operationem - ოპერაციის წინ

წინდებულები, რომლებიც მოითხოვენ სახელს აბლატივუსში:

a, ab, abs - გან, მიერ
pro - თვით, წინ, ნაცვლად

e, ec, ex -გან,-დან
cum -ურთ
de -შესახებმიხედვით
prae -წინ
sine -გარეშე

მაგ: ab ovo -კვერცხიდან
ex herbis -ბალახებისაგან
cum saccharo -შაქართან ერთად
de medicina -მედიცინის შესახებ
pro narcosi -ნარკოზისთვის
sine aqua -უწყლოდ

წინდებულები, რომლებიც მოგვიგებენ კითხვაზე საით? მოითხოვენ სახელს accusativus ბრუნვაში, ხოლო კითხვაზე სად? -abbativus-ში.

in -ში,-ზე
sub -ქვეშ
super -ზემო

მაგ: Infunde tincturam in lagoenam -ჩაასხი ნაყენი ბოთლში
Tinctura est in lagoena -ნაყენი ბოთლშია

§31. I ბრუნების ბერძნული არსებითი სახელები

I ბრუნებით იბრუნვიან აგრეთვე გალათინურებული ბერძნული არსებითი სახელები, რომლებიც ბრუნებისას ლათინური არსებითი სახელებისაგან არაფრით არ განსხვავდებიან. ასეთებია:

diphtheria, ae f -ხუნაგი
Mentha, ae f -პიტნა
althaea, ae f -ტუსაგი
Ephedra, ae f -ეფედრაკენისმუხლა
hysteria, ae f -ისტერია*
Glycyrrhiza, ae f -ძირკბილა(ლათ.liquiritia, ae f)
Polygala, ae f -წიწინაური
Periploca, ae f -ღვედკვეცი
Amygdala, ae f -ნუში(ნაყოფი)

** წარმოდგება ბერძნული "hystera -საშვილოსნო"-საგან. არქაულ ხანაში მიაჩნდათ, რომ ეს დაავადება დაკავშირებულია საშვილოსნოს პათოლოგიასთან.*

ამავე ტიპის არსებითებს მიეკუთვნება Camphora, ae f -ქაფური*.

ბერძნული არსებითი სახელების იმ ნაწილმა, რომელსაც Nom. sing.-ში აქვს -e ხოლო Gen.sing.-ში -es ბოლოკიდური, მხოლობითი რიცხვის ზოგიერთ ბრუნვაში შეინარჩუნა ბერძნული დაბოლოება, დანარჩენ ბრუნვებში კი ლათინური არსებითი სახელებისაგან ისინიც არ განსხვავდებიან. ასეთებია:

cele, es f -თიაქარი(ლათ.Hernia, ae f)
encephalocele, es f -თავის ტვინის თიაქარი
Aloე, ეs f -ალოე
Hippophaე, ეs f -ქაცვი
Hirochloე, ეs f -ოქროჩალა
chole, es f -ნაღველი
phlegmone, es f -ფლეგმონა,ჩირქოვანი ანთება
dyspnoე, ეs f -ქოშინი
eupnoე, ეs f -სწორი სუნთქვა
acne, es f -ფურიმჭამელა
systole, es f -სისტოლა
diastole, es f -დიასტოლა
Kalanchoე, ეs f -კალანქოე
diplóე, ეs f -ბრგყელი ძვლების ღრუბლისებრი ნივთიერება
rhaphe, es f -ნაკერი(ლათ.sutura, ae f)

ბრუნების ნიმუში

	No. sing.
Nom.	systole
Gen.	systol-es
Dat.	systole-ae
Acc.	systol-en
Abl.	systol-e

ამ ტიპის არსებით სახელებს თუკი აქვთ მრავლობითი რიცხვის ფორმა, ლათინური არსებითი სახელებისაგან არ განსხვავდებიან.

თავისებურად იბრუნვიან მამრობითი სქესის ბერძნული არსებითი სახელებიც რომლებიც Nom. sing.-ში -es-ზე ხოლო Gen. sing.-ში -ae-ზე ბოლოვდებიან.

მაგ.: diabetes, ae m -დიაბეტი

*ეს მცენარე არაბებმა შემოიგანეს ინდოეთიდან (არაბულად kafur - ნიშნავს თეთრს).

ascites, ae m -ასციგისითხე მუცლის ღრუში (მუცლის წყალმანკი)

	No. sing.
Nom.	diabetes
Gen.	diabet-ae
Dat.	diabet-ae
Acc.	diabet-am ან diabeten
Abl.	diabet-a

§32. არსებით სახელთა II ბრუნება
DECLINATIO SECUNDA

II ბრუნებით იბრუნვიან მამრობითი და საშუალო სქესის მხოლოდ ის არსებითი სახელები, რომელთაც Nom. sing.-ში აქვთ დაბოლოება -i

ა) **მამრობითი სქესის არსებითებს** Nom. sing.-ში აქვთ დაბოლოება -us ან -er.მაგ:

sulcus, i m -ღარი	puer, i m -ბიჭი
radius, i m -სხივის ძვალი	ramus, i m -ტოტი
angulus, i m -კუთხე	peadiater, tri m -პედიატრი
magister, tri m -მასწავლებელი	cancer, cri m -კიბო

II ბრუნების მამრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები

	N. sing.	N. plur.
Nom.	-us, -er	i
Gen.	i	-orum
Dat.	-o	-is
Acc.	-um	-os
Abl.	-o	-is

ბრუნების ნიმუშები

	N. sing.	N. plur.	N. sing.	N. plur.
Nom.	ramus	ram-i	cancer	cancr-i
Gen.	ram-i	ram-orum	cancr-i	cancr-orum
Dat.	ram-o	ram-is	cancr-o	cancr-is
Acc.	ram-um	ram-os	cancr-um	cancr-os
Abl.	ram-o	ram-is	cancr-o	cancr-is

ასევე იბრუნვის არსებითი სახელი vir, i m- მამაკაცი (ბერძნ. andr)

	N. sing.	N. plur.
Nom.	vir	vir-i
Gen.	vir-i	vir-orum
Dat.	vir-o	vir-is
Acc.	vir-um	vir-os
Abl.	vir-o	vir-is

შეუთანხმებელი მსაზღვრელი

თვალის კუნთი - musculus oculi

	N. sing.	N. plur.
Nom.	musculus oculi	muscul-i culi
Gen.	muscul-i culi	muscul-orum oculi
Dat.	muscul-o culi	muscul-is culi
Acc.	mucsul-um oculi	muscul-os culi
Abl.	muscul-o culi	muscul-is culi

შეთანხმებელი მსაზღვრელი

ჯანმრთელი ბიჭი - puer sanus

	N. sing.	N. plur.
Nom.	puer sanus	puer-i san-i
Gen.	puer-i san-i	puer-orum san-orum
Dat.	puer-o san-o	puer-is san-is
Acc.	puer-um san-um	puer-os san-os
Abl.	puer-o san-o	pier-is san-is

ბ) **II ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელებს** Nom. sing.-ში აქვთ დაბოლოება -um ან -on. უკანასკნელი დაბოლოება მხოლოდ ბერძნული წარმოშობის არსებით სახელებს აქვთ. II ბრუნების საშუალო სქესის არსებითი სახელებია:

septum, i n - ძგიდე	manubrium, i n - ტარი
tuberculum, i n - ბორცვი	membrum, i n - კიდური
sternum, i a - მკერდი	skeleton, i n - ჩონჩხი
dorsum, i n - ზურგი	ligamentum, i n - იოგი
olecranon, i n - იდაყვის მორჩი	ganglion, i n - კვანძი

II ბრუნების საშიალო სქესის არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები

	N. sing.	N. plur.
Nom.	-um ან -on	-a
Gen.	-i	-orum
Dat.	-o	-is
Acc.	-um ან -on	-a
Abl.	-o	-is

საშუალო სქესის არსებითი სახელები ამყღავნებენ შემდეგ თავისებურებებს:

1.Acc. sing. ყოველთვის ემთხვევა Nom. sing.-ს.
2.Acc. plur. ყოველთვის ემთხვევა Nom. plur.-ს და მთავრდება "a" ხმოვანზე.

გავითვალისწინოთ ეს თავისებურებები და ვაბრუნოთ არსებითი სახელები

	septum, i n -ძგიდე		skeleton, i n -ჩონჩხი	
	N. sing.	N. plur.	N. sing.	N. plur.
Nom.	septum	sept-a	skelet-on	skelet-a
Gen.	sept-i	sept-orum	skelet-i	skelet-orum
Dat.	sept-o	sept-is	skelet-o	skelet-is
Acc.	sept-um	sept-a	skelet-un	skelet-a
Abl.	sept-o	sept-is	skelet-o	skelet-is

შეუთანხმებელი მსაზღვრელი

დაფის ღრუ - cavum tympani

	N. sing.	N. plur.
Nom.	cavum tympani	cav-a tympani
Gen.	cav-i tympani	cav-orum tympani
Dat.	cav-o tympani	cav-is tympani
Acc.	cav-um tympani	cav-a tympani
Abl.	cav-o tympani	cav-is tympani

შეთანხმებელი მსაზღვრელი

ყვითელი იოგი - ligamentum flavum

	N. sing.	N. plur.
Nom.	ligamntum flavum	ligamet-a flav-a
Gen.	ligament-i flav-i	ligament-orum tflav-orum
Dat.	ligament-o flav-o	ligament-is flav-is
Acc.	ligament-um flav-um	ligament-a flav-a
Abl.	ligament-o flav-o	ligament-is flav-is

***

Loco citato - ციტირებულ ადგილას.

Homo ornat locum, non locus huminem - ადამიანი ამკობს ადგილს და არა ადგილი ადამიანს.

Anno Domini - ქრისტეს აქეთ (ჩვენი წელთაღრიცხვით).

Anno mundi - სამყაროს შექმნიდან.

Ab ovo - თავიდან (კვერცხიდან).

Curriculum vitae - ავტობიოგრაფია.

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ: musculus rectus - სწორი კუნთი;
nucleus planus - ბრტყელი ბირთვი;
ventriculus dexter - მარჯვენა პარკუჭი;
angulus costae - ნეკნის კუთხე;
sceleton antebrachii - წინამხრის ჩონჩხი;
atrium sinistrum - მარცხენა წინაგული;
extractum fluidum - თხიერი გამონაწვლილი;
remedium internum - შინაგანი სამკურნალო საშუალება.

II. გაარჩიეთ, თარგმნეთ:

Suturae cranii. Rostrum sphenoidale. Sulcus lacrimalis. Sulcus palatinus major. Canaliculus mastoideus. Sulci arteriosi. Sulcus sinus petrosi inferioris. Angulus occipitalis. Tuberculum pharyngeum. Cranium cerebrale. Manubrium sterni. Tuberculum musculi scaleni anterioris.

III. თარგმნეთ ლათინურად ანატომიური ტერმინები:

სიგმოიდური სინუსის ღარი. მკერდის კუთხე. ლავიწისქვეშა არტერიის ღარი. მკერდის ტარი. ნეკნის ღარი. ნეკნის კუთხე. არტერიის ტოტი. თვალების ნერვები და კუნთები. ტერფის თითები. მარჯვენა თვალი. გრძელი ცხვირი. კუჭის წილი. თვალის ფსკერი. ბურგის კუნთი. ნეკნის ყელი. წინამხრის ჩონჩხი. ქალას ნაკერები.

IV. თარგმნეთ ლათინურად ფარმაცევტული ტერმინები:

მცენარის ფოთოლი. ფოთლების გამონაცემი. სინთომიცინის მალამო. მზესუმზირის ზეთი. ქუჩულას ნაყენი. შაქრის სიროფი. ანისულის ზეთი. კაკაოს ზეთი (ცხიმი). კამის წყალი. ძახველის ექსტრაქტი. ხორბლის სახამებელი. აბუსალათინის ზეთი.

§33. II ბრუნების მამლობითი სქესის არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. nervus, i m (ბერძნ. neur- on)-ნერვი
2. morbus, i m (ბერძნ. nos-os)-ავადმყოფობა
3. musculus, i m (ბერძნ. my-os)-კუნთი
4. sulcus, i m -ღარი
5. lumbus, i m -წელი
6. truncus, i m -ტანისერო
7. digitus, i m (ბერძნ. dactyl-os)-თითი
8. ramus, i m -ტოტი
9. nasus, i m (ბერძნ. rhin-os)-ცხვირი
10. radius, i m -სხივის ძვალი
11. ventriculus, i m – კუჭისპირკუჭი
12. cancer, i m –კიბო
13. esophagus, i m -საყლაპავი
14. lobus, i m -წილი
15. medicus, i m (ბერძნ. iatr-os)-ექიმი
16. oculus, i m (ბერძნ. ophtham-os)-თვალი
17. aegrotus, i m -ავადმყოფი
18. angulus, i m -კუთხე
19. numerus, i m -რიცხვი
20. fundus, i m -ფსკერი
21. bacillus, i m -ჩხირისებაკილა
22. Helianthus, i m -მზესუმზირა
23. Leonurus, i m -შავბალახა
24. Oxycoccus, i m -შტოში
25. succus, i m -წვენი
26. Ricinus, i m -აბუსალათინი
27. Strophanthus, i m -სტროფანთი
28. Strychnos, i m -ქუჩილა
29. sirupus, i m -ვაჟინი,სიროფი
30. Hyoscyamus, i m -ლენკოფა
31. Rubus ideaus – ჟოლო
32. nanus, i m -ჯუჯა,ქონდრისებაკი

გამონაკლისები სქესის მიხედვით:

periodus, i f -პერიოდი	methodus, i f -მეთოდი
crystallus, i f -კრისტალი	diameter, tri f -დიამეტრი
Eucalyptus, i f -ევკალიპტი	virus, i n -ვირუსი
humus, i f -მიწა,ნიადაგი	vutgus, i n -ბრბო

§34. II ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. atrium, i n -წინაგული
2. cerebellum, i n -ნათხემი
3. cerebrum, i n (ბერძნ. encephal-on)- თავის გვინი
4. dorsum, i n – ზურგი
5. doudenum, i n -თორმეტგოჯა ნაწლავი
6. omentum, i n -ბადექონი
7. ligamentum, i n -იოგი
8. tuberculum, i n -ბორცვიბოლქვიგუბერი
9. sternum, i n -მკერდი
10. manubrium, i n -ტარი
11. sacrum, i n – გვა
12. collum, i n -ყელი
13. brachium, i n -მხარი
14. antebrachium, i n -წინამხარი
15. cranium, i n -თავის ქალა
16. cavum, i n -ღრუ
17. acromion, i n -აკრომიონი
18. olecranon, i n (ბერძნ.)- იდაყვის მორჩი
19. ganglion, i n (ბერძნ.)- კვანძი, ნერვული კვანძი
20. intestinum, i n (ბერძნ. enteron)- ნაწლავი
21. colon, i n (ბერძნ.)- კოლინჯი
22. mesenterium, i n -ჯორჯალი
23. membrum, i n - კიდური
24. unguentum, i n -მალამო
25. acidum, i n -მჟავა
26. antidotum, i n - შხამსაწინააღმდეგო ნივთიერება
27. decoctum, i n -ნახარში
28. emulsum, i n -ემულსია
29. exstractum, i n -ექსტრაქტიგამონაწვლილი
30. folium, i n -ფოთოლი
31. infusum, i n - გამონაყენი (წყლიანი ნაყენი)
32. linimentum, i n -თხიერი მალამო
33. oleum, i n -ზეთი
34. spatium, i n -სივრცე
35. monstrum, i n -ურჩხულიმახინჯი ინდივიდი (ემბრიოგენეზის დეფექტი)
36. Anisum, i n -ანისული
37. suppositorium i n -სამკურნალო სანთელი
38. butyrum Cacao (oleum Cacao) - კაკაოს ზეთი
39. remedium, i n (pharmacon, i n) -სამკურნალო საშუალება, წამალი
40. Absinthium, i n -აბზინდა
41. Chenopodium, i n -ნაცარქათამა

41. Chenopodium, i n -ნაცარქათამა
42. Erysimum, i n -ზაფრანა
43. Gossypium, i n -ბამბა
44. Triticum, i n -ხორბალი
45. amylum, i n -სახამებელი
46. saccharum, i n -შაქარი
47. talcum, i n -ტალკი
48. vitrum, i n -შუშა
49. Chelidonium, i n -ქრისტესისხლა
50. Carum carvi -კვლიავი
51. Foeniculum, i n -კამა
52. Equisetum, i n -შვიტა
53. Persicum, i n -ატამი
54. Viburnum, i n -ძახველი
55. oxydum, i n -ოქსიდი

სავარჯიშო:

I. გაარჩიეთ, თარგმნეთ:

a) Inter musculos saepe magnus numerus nervorum jacet. Skeleton anterbrachii ex radio et ulna constat. Thorax et abdomen in trunco hominis sunt. Trachea ex annulis cartilaginis componitur. Lingua est organum musculorum, tunica mucosa tecta. Hepar in duas partes dividitur: lobum dextrum majorem et lobum sinistrum minorem.

b) Linimenta et unguenta remedia externa sunt. Seccharum purum, decocta foliorum plantarum, infucum berbae Valerianae in medicina adhibentur. Da in vitro seu da ad vitrum!

II. თარგმნეთ ლათინურ ენაზე:

ა) არტერიული ღარები. თავის კუნთები. ზურგის უგანიერესი კუნთი. ზურგის კუნთები. თვალების ნერვები. თავის ტვინის ღარები. მარჯვენა პარკუჭი. მარცხენა წინაგული. ქრონიკული დაავადება. კლდოვანი ნერვი. საყლაპავის ბორცვი. ქვედა ყბის ტოტები. თვალის ფსკერი. სახის კუნთები. განივი ითვი. სწორი კუნთი. ირიბი კუნთები. ცხვირის ღრუ. მხრის კუნთი. ზურგის სწორი კუნთები ფარავენ ხერხემალს (მალების სვეტს).

ბ) გაეცი შავი შუშით. გარეგანი სამკურნალო საშუალება. შინაგანი სამკურნალო საშუალება. სწორი ნაწლავის საშუალებით. ნაწლავის ჩხირი. კალანქოეს წვენი. სანთლები ნოვოკაინით (ნოვოკაინთან ერთად). კატაბალახას ნაყენი ქაფურით (ქაფურთან ერთად).

III. თარგმნეთ ქართულად. ყურადღება მიაქციეთ ანატომიური ტერმინის სტრუქტურულ მოდელს, შეუდარეთ ქართული ტერმინის სტრუქტურას: Rami bonchiales. Lobus quadratus hepatis. Ganglia lumbalia. Cingulum membri inferioris. Cavum thoracis. Rami capsulae internae. Ganglia renalia. Angulus oculi lateralis. Truncus corporis callosi. Tuberculum musculi scaleni anterioris. Labyrinthus osseus. Lobus pulmonis inferior. Lobus hepatis dexter. Ramus externus nervi accessorii. Periodus mitotica.

IV. წაიკითხეთ და თარგმნეთ ფარმაცევტული ტერმინები: Folium Althaeae. Folium Betulae. Folium Hyoscyami. Herba Millefolii. Herba Leonuri. Herba Absinthii. Oleum Persicorum. Oleum Olivarum. Oleum Amygdalarum. Oleum menthae piperitae. Oleum Eucalypti. Unguentum Ichthyoli. Unguentum olei Terebinthinae.

§35. სიტყვაწარმოება

I და II ბრუნების არსებით სახელთა სუფიქსები

1. -ul-, -cul, -ol- დაერთვის ნებისმიერი ბრუნების არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს I და II ბრუნების იმავე სქესის კნინობითი მნიშვნელობის არსებით სახელებს, მაგ.:

venter, tris m -მუცელი	ventriculus, i m -კუჭი/პარკუჭი
canalis, is m -არხი	canaliculus, i m -პაგარა არხი
tuber, eris n -ბორცვი	tuberculum, i n -ბორცვაკი
caput, itis n -თავი	capitulum, i n -პაგარა თავი
corpus, oris n -სხეული	corpusculum, i n -სხეულაკი
arteria, ae f -არტერია	arteruola, ae f -არტერიოლა
fossa, ae f -ფოსო	fossula, ae f -ფოსუკი

2. -in- აწარმოებს სამკურნალო ნივთიერებებისა თუ პრეპარატების სახელწოდებების აღმნიშვნელ II ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელებს.

მაგ.: aspirinum, i n
analginum, i n
amidopyrinum, i n

3. -zin-, -zid-, -zol- აწარმოებს პრეპარატების სახელწოდებების აღმნიშვნელ II ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელებს.

მაგ.: phthivazidum, i n -ფთივაზიდი
phthalazolum, i n -ფთალაზოლი
aminazinum, i n -ამინაზინი
dibazolum, i n -დიბაზოლი
sulfathiazolum, i n -სულფათიაზოლი

4. -ol - აწარმოებს სამკურნალო ნივთიერებათა სახელწოდებების აღმნიშვნელ II ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელებს.

მაგ: ichthyolum, i n -იქთიოლი (ichthys -ბერძნ. თევზს ნიშნავს)*
mentholum, i n -მენთოლი (ძვ. ბერძნ. mentha -პიტნა)

** ბერძნ. თევზი. პირველ საუკუნეთა ქრისტიანები, რადგანაც მათ დაუნდობლად სდევნიდნენ, თავიანთ სიმბოლოდ თევზის გამოსახულებას მიიჩნევდნენ, მოსაწვევ ბარათებზე თევზს ხატავდნენ, რათა მორწმუნე ქრისტიანებს სცოდნოდათ, სად და როდის იყო მათი შეკრება. სიტყვას "Ichthys" - ისინი აღიქვამდნენ როგორც აბრევიატურას ფრაზისა "იესო ქრისტე ღმერთი ჩვენი მაცხოვარი".*

5. -ari-, -ori- აწარმოებს II ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ სათავსოს, სადაც ხდება რამე.

aquarium, i n - აკვარიუმი, სათავსო, სადაც წყლის ცხოველები, უმეტესად თევზები ჰყავთ.
vivarium, i n - ვივარიუმი (სადაც კვლევისთვის გამზადებული ცოცხალი ცხოველები ჰყავთ).
auditorium, i n - აუდიტორია (ადგილი, სადაც ისმენენ).
laboratorium, i n - ლაბორატორია ადგილი, სადაც მუშაობენ.

6. -ur- დაერთვის ზმნის სუპინუმის ფუძეს და აწარმოებს I ბრუნების მდედრობითი სქესის არსებით სახელებს, რომლებიც გამოხატავენ ამ ზმნით გადმოცემული მოქმედების შედეგს.

მაგ.: frango, fregi, fractum, frangĕre - ტეხა (ვტეხ)
fractura, ae f - მოტეხილობა
misceo, miscui, mixtum, miscĕre - შერევა
mixtura, ae f - ნარევი

სავარჯიშო:

I. აწარმოეთ კნინობითი მნიშვნელობის არსებითი სახელები:

ramus, i m - ტოტი	malleus, i m - ჩაქუჩი
bronchus, i m - ბრონქი	pila, ae f - ბურთი
saccus, i m - პარკი	radix, icis f - ფესვი

II. თარგმნეთ სამკურნალო ნივთიერებათა სახელწოდებები:

მორფინი. ტანინი. პეპსინი. სინთომიცინი. პენიცილინი. ადრენალინი. პანკრეატინი. მეთაციკლინი. ნიკოტინი. ეფედრინი. ტეტრაციკლინი. პაპავერინი. პაპაზოლი.

III. აწარმოეთ არსებითი სახელები, რომლებიც მოქმედების შედეგს გამოხატავენ:

გახლეჩა - findo, fidi, fissum, finděre
გახსნა - aperio, aperui, apertum, aperīre
შეერთება - jungo, junxi, junctum, jungĕre
გჭრა - inciso, incisi, incisum, inciděre
კერვა - suo, sui. sutum, suĕre

IV. გაარჩიეთ, თარგმნეთ:

1. Vesicula est vesica parva, sacculus – saccus parvus.
2. Corpusculum residuae et corpusculum basale.
3. Particula elementaria.
4. Reticulum endoplasmicum.
5. Zona parva aliter zonula nominatur.

§36. I რიგის ზედსართავი სახელები

I რიგის ზედსართავები სამდაბოლოებიანია. მამრობით სქესში მათ აქვთ დაბოლოება us ან er, მდედრობითში - a, საშუალოში - um.

მაგ.: purus, pura, purum -სუფთა
obliquus, obliqua, obliquum -ირიბი
dexter, dextra, dextrum -მარჯვენა
niger, nigra, nigrum -შავი

ლექსიკონში სრულად იწერება ზედსართავის მამრობითი სქესის ფორმა, გვერდით კი მიეთითება მდედრობითი და საშუალო სქესის დაბოლოებები.

purus, a, um -სუფთა
obliquus, a, um -ირიბი
dexter, tra, trum -მარჯვენა
niger, gra, grum -შავი

I რიგის ზედსართავთა მდედრობითი სქესის ფორმები იბრუნვის I ბრუნებით, მამრობითი და საშუალო სქესის კი - II ბრუნებით, რის გამოც მათ I და II ბრუნების ზედსართავებსაც უწოდებენ.

ბრუნების ნიმუში

	N. sing.		
	M	F	N
Nom.	purus	pura	purum
Gen.	pur-i	pur-ae	pur-i
Dat.	pur-o	pur-ae	pur-o
Acc.	pur-um	pur-am	pur-um
Abl.	pur-o	pur-a	pur-o

	N. plur.		
	M	F	N
Nom.	puri	pur-ae	pura
Gen.	pur-orum	pur-arum	pur-orum
Dat.	pur-is	pur-is	pur-is
Acc.	pur-os	pur-as	pur-a
Abl.	pur-is	pur-is	pur-is

ზედსართავი სახელი უთანხმდება საზღვრულ არსებით სახელს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში და იბრუნება საზღვრულ სიტყვასთან ერთად (იხ. შეთანხმებული მსაზღვრელი I და II ბრუნებაში).

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ანატომიურ ნომენკლატურაში არსებით სახელად აღიქმება:

caecum - ბრმა ნაწლავი (intestinum caecum)
arachnoidea, ae f - ქსელისებრი აპკი (membrana arachnoidea)
vagus, i m - ცდომილი ნერვი (nervus vagus)
rectum, i n - სწორი ნაწლავი (intestinum rectum)

§37. I რიგის ზედსართავ სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. acutus, a, um - მწვავე
2. aegrotus, a, um - ავადმყოფისნეული
3. sanus, a, um - ჯანსაღი, ჯანმრთელი
4. aethereus, a, um - ეთეროვანი
5. aethylicus, a, um - ეთილიანი, ეთილისა
6. albus, a, um - (ბერძნ. leucos) - თეთრი
7. bonus, a, um - კარგი
8. aracnoideus*, a, um - ობობას ქსელისებრი
9. malus, a, um - ცუდი
10. benignus, a, um - კეთილთვისებიანი
11. malignus, a, um - ავთვისებიანი
12. cavus, a, um - ღრუ
13. cribrosus, a, um - დაცხრილული, ცხავისებრი
14. cutaneus, a, um - კანისა
15. flavus, a, um - ყვითელი
16. felleus, a, um - ნაღვლისასანაღვლე
17. fluidus, a, um - (ექსტრაქტებისათვის) - თხიერი, თხევადი
18. liquidus, a, um - თხიერი
19. lambdoideus, a, um - ლამბდისებრი
20. haemostaticus, a, um - სისხლდენის შემაჩერებელი
21. gelatinosus, a, um - ჟელატინისა
22. frigidus, a, um - ცივი
23. magnus, a, um - დიდი
24. amylaceus, a, um - სახამებლიანი
25. parvus, a, um (ბერძნ. micros) - პატარა

** არაქნე ბერძნულ მითოლოგიაში გამრჯე და ხელმარჯვე გოგონა იყო, მისი ნაქსოვი გამოირჩეოდა სილამაზით. ქებით გაამაყებულმა არაქნემ შეჯიბრში გამოიწვია ქალღმერთი ათენა. რასაკვირველია, ათენამ გაიმარჯვა და დასჯა კიდეც ამაყი მოკვდავი - ობობად აქცია (მისი სახელი ბერძნულად ობობას ნიშნავს) და მიუსაჯა მუდამ ქსოვა.*

26. niger, gra, grum (ბერძ. melanos) - შავი
27. osseus, a, um - ძვლოვანი
28. palatinus, a, um - სასისა
29. purus, a, um - სუფთა
30. ruber, bra, brum (ბერძ. erythros) - წითელი
31. sedativus, a, um - დასაწყნარებელი
32. siccus, a, um - მშრალი
33. spissus, a, um - სქელი, ბლანგი, ხშირი
34. urinarius, a, um - საშარდე
35. zygomaticus, a, um - ყვრიმალისა, საყვრიმალე
36. chronicus, a, um - ქრონიკული
37. trapezius, a, um - ტრაპეციული

წაიკითხეთ ტექსტი და გადმოეცით ქართულად:

DE MUSCULIS

Myologia est doctrina de musculis. Docens eorum fabricam, originem, finem, situm, actionem et usum. Musculus est instrumentum motus. Dividitur musculus in corpus, etiam ventrem et duas extremitates. Extremitas, ubi musculus oritur caput, principium, origo sive etiam punctum fixum appellatur: finis vero cauda, punctum mobile et saepissime tendo dicitur.

Musculi organismi humani forma varii sunt. Sunt musculi longi, lati, breves. Musculi fasciis, quasi sacculis elasticis cinguntur. Fasciea propria sive profunda e tela fibrosa, compacta constat. Inter misculos distinguimus musculos rectos, obiquos, tranversos. Sunt etiam musculi interni, profundi.

§38. სიტყვაწარმოება

I რიგის მედსართავ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები

I რიგის მედსართავ სახელებს აწარმოებს რიგი ბერძნული თუ ლათინური სუფიქსებისა, რომლებიც დაერთვის მოტივირებული, ანუ ძირითადი სიტყვის (არსებითი, მედსართავი, რიცხვითი სახელები, მმნა) ფუძეს. ჩვეულებრივ, ბერძნული სუფიქსი დაერთვის ბერძნული სიტყვის ფუძეს, ლათინური სუფიქსი - ლათინურისას. თუმცა გვხვდება ჰიბრიდებიც, ე. ი. ბერძნულ სიტყვას ლათინური სუფიქსი დაერთვის და ლათინურ სიტყვას - ბერძნული. ნაწარმოებ მედსართავ სახელთა უმეტესობა აღნიშნავს: ა) რომელიმე ანატომიურ ორგანოსთან მიმართებას ან მსგავსებას; ბ) ნივთიერ შემადგენლობას, რაიმეთი აღჭურვას ან რაიმეს ჭარბ შემცველობას.

I რიგის მედსართავთა წარმოების წესი ასეთია: ძირეული სიტყვის (არსებითი, მედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი ან მმნა) ფუძეს დაერთვის I რიგის მედსართავთა მაწარმოებელი სუფიქსი, შემდეგ კი სქესის დაბოლოებები - us (მამრობითი), a (მდედრობითი), um (საშუალო).

განვიხილოთ ყველაზე ხშირად გამოყენებული სუფიქსები.

I. -ōs - დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს მედსართავ სახელებს, რომლებიც გამოხატავენ იმათ აღჭურვას ან სიჭარბეს იმისას, რასაც ეს არსებითი გამოხატავდა. ქართულში მას შეესატყვისება სუფიქსი "-თან", იშვიათად "-ურ".

ძირითადი სიტყვა	ფუძე	მედსართავი
squama, ae f - ქიცკი	squam -	squamosus, a, um - ქიცკიანი
tuber, eris, n - ბორცკი, ბოლქვი	tuber -	tuberosus, a, um - ბორცკიანი, ბოლქვიანი
spina, ae f - წვეტი	spin -	spinosus, a, um - წვეტიანი
caverna, ae f - მღვიმე	cavern -	cavernosus, a, um - მღვიმოვანი
fibra, ae f - ბოჭკო	fibr -	fibrosus, a, um - ბოჭკოვანი
petra, ae f - კლდე	petr -	petrosus, a, um - კლდოვანი
vena, ae f - ვენა	ven -	venosus, a, um - ვენური
arteria, ae f - არტეტია	arteri -	arteriosus, a, um - არტერიული

მაგ: sutura squamosa - ქიცვიანი ნაკერი
nervus petrosus - კლდოვანი ნერვი
fossula petrosa - კლდოვანი ფოსუკი
tela fibrosa - ბოჭკოვანი ქსოვილი
corpus cavernosum - მღვიმოვანი სხეული
sanguis venosus - ვენური სისხლი
sanguis arteriosus - არტერიული სისხლი

2. -ic-; -irc - ეს ბერძნული სიფუძესები უკვე გალათინურებულია, მაგრამ ძირითადად ბერძნული წარმოშობის არსებითი სახელების ფუძეს დაერთვის და ნაწარმოები მეღსართავებიც იმ ორგანოსა თუ სხეულის ნაწილთან მიმართებას აღნიშნავს, რომელსაც გამოხატავდა ძირეული არსებითი სახელი.

ძირითადი სიტყვა	ფუძე	ნაწარმოები მეღსართავი
mesenterium, i n - ჯორჯალი	mesenteri -	mesentericus, a, um - ჯორჯალისა
thorax, acis m - გულმკერდი	thorac -	thoracicus, a, um - საგულმკერდე, გულმკერდისა
pyloris, i m - პოლორუსი	pylor -	pylоricus, a, um - პილორუსისა
gaster, tris f - კუჭი	gaster -	gastricus, a, um - კუჭისა
ilia, ium (plur) - თეძოები	ili -	iliacus, a, um - თეძოსი
cardia, ae f - გული	cardi -	cardiacus, a, um - საგულე

მაგ:
vertebrae thoracicae - გულმკერდის მალები
succus gastricus - კუჭის წვენი
sinus mesentericus dexter - ჯორჯლის მარჯვენა სინუსი (წიაღი)
pars cardiaca - საგულე ნაწილი
pars pylorica - პოლორუსის ნაწილი

3. -acĕ- ბერძნ.; -ĕ - ლათინ.; -ĕ - ბერძნ. - ბერძნული სუფიქსები დაერთვის ბერძნული არსებითი სახელის ან მეღსართავის ფუძეს; ლათინური სუფიქსი - ლათინური არსებითის ფუძეს. ამ სუფიქსებით ნაწარმოები მეღსართავები ნივთიერ შედგენილობას აღნიშნავს (e).

ძირითადი სიტყვა	ფუძე	ნაწარმოები ზედსართავი
amylum, i n - სახამებელი	amyl -	amylaceus, a, um - სახამებლიანი
sebum, i n - ქონი	seb -	sebaceus, a, um - ქონიანი, ცხიმიანი
membrana, ae f - აპკი	membran -	membranaceus, a, um - აპკისებრი, აპკიანი
Ferrum, i n -რკინა	ferr -	ferreus, a, um - რკინიანი
Aurum, i n - ოქრო	aur -	aureus, a, um - ოქროსფერი, ოქროსი
os, ossis n - ძვალი	oss -	osseus, a, um - ძვლოვანი
cartilago, inis f - ხრტილი	cartilagin -	cartilagineus, a, um - ხრტილოვანი
cornu, us n - რქა	corn -	corneus, a, um - რქოვანი
aether, eris m - ეთერი	aether -	aethereus, a, um - ეთეროვანი
coccyx, ygis m - კუდუსუნი	coccyg -	coccygeus, a, um - კუდუსუნისა
meninx, ngis m - ტვინის გარსი	mening -	meningeus, a, um - ტვინის გარსისა

მაგ:
substantia ossea -ძვლოვანი ნივთიერება
vertebrae coccygeae - კუდუსუნის მალები
capsula amylacea -სახამებლის კაფსულა
tinctura aetherea -ეთეროვანი ნაყენი
glomus coccygeum - კუდუსუნის გორგალი
glandulae pharungeae -სახის ჯირკვალი
arcus tendineus fasciae pelvis -მენჯის ფასკიის მყესოვანი რკალი
arteria laryngea -ხორხის არტერია
arteria intoressea communis-ძვალთაშორისი საერთო არტერია

4. -at - დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს ზედსართავ სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ იმით აღჭურვილობას, რასაც ძირეული არსებითი სახელი გამოხატავდა.

5. -in * - დაერთვის არსებითის ფუძეს და ნაწარმოები ზედსართავი გამოხატავს მიკუთვნებას ან მსგავსებას ძირეულ არსებითთან.

6. -an; -ane - დაერთვის არსებითის ან ზედსართავის ფუძეს და ნაწარმოებ ზედსართავს. ძირითად არსებითთან მიკუთვნების ან მსგავსების მნიშვნელობა ენიჭება.

7. -ide - ბერძნული სუფიქსია,დაერთვის ბერძნული (იშვიათად ლათინური) არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს ზედსართავებს, რომლებიც ძირეულ არსებითთან მსგავსებას გამოხატავენ.

ძირითადი სიტყვა	ფუძე	ზედსართავი
cauda, ae ff - კუდი	caud -	caudatus, a, um - კუდიანი
stria, ae f - ზოლი	stri -	striatus, a, um - ზოლიანი
arcus, us m - რკალი, თაღი	arc -	arcuatus, a, um - რკალოვანი, თაღოვანი
dens, ntis m - კბილი	dent -	dentatus, a, um - დაკბილული
digitus, i m - თითი	digit -	digitatus, a, um - თითისებრი
palatum, i n - სასა	palat -	palatinus, a, um - სასისა
pelvis is f - მენჯი	pelv -	pelvinus, a, um - მენჯისა
anser, eris m - ბაგი	anser -	anserinus, a, um - ბაგისა
canis, is m - ძაღლი	can -	caninus, a, um - ძაღლისა
radius, i m - სხივის ძვალი	radi -	radiatus, a, um - სხივიანი, სხივოსანი
crux, ucis f - ჯვარი	cruc -	cruciatus, a, um - ჯვრისებრი

** ზოგჯერ ზედსართავის ფუძეს დაერთვის. მაგ.: masculus, a, um - მამრობითი, მამაკაცური, masculinus, a, um - მამრობითი სქესი.*

farina, ae f -ფქვილი	farin -	farinatus, a, um -დაფქვილული
femina, ae f - ქალი	femin -	feminatus, a, um - ქალისა, მდედრობითი
cutis, is f - კანი	cut -	cutaneus, a, um - კანისა subcutaneus, a, um - კანქვეშა
medius, a, um - შუა	medi -	medianus, a, um - შუათანა, შუამდებარე
uterus, i m - საშვილოსნო	uter -	uterinus, a, um - საშვილოსნოსი
calcar, aris n - დეზი	calcar -	calcarinus, a, um - დეზისა, დეზებიანი
sigma - ბერძნული S ასოს სახელწოდება	sigm -	sigmoideus, a, um - საგმისებური, სიგმოიდური
Amygdala, ae f - ნუში	amygdal -	amygdaloideus, a, um - ნუშისებრი
conus, i m - კონუსი	con -	conoideus, a, um - კონუსისებრი
rhombus, i m - რომბი	rhomb -	rhomboideus, a, um - რომბისებრი
delta - (ბერძნული D ასო)	delt -	deltoideus, a, um - დელტისებრი
trapeza - მაგიდა, ტრაპეცია	trapez -	trapezoideus, a, um - ტრაპეციისებრი
lambda - ბერძნული L ასო) ლამბდა	lambd -	lambdoideus, a, um - ლამბდისებრი

მაგ: corona radiata -სხივოსანი გვირგვინი
colon sigmoidium -სიგმისებრი კოლინჯი
impressio digitata -თითისებრი ჩანაჭდევი
cutis verticis gyrata -თხემის ხვეულებიანი კანი
fossa rhomboidea -რომბისებრი ფოსო
capsula crystallina -კრისტალური კაფსულა
arteria lobi caudati -კუდიანი წილის არტერია
bursa anserina -ბაგის ჩანთა
pes anserinus -ბათის თათი
partes genitales femininae externae -ქალის გარეთასასქესონაწილები
partes genitales masculinae externae -მამაკაცის გარეთასასქესონაწილები
pars uterina placentae -პლაცენტის საშვილოსნოს ნაწილი
os trapezoideum -ტრაპეციისებრი ძვალი
musculus deltoideus -დელტისებრი კუნთი
nucleus amygdaloideus -ნუშისებრი ბირთვი
ligamentum arcuatum medianum -შუამდებარე რკალოვანი იოგი
linea trapezoidea -ტრაპეციისებრი ხაზი
ligamentum conoideum -კონუსისებრი იოგი
fissura calcarina -ღეზის ნაპრალი

8. -phor (ბერძნ.) დაერთვის ბერძნული არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს ვედსართავ სახელებს, რომლებიც "გამომგანს" ან "მომგანს" აღნიშნავენ.

9. -fer (ლათ.) დაერთვის ლათინური არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს ვედსართავ სახელებს, რომლებიც "გამომგანს" ან "მომგანს" აღნიშნავენ.

ძირითადი სიტყვა	ფუძე	ნაწარმოები ვედსართავი
galactos (ბერძნ.) - რძე	galact -	galactophorus, a, um (ბერძნ.) - რძის მომყვანი
lac, lactis, n (ლათ.) - რძე	lact -	lactiferus, a, um - რძის მომყვანი
sudor, oris m - ოფლი	sudor -	sudoriferus, a, um - ოფლის გამომგანი
sanguis, inis m - სისხლი	sanguin -	sanguiferus, a, um - სისხლის მიმომგანი

მაგ: ductus sudoriferus -საოფლე ჯირკვლების გამომტანი სადინარი
vasa sanguifera -სისხლძარღვები
porus sudoriferus -ოფლის გამომტანი ფორი
ductus galactophorus seu doctus lactiferus -რძის გამომტანი სადინარი

10. ari დაერთვის არსებითი, ზედსართავი ან რიცხვითი სახელის ფუძეს და აწარმოებს ზედსართავ სახელებს.

ძირითადი სიტყვა	ფუძე	ნაწარმოები ზედსართავი
corona, ae f - გვირგვინი	coron -	coronarius, a, um - გვირგვინოვანი
tuba, ae f - მილი, ლულა	tub -	tubarius, a, um - ლულოვანი
urina, ae f - შარდი	urin -	urinarius, a, um - საშარდე
alimentum, i n - საკვები	aliment -	alimentarius, a, um - საკვების, მკვებავი
primus, a, um - პირველი	prim -	primarius, a, um - პირველადი
secubdus, a, um - მეორე	secund -	secundarius, a, um - მეორეული
tertius, a, um - მესამე	terti -	teriarius a, um - მესამეული

მაგ.: cortex primarius -პირველადი ქერქი
cortex secundarius -მეორეული ქერქი
cortex tertiarius -მესამეული ქერქი
area visualis secundaria -მეორეული ვიზუალური არე
apparatus urinarius -საშარდე აპარატი
vesica urinaria -შარდის ბუშტი
arteria coronaria dextra -მარჯვენა გვირგვინოვანი არტერია
apparatus alimentarius -საკვები აპარატი

11. -ri; -iv -სუფიქსები დაერთვის ზმნის სუპინუმის ფუძეს და მათი გამოყენებით ნაწარმოები ზედსართავი სახელი აღნიშნავს ძირეული ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელ ორგანოს.

ძირითადი სიტყვა	ფუძე	ნაწარმოები ზედსართავი
respiratum - სუნთქვა	respirat -	respiratorius, a, um - სასუნთქი
gustatum - გემო, გემოვნება	gustat -	gustatorius, a, um - გემოსი

olfactum - ყნოსვა	olfact -	olfactorius, a, um - საყნოსი, ყნოსვისა
obturatum - დახურვა	obturat -	obturatorius, a, um - დამხურავი
sedatum - დამშვიდება	sedat -	sedativus, a, um - დასაწყნარებელი
auditum - მოსმენა	audit -	auditivus, a, um - სასმენი
incisum - კვეთა, ჭრა	incis -	incisivus, a, um - საკვეთი

cellulae pneumaticaet tubae auditivae -სასმენი ლულის ჰაეროვანი უჯრედები
apparatus digestivus seu apparatus digestorius -საჭმლის მომნელებელი აპარატი
apparatus respiratorius -სასუნთქი (სუნთქვის) აპარატი
area parolfactoria -პაროლფაქტორული (საყნოსავის ირგვლივი) არე
area sensoria -მგრძნობელობის არე
arteria auditiva interna -შიგნითა სასმენი არტერია
remedia sedativa -დასაწყნარებელი სამუალებები

12. -ign - დაერთვის ზედსართავის ან მმნიზედის ფუძეს და აწარმოებს ზედსართავ სახელებს, რომლებიც გამოხატავენ რაიმეს მომასწავებელს ან მაჩვენებელს. მაგ.:

malus, a, um -ცუდი
malignus, a, um -ავი, ავთვისებიანი
bonus, a, um - კარგი, კეთილი, კეთილთვისებიანი
bene - კარგად
benignus, a, um - კეთილთვისებიანი
nelanoma juvenile benignum -საყმაწვილო კეთილთვისებიანი მელანომა
lymphadenopathia benigna -ლიმფური ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ:

sutura squamosa - ქიცვიანი ნაკერი
vesica urinaria - შარდის ბუშტი

septum osseum - ძვლოვანი ძგიდე
musculus trapezoideus - ტრაპეციისებრი კუნთი
arteria coronatia dextra - მარჯვენა გვირგვინოვანი არტერია
ligamentum arcuatum medianum - შუამდებარე რკალოვანი იოგი

II. თარგმნეთ ტერმინები ქართულად. ხაზი გაუსვით I რიგის ზედსართავ სახელებს, რომლებიც ნაწარმოებია თქვენთვის ნაცნობი სუფიქსებით. აღნიშნეთ, რომელი სიტყვისაგანაა ისინი მიღებული.

1. Anulus tendineus communis. 2. Sinus coronarius cordis. 3. Arcus zygomaticus. 4. Spatium intermembranosum. 5. Particula elementaria. 6. Periodus mitotica. 7. Corpus callosum. 8. Fibrae areuatae. 9. Tunica arachnoidea cerebri. 10. Articulatio cerebri. 11. Arteria coronaria sinistra et arteria diaphragmatica inferior. 12. Arteria gastrica dextra. 13. Colon sigmoideum. 14. Foramen caroticum externum. 15. Fossa coronoidea et fossa rhomboidea. 16. Ganglia trunci sympathici. 17. Ganglion autonomicum et ganglion stellatum.

მაგ.: Analus tendineus communis - საერთო მყესოვანი რგოლი
tendo, inis f - მყესი
tendin - ფუძე
tendin-e-us, a, um - მყესოვანი

III. თარგმნეთ ლათინურ ენაზე:

ა) გულმკერდის მალები. ვენური სისხლი. არტერიული სისხლი. შარდის ბუშტის ყელი. დელტისებური იოგი. მარჯვენა გვირგვინოვანი არტერია. კუბისებრი ძვალი. რომბისებრი დიდი კუნთი. სახის ძვალი. სასუნთქი აპარატი. ნუშისებრი ჯირკვლები. მღვიმოვანი ფოსო.

ბ) სახამებლის კაფსულა. კუჭის წვენი. საგულე საშუალება. ეთეროვანი ზეთი. ქოლატინის კაფსულა. წყლიანი ნაყენი. ბოლქვიანი მცენარე. მშრალი გამონაწვლილვი. სისხლდენის შემაჩერებელი სამკურნალო საშუალება.

§39. ნამყო სრულის ვნებითი გვარის მიმღეობა

ნამყო სრულის მიმღეობა იწარმოება სუპინუმის (მმნის III სალექსიკონო ფორმაა) ფუძეზე I ჯგუფის მედსართავ სახელთა სქესის დაბოლოებების -us, -a, -um დართვით.

Particip. perf. passivi = supinum-ის ფუძე+-us, a, -um.

აღნიშნა-signo, signavi, signatum, signare
სუპინუმი - signatum
სუპინუმის ფუძე - signat
მიმღობა- signatus, signata, signatum, ეი signatus, a, um აღნიშნული

გახეხა-tero, trivi, tritum, terĕre
სუპინუმი - tritum
სუპინუმის ფუძე - trit
მიმღობა-tritus, trita, tritum, ეი tritus, a, um – გახეხილი

შერევა-misceo, miscui, mixtum, miscere
სუპინუმი - mixtum
სუპინუმის ფუძე - mixt
მიმღობა-mixtus, mixta, mixtum, ეი mixtus, a, um – შერეული

მოსმენა-audio, audivi, auditum, audire
სუპინუმი - auditum
სუპინუმის ფუძე - audit
მიმღობა-auditus, audita, auditum, ეი auditus, a, um – მოსმენილი

ეს მიმღეობები მუსტად ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი დაბოლოების მქონე მედსართავი სახელი. მიმღობა ყოველთვის შეთანხმებული მსაზღვრელია და უთანხმდება საზღვრულ არსებით სახელს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში მუსტად ისე, როგორც I ჯგუფის მედსართავი სახელები.

მაგ.: აღნიშნული ნივთიერება - substantia signata
გახეხილი ქაფური - camphora trita
შერეული ხსნარი - solutio mixta

შერეული მალამო - unguentum mixtum
აღნიშნული თვალი - oculus signatus
ფაშარი გორგალი - glomus despersum
მკვრივი გორგალი - glomus compactum

ნამყოს ვნებითი გვარის მიმღეობის ბრუნების ნიმუში.

N. sing.

	M	F	N
Nom.	perforatus	perforata	perforatum
Gen.	perforat-i	perforat-ae	perforat-i
Dat.	perforat-o	perforat-ae	perforat-o
Acc.	perforat-um	perforat-am	perforat-um
Abl.	perforat-o	perforat-a	perforat-o

N. plur.

	M	F	N
Nom.	perforat-i	perforat-ae	perforat-a
Gen.	perforat-orum	perforat-arum	perforat-orum
Dat.	perforat-is	perforat-is	perforat-is
Acc.	perforat-os	perforat-as	perforat-a
Abl.	perforat-is	perforat-is	perforat-is

§40. ნამყოს ვნებითი გვარის მიმღეობა სამედიცინო ტერმინოლოგიაში

1. განივი - transversus, a, um
   მჯის განივი იოგი - ligamentum carpi transversum
   სასის განივი ნაოჭი - plica palatina tranversa
2. შემოხვეული, ირგვლივი - circumflexus, a, um
   ბარძაყის შემომხვევი (ბარძაყს შემოხვეული)
   ვენრდითი არტერია - arteria circumflexa femoris lateralis
   ბარძაყის შემომხვევი (ირგვლივი) არტერიები - arteriae circumflexae femoris
3. შეღწნილი რთული - compositus, a, um
   რთული სახსარი - articulatio composita
   რთული სახსრები - articullationes compositae
4. შეკვუბული - aggregatus, a, um
   შეკვუბული ლიმფური კვანძები - folliculi lymphatici aggregati
5. კლაკნილი - contortus, a, um
   თირკმლის კლაკნილი მილაკები - tubuli renales contorti
6. გახვრეტილი - perforatus, a, um
   წინა გახვრეტილი ნივთიერება - substantia perforata anterior
7. მიმაგრებული - affixus, a, um
   მიმაგრებული ფირფიტა - lamina affixa
8. დაფარული - occultus, a, um
   დაფარული ღერძი - spina occulta

9. დახურული - obturatus, a, um
   დახურული ხვრელი - foramen obturatum
10. მკვრივი - compactus, a, um
   მკვრივი ნივთიერება - substantia compacta
11. შეძენილი - acquisitus, a, um
12. თანდაყოლილი - congenitus, a, um
   გულის შეძენილი მანკი - vitium cordis acquisitum
   გულის თანდაყოლილი მანკი - vitium cordis congenitum
13. შეგუებული - accomodatus, a, um
   apparatus accomodatus oculi - თვალის აკომოდაციური აპარატი
14. შებრუნებული, გაუკუღმართებული - inversus, a, um
   შინაგანი ორგანოების შებრუნებული მდებარეობა - situs inversus viscerum
15. დაზიანებული, დარღვეული - laesus, a, um
   დაზიანებული ფუნქცია - functio laesa
16. დაქუცმაცებული, თანდაყოლილი - contusus, a, um
   დაქუცმაცებული ჭრილობა - vulnus contusum
   სტრეპტოციდის დანაყილი ტაბლეტები - tabulettae Streptocidi contusae
17. გაჭრილი - incisus, a, um
   გაჭრილი ჭრილობა - vulnus incisum
18. ნაკბენი - morsus, a, um
   ნაკბენი ჭრილობები - vulnera morsa
19. ნაჩხვლეტი - punctus, a, um
   ნაჩხვლეტი ჭრილობა - vulnus punctum
20. დაფლეთილი - laceratus, a, um
   დაფლეთილი ჭრილობა - vulnus laceratum
22. გაფილტრული - filtratus, a, um
   გაფილტრული ხსნარი - solutio filtrata
23. დალექილი - praecipitatus, a, um
   Sulfur praecipitatum - დალექილი გოგირდი
24. გახეხილი - tritus, a, um
   radices tritae - გახეხილი ფესვები
25. მოხარშული - coctus, a, um
   rhizoma coctum - მოხარშული ფესურა
26. გამოხდილი - destillatus, a, um
   aqua destillata - გამოხდილი წყალი
27. დამწვარი - ustus, a, um
   Magnesia usta - დამწვარი მაგნეზია
28. გასტერილებული - sterilisatus, a, um
   solutio sterilisata - სტერილური ხსნარი

29. გახსნილი - solutus, a, um
acidum solutum – გახსნილი მჟავა
30. შერეული - mixtus, a, um
substantiae mixtae – შერეული ნივთიერებები
31. აღდგენილი - reductus, a, um
Ferrum reductum – აღდგენილი რკინა
32. განზავებული - dilutus, a, um
acidum dilutum – განზავებული მჟავა
33. გასუფთავებული (მყარი სითხეებისთვის) - rectificatus, a, um
spiritus rectificatus – გასუფთავებული სპირტი
34. გასუფთავებული (მყარი ნივთიერებებისათვის) - depuratus, a, um
Sulfur depuratum – გასუფთავებული გოგირდი
35. გაწმენდილი (ვაქცინების, შრატების და ანატოქსინებისათვის) - purificatus, a, um
vaccinum purificatum – გაწმენდილი ვაქცინა

სავარჯიშო:

I. აწარმოეთ ვნებითი გვარის მიმღეობა შემდეგი ზმნებიდან:
1. თხზვა-შედგენა - compono, composui, compositum, componĕre
2. დახერგა - obturo, obturavi, obturatum, obturare
3. გახვრეტა - perforo, perforavi, perforatum, perforare
4. გამკვრივება - compingo, compegi, compactum, compingĕre
5. გადახვევა, ირიბად გადასვლა - transverto, transveti, transversum, transvertĕre
6. კბენა - mordeo, momordi, morsum, mordĕre
7. გამოხდა - destillo, destillavi, destillatum, destillare
8. დაზიანება - laedo, laesi, laesum, laedĕre

II. აბრუნეთ:
სასის განივი ნაოჭი - plica palatina transversa
მაჯის განივი იოგი - ligamentum carpi transversum

III. თარგმნეთ ქართულად:

1. Folliculi lymphatici aggregati appendicis vermiformis. 2. Arteria circumflexa ilii suprficialis. 3. Musculus transversus linguae. 4. Venae circumflexae femoris laterales. 5. Vena Transversa faciei. 6. Plica vesicalis transversa. 7. Arteria circumflexa humeri anterior. 8. Arteria circumflexa ilii profunda. 9. Articulatio tarsi transversa. 10. Ligamenta cruciata digitorum manus. 11. Substantiam perforatam anteriorem multa vasa sanguifera perforant.

IV. თარგმნეთ ლათინურად:

ა) სახის განივი არტერია. განივი მორჩის სასახსრე ფოსო. მსრის ძვლის შემომხვევი უკანა არტერია. განივი ხაზები. აორტის შემომხვევი

ტოგი. განივი წიაღის ღარი. მენჯის განივი იოგი. ბარძაყის შემომხვევი მედიალური არტერია.

ბ) გლუკოზის სტერილური ხსნარი. გამოხდილი წყლით განზავებული მარილმჟავა. კატაბალახას ნაყენთან გახეხილი ქაფური. დამწვარი შაბი. გასუფთავებული გოგირდი. გასუფთავებული სკიპიდარი (ტერებინთოს ზეთი). გასუფთავებული სპირტი. აღდგენილი რკინა ქელატინის კაფსულებში.

§41. არსებით სახელთა III ბრუნება
DECLINATIO TERTIA

III ბრუნებას მიეკუთვნება სამივე სქესის არსებითი სახელები, რომელთაც მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში (Nom. sing.) აქვთ სხვადასხვა დაბოლოება, ხოლო იმავე რიცხვის მათესაობითში (Gen. sing.)-ნიშანი-is.

III ბრუნების არსებით სახელებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფუძის სწორად დადგენას, ვინაიდან ამ სახელების უმეტესობა სრულ ფუძეს მხოლოდ Gen. sing.-დან გვიჩვენებს.

მაგ.:		
Nom. sing.	Gen. sing.	არს. სახ.-ის ფუძე
pulmo -ფილტვი	pulmon-is	pulmon
pars -ნაწილი	part-is	part
ulcus -წყლული	ulcer-is	ulcer
os -ძვალი	oss-is	oss
os -პირი	or-is	or

მხოლოდ ზოგიერთი or-ზე და er-ზე დაბოლოებული სახელის ფუძე თანხვდება Nom. sing.-ის ფორმას.

მაგ.:	Nom. sing.	Gen. sing.	ფუძე
	dolor -ტკივილი	dolor-is	dolor
	Aether -ეთერი	Aether-is	Aether

არსებითი სახელის ფუძის სწორად განსაზღვრა საჭიროა: ა) სახელის სწორად საბრუნებლად (ბრუნვის ნიშნები დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს); ბ) სიტყვაწარმოებისათვის (ფუძეს ემატება პრეფიქსები და სუფიქსები), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო ტერმინოლოგიისათვის.

მაგ: viscus, viscer-is -შიდა ორგანო, შიგნეულობა (ფუძე-viscer)
visceralis -შეიგნეულობისა (ზედსართავი სახელი)

appendix, appendic-is -ბრმა ნაწლავი (ფუძე-appendic)
appendicitis, idis f -ბრმანაწლავის ანთება

III ბრუნების არსებითი სახელები ბრუნების დროს გარკვეულ თავისებურებებს ავლენენ, რის გამოც ისინი იყოფიან 3 ტიპად: 1. თანხმოვანი, ანუ ძირითადი ტიპი. 2. ხმოვანი ტიპი. 3. შერეული ტიპი.

ბრუნების ნიშნები

Casus	Numerus singulatris			Numerus pluralis		
	M.	F.	N.	M.	F.	N.
Nom.	სხვადასხვა			-es	-es	-a(ia)
Gen.	-is	-is	-is	-um(ium)	-um(ium)	-um(ium)
Dat.	-i	-i	-i	-ibus	-ibus	-ibus
Acc.	-em	-em	=Nom	-es	-es	-a(ia)
Abl.	-e(i)	-e(i)	-e(i)	-ibus	-ibus	-ibus

შენიშვნები:

1. მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებითი სახელები იბრუნვის ერთნაირად.

2. საშუალო სქესის არსებით სახელებს ერთნაირი დაბოლოება აქვთ Nom. -სა და Acc. sing. -ში, ხოლო მრავლობითი რიცხვის იმავე ბრუნვებში აქვთ ნიშანი -a(ia).

3. ბრუნვის ნიშანთა ცხრილში ფრჩხილებში მოცემულია III ბრუნების ხმოვანი და შერეული ტიპის არსებით სახელთა განსხვავებული ბრუნვის ნიშნები, ფრჩხილების გარეშეც კი - თანხმოვანი ანუ ძირითადი ტიპის ბრუნვის ნიშნები.

§42. III ბრუნების თანხმოვანი ტიპი

თანხმოვანი ტიპის მიხედვით იბრუნვის სამივე სქესის ის არათანაბარმარცვლიანი არსებითი სახელები, რომელთა ფუძე ერთ თანხმოვანზე ბოლოვდება. არათანაბარმარცვლიან არსებითებს მხოლობითი რიცხვის Nom.-სა და Gen.-ში მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობა აქვთ. კერძოდ Gen. sing.-ში მათ ემატებათ ერთი მარცვალი.

მაგ.:	Nom. sing.	Gen. sing.	ფუძე
	pulmo	pulmonis	pulmon
	solutio	solutionis	solution
	ulcus	ulceris	ulcer
	dolor	doloris	dolor
	extremitas	extremitatis	extremitat
	abdomen	abdominis	abdomin

§43. III ბრუნების მამრობითი სქესის არსებითი სახელები

III ბრუნების მამრობითი სქესის არსებით სახელებს მხოლობითი რიცხვის სახელობითსა და ნათესაობით ბრუნვებში აქვთ შემდეგი დაბოლოებები:

Nom. sing	Gen. sing.	მაგალითები
-or	-oris	calor, caloris m - სიცხე
-os	-oris	flos, floris m - ყვავილი
-er	-ris	venter, ventris m - მუცელი
	-eris	Aether, Aetheris m - ეთერი
-ex	-icis	cortex, corticis m - ქერქი
-es	-edis	pes, pedis m - ტერფი
	-etis	paries, perietis m - კედელი
	--itis	stipes, stipitis m - ღერო
-o	-onis	pulmo, pulmonis m - ფილტვი
	-inis	homo, hominis m - ადამიანი

მამრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნება (თანხმოვანი ტიპი).

ბრუნვის ნიშნები

	Nom. sing.	Gen. sing.
Nom.	სხვადასხვა	es
Gen.	is	um
Dat.	i	ibus
Acc.	em	es
Abl.	e	ibus

ბრუნების ნიმუში

pulmo, pulmonis m -ფილტვი

	N. sing.	N. plur.
Nom.	pulmo	pulmon-es
Gen.	pulmon-is	pulmon-um
Dat.	pulmon-i	pulmon-ibus
Acc.	pulmon-em	pulmon-es
Abl.	pulmon-e	pulmon-ibus

§44. მამრობითი სქესის არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. flos, oris m (ბერძნ. anthos)-ყვავილი
2. pes, edis m (ბერძნ. podos)-ტერფიფეხი
3. homo, inis m (ბერძნ. anthropos)-ადამიანი
4. color, oris m (ბერძნ. chroma)-ფერი
5. odor, oris m -სუნი
6. sapo, onis m -საპონი
7. Aether, eris m -ეთერი
8. auctor, oris m -ავტორი
9. Carbo, onis m -ნახშირი
10. calor, oris m (ბერძნ. pyr)-სიცხე
11. cortex, icis m -ქერქი
12. dolor, oris, m (ბერძნ. algos)-ტკივილი
13. liquor, oris m -სითხე
14. pulmo, onis, m (ბერძნ. pneumon)-ფილტვი
15. rubor, oris m -სიწითლე
16. tumor, oris m (ბერძნ. oncos)-სიმსივნე
17. aër, aëris m -ჰაერი
18. ureter, eris m -შარდსაწვეთი

19. paries, etis m - კედელი
20. apex, icis m - მწვერვალი, წვეტი (ბერძნ. acros)
21 vertex, icis m - თხემი

სქესის გამონაკლისები:

1. გამონაკლისის სახით მდედრობით სქესს მიეკუთვნება:
   mater, matris f - ა) თავის ტვინის გარსი (ბერძნ. meninx),
   ბ) დედა
   gaster, gastris (ბერძნ)- კუჭი
   lex, legis f - კანონი
   arbor, oris (ბერძნ. dendron)- ხე
   faex, faecis - საფუარი
2. გამონაკლისის სახით საშუალო სქესს მიეკუთვნება:
   cor, cordis n (ბერძნ. cardia)- გული
   os, ossis n (ბერძნ. osteon)- ძვალი
   os, oris n (ბერძნ. stoma)- პირი
   tuber, tuberis n - ბორცვი (ბოტ. ტუბერიბოლქვი)
   cadaver, cadaveris n - გვამი
   Piper, Piperis n - პილპილი
   Papaver, Papaveris n - ყაყაჩო

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ:
   paries cordis - გულის კედელი
   cortex arboris - ხის ქერქი
   pulmo sinister - მარცხენა ფილტვი
   Aether aethylicus - ეთილის ეთერი

II. წაიკითხეთ, თარგმნეთ სიტყვათშეთანხმებები, ლექსიკონის დახმარებით გაარკვიეთ III ბრუნების არსებით სახელთა ფუძე:

Apex nasi	Os coxae
Cavum supinator	Cortex cerebelli
Musculus supinator	Ossa digitorum pedis
Digiti pedis	Paries superior
Ala vomeris	Os pneumaticum
Musculus extensor indicis	Pes planus
Apex patellae	Dura mater encephali

III. თარგმნეთ ლათინურად:

ა) საღი გული. თეთრი ყვავილი. გააქტიებული ნახშირი. მარჯვენა ფილტვი. მარცხენა ფილტვი. ძილისმომგვრელი ყაყაჩო. ეთილის ეთერი (ეთილოვანი ეთერი). შავი პილპილი.

ბ) მარჯვენა ფილტვის მწვერვალი. მარცხენა ფილტვის მწვერვალი. თითის მომხრელი კუნთი. თითის გამშლელი კუნთი. თავის ქალას

ბმლძყრბნ .(იბცლიცბცც) იოიცბცც ძბლიჩიცგ .(იბცლჟცც) იოცჟცს
.ბშრცცბც ძიოგბცრცცშნ ძიცგლიფ
VI. წცშნგრბდ ბჟ ფცძდიკიწ:
1. Cortex multarum arborum dura est. 2. Plenus venter non studet. 3. Note inflammationis sunt: rubor et tumor cum calore et dolore (Cornelius Celsus). 4. Musculus flexor digitorum quattuor tendines habet. 5. Per largum et tradesm aut in pulmones intrat. 6. Ventriculus parietem anteriorem et parietem posteriorem habet. 7. Cortices, folia et flores variarum plantarum ad curationem adhibentur.

ᲘᲛᲘᲜᲪᲐᲠ ᲫᲘᲪᲔᲪ ᲘᲛᲘᲜᲝᲮᲜᲔᲜ ᲫᲘᲜᲔᲨᲠᲐ III .ᲡᲮᲒ ᲘᲜᲪᲚᲪᲫᲪᲫ

იდიბოლოძნ ძნცლცძცქ დიბცძრბ ძიძცჩქ იდიბორჟდენ ძიბცშცრბ III იცცჟნცნ დცჩბ იწბცცშცრბ დიბორაცდძშ ბჟ ბაძდიბოლცძცქ ძიცძცირ :იბცბცოლორბჟ

Nom. sing	Gen. sing. ფუძის ნაწ.-ით	მაგალითები
-as	-atis	extremitas, extremitatis f - კიდური
-us	-utis	juventus, juventutis f - სიჭაბუკე
	-udis	palus, paludis f - ჭაობი
-is	-idis	iris, iridis f - თვალის ფერადი გარსი (ბოგ. ზამბახი)
	-is	auris, auris f - ყური
-es	-is	nubes, nubis f - ღრუბელი
თანხმ. + s	-tis	mens, ntis f - ჭკუა, გონება
-e-ს გარდა ყველა ხმოვანი +x	-cis	nux, nuc-is f - კაკალი
		pax, pac-is f - მშვიდობა
		pix, picis f - ფისი
		vox vocis f - ხმა

თანხმ. +x	-gis	meninx, meningis (ბერძნ.) - თავის ტვინის გარსი
-do	-inis	longitudo, longitudinis f - სიგრძე
-go	-inis	mucilago, mucilaginus f - ლორწო
-io	-onis	solutio, solotionis f - ხსნარი

მღელრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნება
(თანხმოვანი ტიპი)

ბრუნვის ნიშნები

	N. sing.	N. plur.
Nom.	სხვადასხვა	-es
Gen.	-is	-um
Dat.	i	-ibus
Acc.	-em	-es
Abs.	-e	-ibus

ბრუნვის ნიმუში

extremitas, atis f - ჯდური

	N. sing.	N. plur.
Nom.	extremitas	extremitat-es
Gen.	extremit-at-is	extremitat-um
Dat.	extremit-at-em	extremitat-ibus
Acc.	extremit-em	extremitat-es
Abl.	extremitat-e	extremitat-ibus

§46. მდედრობითი სქესის არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. appendix, icis f - 1. მორჩი, დანამაგი. 2. ბრმანაწლავის ჭიისებრი დანამაგი
2. epidermis, idis f - ეპილერმისი, კანის ზედა შრე
3. bilis, is f - ნაღველი (ნაღვლის ბუშტიდან გამოსული)
4. lens, ntis f - თვალის ბროლი
5. meninx, ngis f (ბერძნ.) - თავის ტვინის გარსი
6. phalanx, ngis f - ფალანგა
7. radix, icis f - ფესვი
8. auscultatio, onis f - მოსმენა, აუსკულაცია
9. palpatio, onis f - პალპაცია, ხელის შეხებით განისჯვა
10. extractio, onis f - გამოწველილვა, გამოღება
11. injectio, onis f - ინექცია, შეშაპუნება
12. mens, ntis f - ჭკუა, გონება
13. remissio, onis f - ჩაქრობა, შესუსტება
14. secretio, onis f - გამოყოფა
15. transfusio, onis f - გადასხმა
16. transsudatio, onis f - ტრანსუდაცია
17. Digitalis, inis f - სათითურა (მც)
18. mucilago, inis f - ლორწო
19. pix, picis f - ფისი
20. pix liquida - თხელი ფისი, კუპრი
21. solutio, onis f - ხსნარი
22. Thermopsis, idis f - თერმოფსიდი (მც)
23. nux, nucis f - კაკალი
24. cutis, is f (ბერძნ. derma) - კანი
25. operatio, onis f - ოპერაცია
26. latitudo, onis f - სიგანე
27. origo, inis f - წარმოშობა, დასაწყისი
28. aponeurosis, is f - აპონევროზი, განიერი კუნთების მყესოვანი ფირფიტა
29. iris, idis f* - 1. თვალის ფერადი გარსი. 2. ცისარტყელა. 3. ბოტ. ზამბახი

---

* *Iris-ი ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთი, რომელიც ღმერთების კეთილგანწყობას ამცნობდა ადამიანებს და ეცნობებოდა მათ ცისარტყელას სახით. რუსულ ანატომიურ ტერმინში შენარჩუნებულია ცისარტყელასთან ეტიმოლოგიური კავშირი - радужная оболочка глаза.*

სქესის გამონაკლისები

გამონაკლისის სახით მამრობით სქესს მიეკუთვნება:
1. calix, icis m - ფიალა
2. canalis, is m - არხი
3. lapis, idis m - ქვა
4. pulvis, eris m - ფხვნილი
5. axis, is m - 1. ღერძი, 2. კისრის II მალა
6. sanguis, inis m (ბერძნ. haema) - სისხლი
7. unguis, is m (ბერძნ. onychos) - ფრჩხილი
8. vermis, is m (ბერძნ. helmintheus) - ჭია
9. dens, ntis m (ბერძნ. odont) - კბილი
10. pons, ntis m - ხიდი
11. hydrops, opis m - წყალმანკი
12. larynx, yngis m - ხორხი
13. pharynx, ygis m - ხახა
14. coccyx, ygis m - კუდუსუნი
15. tendo, inis m - მყესი
16. margo, inis m - კიდე
17. thorax, acis m - გულმკერდი
18. atlas, ntis m* - აგლასი, კისრის II მალა

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ:

functio laesa - დარღვეული ფუნქცია
mucilago amylacea - სახამებლიანი ლორწო
pulvis albus - თეთრი ფხვნილი
solutio oleosa - ზეთოვანი სსნარი
faex medicinalis - სამედიცინო საფუარი
radix plantae - მცენარის ფესვი

II. წაიკითხეთ და თარგმნეთ: ლექსიკონის დახმარებით გაარკვიეთ მოცემული სიტყვათშეთანხმებების შემადგენელი სახელების სქესი, ფუძე და ბრუნება.

Cristae cutis	Articulatio cubiti
Basis stipitis	Falix cerebelli
Basis mandibulae	Substantia lentis
Tuberositas ulnae	Cortex lentis
Nuclei originis	Pyramis vestibuli
Nuclei terminationis	Aponeurosis linguae

** ტიტანი Atlas-ი ბერძნულ მიგოლოგიაში ღმერთების ძველი თაობის წარმომადგენელია. მას მხრებით ეჭირა ცის თაღი. მისი ადგილსამყოფელი ევროპის უკიდურესი დასავლეთია, რომლის იქითაც იშლება ატლანტის ოკეანე.*

Columna fornicis Articulatio coxae

Terminationes nervorum liberae

III. თარგმნეთ ლათინურად, შეუთანხმეთ ბედსართავები არსებით სახელებს:

1. რთული სახსარი. 2. ფარისებრი ხრტილი. 3. შუბლის არე. 4. მწარე ფესვი. 5. თავისუფალი კიდური. 6. ზედა კიდურის სარტყელი. 7. მარჯვენა ყური. 8. მარცხენა ყური. 9. საღი კანი. 10. თავის ტვინის მაგარი ქერქი. 11. ზეთოვანი ხსნარი. 12. სასაქმებელი კაკალი.

IV. დაასრულეთ ლათინურ ტექსტში მოცემული სიტყვები ქართული თარგმანის შესატყვისად:

1. ფილტვების მწვერვალებში
   In apic... pulmon...
2. მარცხენა ფილტვის მწვერვალზე
   In apic... pulmon... sinistr
3. მწვავე ტკივი მარჯვენა ფილტვსში
   Dolor... acut... in pulmon... dext...
4. მწვავე ტკივილები მარჯვენა ფილტვში
   Dolor... acut... in pulmon...
5. სიმსივნე ფეხზე
   Tumor in ped...
6. სიმსივნეები ფეხებზე
   Tumor... in ped...
7. გრძელი კუნთის მყესი
   Tendo muscul... long...
8. გრძელი კუნთების მყესები
   Tend... muscul... long...

V. თარგმნეთ:

1. Frons et oculi sunt partes faciei hominis. 2. Solutio aquosa. 3. Calices renales. 4. Digiti ex phalangibus constant. 5. Tuberositas deltoidea humeri. 6. Functiones musculorum sunt: Flexio, extensio, adductio, abductio, rotatio, supinatio. 7. Transfusio sanguinis saepe in medicina adhibetur.

§47. III ბრუნების საშუალო სქესის არსებითი სახელები

III ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელებს მხოლობითი რიცხვის სახელობითსა და ნათესაობით ბრუნვებში აქვთ შემდეგი დაბოლოებები:

Nom. sing	Gen. sing. ფუძის ნაწ.-ით	მაგალითები
-en	-inis	abdomen, abdominis n - მუცელი
-ur	-oris	jecur, jecoris n - ღვიძლი
	uris	Sulfur; Sulfuris n - გოგირდი
-us	-oris	pectus, pectoris n - მკერდი
	-eris	ulcus, ulceris n - წყლული
	-uris	pus, puris n - ჩირქი
-e	-is	Sacale, Secalis n - ჭვავი
-al	-alis	animal, animalis n - ცხოველი
-ar	-aris	calcar, calcaris n - დეზი
-ma	-atis	trauma, traumatis n - ტრავმა, დაზიანება
-c	-tis	lac, lactis n - რძე
-l	-is	mel, mellis n - თაფლი
	-is	fel, felis n - ნაღველი
-t	-itis	caput, capitis ნ -თავი

შენიშვნა:

-e, -al, -ar-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის არსებითი სახელები იბრუნვიან ხმოვანი ტიპის მიხედვით.

საშუალო სქესის არსებით სახელთა ბრუნება
(თანხმოვანი ტიპი)

ბრუნვის ნიშნები

	N. sing.	N. plur.
Nom.	სხვადასხვა	-a
Gen.	-is	-um
Dat.	-i	-ibus
Acc.	=Nom	-a
Abl.	-e	-ibus

ბრუნების ნიმუში
foramen, inis n -ხვრელი

	N. sing.	N. plur.
Nom.	foramen	foramin-a
Gen.	foramin-is	foramin-um
Dat.	foramin-i	foramin-ibus
Acc.	foramen	foramin-a
Abl.	foramin-e	foramin-ibus

§48. საშუალო სქესის არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. albumen, inis n -ცილა
2. alumen, inis n - შაბი
3. abdomen, inis n (ბერძნ. laparon)-მუცელი
4. animal, alis n (ბერძნ. zoo)-ცხოველი
5. diaphragma, atis n -დიაფრაგმა
6. fel, fellis n (ბერძნ. chole)-ნაღველი
7. hepar, atis n -ღვიძლი (ანატომ. კლინიკ.)
8. jecur, oris n -ღვიძლი (ფარმაც.)
9. Oleum jecoris Aselli -თევზის ქონი
10. lac, lactis n (ბერძნ. galactos)-რძე
11. neoplasma, atis n -ახალი წარმონაქმნი
12. oedema, atis n -შეშუპება
13. pectus, oris n -მკერდი
14. pulvinar, aris n -ბალიში
15. pus, puris n (ბერძნ. pyon)-ჩირქი
16. rete, retis n -ბადე
17. Secale, Secalis n -ჭვავი(მც)

18. Secale cornutum, n -(რქოვანი ჭვავი)-ჭვავის რქა
19. semen, inis n (ბერძნ. sperma)-თესლი
20. Sulfur, uris n (ბერძნ. thio)-გოგირდი
21. ulcus, eris n -წყლული
22. viscus, eris n (ბერძნ. splanchnon)-შიგნეულობა
23. vulnus, eris n -ჭრილობა
24. occiput, itis n -კეფა
25. femur, oris n -ბარძაყი/ბარძაყის ძვალი
26. caput, itis n -(ბერძნ. cephal)-თავი

სქესის გამონაკლისები

გამონაკლისის სახით საშუალოს ნაცვლად მამრობითი სქესისაა შემდეგი არსებითები:

1. ren, renis m (ბერძნ. nephros)-თირკმელი
2. lien, lienis m (ბერძნ. splen)-ელენთა
3. Sol, Solis m (ბერძნ. Helios)-მზე
4. sal, salis m -მარილი
5. aden, adenis m (ბერძნ.)-ჯირკვალი

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ: ulcus rotundum -მრგვალი წყლული
caput longum -გრძელი თავი
Sulfur praecipitatum -დალექილი გოგირდი
Papaver somniferum -ძილისმომგვრელი

II. წაიკითხეთ, თარგმნეთ, განსაზღვრეთ III ბრუნების არსებით სახელთა სქესი და ფუძე:

Crus sinistrum	Systema autonomicum
Caput longum	Foramen spinosum
Foramen nutritium	Corpus cavernosum
Ulcus tropicum	Ora serrata
Os planum	Lien accessorius
Tuber ischiadicum	Corpus adiposum

III. თარგმნეთ, შეუთანხმეთ ზედსართავები არსებით სახელებს:

პაგარა ბორცვი. პაგარა ბორცვები. მარჯვენა ტერფი. მარცხენა ტერფი. ჯანმრთელი ადამიანი. ჯანმრთელი ადამიანები. შიგნითა კედელი. გარეთა კედელი. შიგნითა კედლები. გარეთა კედლები. დაავადებული გული. დაავადებული კუჭი. მკვებავი ხვრელი. მკვებავი ხვრელები. მარჯვენა თირკმელი. მარცხენა თირკმელი. დაავდებული თირკმელი. დაავადებული თირკმლები. სალი ელენთა. სალი ჯირკვალი.

IV. წაიკითხეთ და თარგმნეთ:

1. Cor humanum situm est in sinistro pectoris latere. 2. In ossibus corporis humani foramina nutritia sunt. 3. Dolor magnus in pectore et in brachio sinistro symptoma anginae pectoris est. 4. Ossa corporis humani dura sunt. 5. Carcinoma neoplasma malignum est. 6. Regio abdominis in epigastrium, mesogastrium et hypogastrium dividitur.

V. თარგმნეთ ლათინურად.

1. ღვიძლის ჭრილობები საშიშია. 2, გული მდებარეობს მკერდის მარცხენა ნაწილში. 3. კუჭის მრავალი წყლული სანდახან იკურნება ოპერაციის საშუალებით. 4. კიბო ავთვისებიანი ახალი წარმონაქმნია. 5. ძვლები იოგებითა და ხრტილებით ერთდებიან.

§49. III ბრუნების ხმოვანი ტიპი

ხმოვანი ტიპის მიხედვით იბრუნვის:
1. საშუალო სქესის e, -al, ar-ზე დაბოლოებული არსებითები.

მაგ.: Secale, is n -ჭვავი
animal, is n -ცხოველი
calcar, aris n -ღერძი

2. III ბრუნების მედსართავ სახელთა დადებითი ხარისხის ფორმები.
3. აწმყო დროის მოქმედებითი გვარის მიმღეობები.

ხმოვანი ტიპის არსებით სახელებს თანხმოვანისაგან განსხვავებულად ეწარმოებათ შემდეგი ბრუნვები:
1. Abl. sing. -i (e-ს ნაცვლად)
2. Gen. plur. -ium (um-ის ნაცვლად)

3. საშუალო სქესის არსებითებსა და მედსართავებს Nom. და Acc. plur.-ში აქვთ ნიშანი -ia (a-ს ნაცვლად).

ხმოვანი ტიპის არსებით სახელთა **ბრუნვის ნიშნები**
(საშუალო სქესი)

	N. sing.	N. plur.
Nom.	სხვადასხვა	-ia
Gen.	-is	-ium
Dat.	-i	-ibus
Acc.	=Nom	-ia
Abl.	-i	-ibus

ბრუნების ნიმუში

animal, alis n -ცხოველი

	N. sing.	N. plur.
Nom.	animal	animal-ia
Gen.	animal-is	animal-ium
Dat.	animal-i	animal-ibus
Acc.	animal	animal-ia
Abl.	animal-i	animal-ibus

§50. III ბრუნების შერეული ტიპი

შერეული ტიპის მიხედვით იბრუნვის:

1. მდედრობითი სქესის -es-ზე და -is-ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლიანი არსებითი სახელები.

მაგ: cutis, is f -კანი
tabes, is f -სიმწლევე,სიგამხდრე

2. სამივე სქესის ის სახელები, რომელთა ფუძე 2 ან მეტ თანხმოვანზე ბოლოვდება:

მაგ: venter, ntris n -მუცელი(ფუძე ventr)
pars, partis f -ნაწილი(ფუძე part)
os, ossis n -ძვალი(ფუძე oss)

შერეული ტიპის არსებით სახელებს ძირითადი ანუ თანხმოვანი ტიპისაგან განსხვავებით ეწარმოებათ მხოლოდ ერთი ბრუნვა - Gen. plur. სადაც um-ის ნაცვლად აქვთ ნიშანი -ium.

ბრუნების ნიმუში

pars, rtis f -ნაწილი

	N. sing.	N. plur.
Nom.	pars	part-es
Gen.	part-is	part-ium
Dat.	part-i	parti-ibus
Acc.	part-em	parti-es
Abl.	part-e	part-ibus

os, ossis n -ძვალი

	N. sing.	N. plur.
Nom.	os	oss-a
Gen.	oss-is	oss-ium
Dat.	oss-i	oss-ibus
Acc.	os	oss-a
Abl.	oss-e	oss-ibus

§51. III ბრუნების არსებით სახელთაგან ყურადღებას იქცევს vas, vasis n -სისხლძარღვი. ეს არსებითი მხოლობით რიცხვში იბრუნვის III ბრუნების თანხმოვანი ტიპით, მრავლობითში კი - II ბრუნებით.

vas, vasis n -სისხლძარღვი

	N. sing.	N. plur.
Nom.	vas	vas-a
Gen.	vas-is	vas-oum
Dat.	vas-i	vas-is
Acc.	vas	vas-a
Abl.	vas-e	vas-is

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ:

auris dextra -მარჯვენა ყური
os corporis -სხეულის ძვალი
pars aequalis -თანაბარი ნაწილი
Secale cornutum -რქიანი ჭვავი

II. თარგმნეთ ლათინურად:

მწვერვალის ხვრელი. მწვერვალის ხვრელები. ფესვის მწვერვალი. ფესვის მწვერვალები (ფესვების...). კბილის ფესვები. ცხოველის ძვალი. ცხოველის ძვლები.

III. ჩასვით შესატყვისი დაბოლოებები ლათინურ ტექსტში:

1. ადამიანის სხეულის ძვლები
   Oss... corpor... homin...
2. მუცლი მრუდე კუნთი
   Musculus obliqu... abdom...
3. თავის ქალას გარღვეული (გაფლეთილი) ხვრელი
   Foram... cran... lacer...
4. თავის გრძელი კუნთი
   Musculus capit... long...
5. ბარძაყის ჭრილობები
   Vulner... femor...

6. ჩირქი მკერდის ჭრილობაში
Pus in vulner... pector...

IV. თარგმნეთ, ამოიწერეთ III ბრუნების არსებითი სახელები და გაარკვიეთ მათი ბრუნების ტიპი.

1. Ligamentum apicis dentis. 2. Digiti pedis. 3. Gaster sana. 4. Os coccygis. 5. Corpus costae. 6. Caput hominis. 7. Pars colica. 8. Rete carpi. 9. Musculus pharyngis. 10. Angulus oris. 11. Medulla ossium flava. 12. Canalis carpi. 13. Articulationes pedis. 14. Pars profunda. 15. Apex radicis dentis. 16. Vasa lymphatica.

V. შეუთანხმეთ ზედსართავი სახელები მოცემულ არსებითებს და თარგმნეთ.

Cor (bovinus, a, um)	Os (scaphoideus, a, um)
Cor (adiposus, a, um)	Os (leporinus, a, um)
Mater (pius, a, um)	Os (trapezoideus, a, um)
Mater (durus, a, um)	Piper (niger, gra, grum)
Tuber (ischiadicus, a, um)	Cadaver (obductus, a, um)

VI. თარგმნეთ:

1. Pulvinar thalami optici. 2. Forma cranii. 3. Trauma cranii. 4. Traumata capitis et pedum. 5. Calcar avis. 6. Systema digestorium. 7. Chiasma opticum. 8. Basis ossis sacri. 9. Symphysis mandibulae. 10. Syndesmosis sive junctura fibrosa. 11. Synchondrosis sive junctura cartilaginea. 12. Synostosis sive junctura ossea. 13. Sulci cutis. 14. Diaphragma pelvis. 15 Pyramides medullae oblongatae. 17. Laryngitis sive inflamatio laryngis. 17. Myocarditis sive inflamatio musculi cordis. 18. Endocarditis sive inflamatio endocardii. 19. Periostitis sive inflamatio periostei. 20. Bronchitis sive inflamatio bronchorum. 21. Vasa vasorum.

§52. III ბრუნების ბერძნული არსებითი სახელები

III ბრუნებით იბრუნვიან აგრეთვე ბერძნული წარმოშობის არსებითი სახელები, რომლებიც ბრუნებისას გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებენ.

ა) sis-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის თანაბარმარცვლიანი სახელები.

მაგ.: dosis, is f -დოზა,ნორმა
basis, is f -ბაზის,ძირი,ფუძე

ეს არსებითი სახელები იბრუნვიან ხმოვანი ტიპის მიხედვით და ახასიათებთ ერთი თავისებურება -Acc. sing.-ში em-ის ნაცვლად აქვთ ნიშანი im.

ბრუნებისნიმუში

disis, is f -დრმა

	N. sing.	N. plur.
Nom.	dsis	ds-es
Gen.	ds-is	ds-ium
Dat.	ds-i	ds-ibus
Acc.	ds-im	ds-es
Abl.	ds-i	ds-ibus

ა) ასევე იბრუნვის რამდენიმე ლათინური არსებითი სახელი: pel-vis, is f -მენჯი; febris, is f -ცხელება; tussis, is f -ხველა; pertussis, is f -ყივანახველა; vis, is f -ძალა*

ბ) is-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის არათანაბარმარცვლიანი არსებითი სახელები; რომლებსაც Gen. sing.-ში აქვთ დაბოლოება idis.

მაგ: pleuritis, idis f -პლევრიტი; პლევრის ანთება
bronchitis, idis f -ბრონქების ანთება

ეს არსებითი სახელები იბრუნვიან თანხმოვანი ტიპის მიხედვით.

ბრუნებისნიმუში

pleuritis, idis f -პლევრიტი

	N. sing.	N. plur.
Nom.	pleuritis	pleuritid-es
Gen.	pleuritid-is	pleuritid-um
Dat.	pleuritid-i	pleuritid-ibus
Acc.	pleuritid-em	pleuritid-es
Abl.	pleuritid-e	pleuritid-ibus

გ) ma-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის არათანაბარმარცვლიანი არსებითი სახელები.

** არსებითი სახელი vis მხოლობით რიცხვში წარმოდგენილია მხოლოდ 3 ბრუნვით - Nom., Acc. და Abl.-ით.*

	sing.	*plur.*
Nom.	*vis*	*vir-es*
Gen.	-	*vir-ium*
Dat.	-	*vir-ibus*
Acc.	*vim*	*vir-es*
Abl.	*vi*	*vir-ibus*

მაგ: trauma, traumatis, n -ტრავმა
haema, haematis, n -სისხლი

ეს არსებითი სახელები იბრუნვიან თანხმოვანი ტიპით, მაგრამ მრავლობითი რიცხვის Dat. -სა და Abl. -ის ნაცვლად აქვთ ნიშანი -is.

ბრუნების ნიმუში

trauma, atis n -ტრავმა

	N. sing.	N. plur.
Nom.	trauma	traumat-a
Gen.	traumat-is	traumat-um
Dat.	traumat-i	traumat-ibus
Acc.	trauma	traumat-a
Abl.	traumat-e	traumat-ibus

§53. III ბრუნების ბერძნულ არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. analysis, is f - გარჩევა, ანალიზი
2. anamnesis, is f - გახსენება
3. anamnesis vitae - სიცოცხლის გახსენება
4. anamnesis morbi - დაავადების გახსენება
5. anastomosis, is f - ანასტომოზი, ბაგეთშესართავი
6. basis, is f - ფუძე, საფუძველი
7. dosis, is f - დოზა
8. pro dosi - ერთ მიღებაზე
9. crisis, is f - კრიზისი
10. diagnosis, is f - დიაგნოზი
11. epicrisis, is f - ეპიკრიზი; დაავადების ისტორიის დასკვნა
12. lysis, is f - დაშლა, რღვევა; ციების ნელი დავარდნა; (კლინიკ. ნაწიბურისაგან გათავისუფლება ოპერაციული გზით)
13. autolysis, is f - უჯრედების არ ქსოვილების სრწნის პროცესი
14. cirrhosis, is f - ციროზი, პარენქიმული ორგანოების დაავადება
15. metastasis, is f - გადაადგილება
16. narcosis, is f - ნარკოზი, საერთო გაუგიჟარება, დაძინება
17. pro narcosi, is f - ნარკოზისათვის
18. necrosis, is f - კვდომა
19. paresis, is f - პარეზი, დასუსტება, არასრული, ნაწილობრივი დაშლა
20. phthisis, is f - ჭლექი
21. laryngophthisis - ხორხის ჭლექი
22. prognosis, is f - პროგნოზი, სავარაუდო, (წინასწარი) დიაგნოზი
23. prothesis, is f - პროთეზი, სხეულის ხელოვნური ნაწილი

24. ptosis, is f -დაწვა
25. sclerosis, is f -სკლეროზი, გამკვრივება
26. stenosis, is f -შევიწროება
27. haema, atis, n -სისხლი
28. trauma, atis n -ტრავმა
29. carcinoma, atis n -კიბო
30. carcinoma mammae -სარძევე ჯირკვლის კიბო
31. empyema, atis n -ემპიემა
32. empyema pleurae -პლევრის ემპიემა
33. empyema tuberculosum -ტუბერკულოზური ემპიემა
34. zygoma, atis n -ყვრიმალი
35. systema, atis n -სისტემა

***

1. Homo ornat locum, non locus hominem -ადამიანი ამკობს ადგილს და არა ადგილი ადამიანს.
2. Homines corpora mortalia habent, animos-immortales -ადამიანის სხეული მოკვდავია, სული - უკვდავი.
3. Finis coronat opus -დასასრული აგვირგვინებს შრომას.
4. Salus populi suprema lex -ხალხის კეთილდღეობა უზენაესი კანონია.
5. Repetitio est mater studiorum -გამეორება ცოდნის დედაა.
6. vis mdicatris naturae -ბუნების მკურნავი ძალა.
7. Contra vim mortis non est medicamen in hortis -სიკვდილის ძალის წინააღმდეგ ბაღში არ არის წამალი (სიკვდილს წამალი ვერ შველის)

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ:

anamnesis morbi -დაავადების გახსენება
dosis media -საშუალო დოზა
systema dentium -კბილების სისტემა
trauma periculosum -საშიში ტრავმა

II. თარგმნეთ ლათინურად:

1. ზუსტი დიაგნოზი. 2. დაავადების სიმპტომი (ები). 3. ქრონიკული კოლიტი. 4. ეპიდემიური ენცეფალიტი. 5. ნერვების სისტემა. 6. მარჯვენა ყვრიმალი. 7. მარცხენა ყვრიმალი. 8. მშრალი ხველა. 9. ღვიძლის ციროზი. 10. კატაბალახას ფესვი და ფესურა. 11. ხორხის ჭლექი. 12. თირკმლის მენჯი. 13. წამლის დოზა. 14. ეთერი ნარკოზისათვის. 15. გავის ძვლის ფუძე.

III. თარგმნეთ ქართულად:

1. Folia Lauri tussim levant. 2. Prognosis morbi bona est. 3. Basis cranii interna et externa. 4. Infantes pertussi laborant. 5. Sclerosis vasorum cerebri. 6. Cirrhosis heratis morbus periculosus est.

7. Autopsia est diagnosis pathologo-anatomica. 8. Inter cava thoracis et abdominis deaphragma est. 9. Curatio enteritidis acutae. 10. Sunt febris continua, febris quotidiana, febris tropica. 11. Empyema pleurae. 12. Conjunctivitis chronica. 13. Glaucoma est morbus oculi, glaucoma non est neoplasma. 15. Symptomata in inflamationis sunt: rubor, tumor, calor, dolor, functio laesa.

§54. სიტყვანარმოება

III ბრუნების არსებით სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები.

1. სუფიქსი -or - დაერთვის ზმნის supinum-ის ფუძეს და აწარმოებს მამრობითი სქესის არსებით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედ პირს ან საგანს.

supinum-ის ფუძე+or; -oris, m

მაგ.: abduco, abduci, *abductum*, abducĕre -განზიდვა
abduct-or, -oris, m -განმზიდავი
recipio, recipi, *receptum*, recipĕre -აღებადობა
recept-or, -oris m -რეცეპტორი,მიმღები

2. სუფიქსი -itis - დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს ანთების აღმნიშვნელ მდედრობითი სქესის არათანაბარმარცვლიან არსებით სახელებს.

არსებითის ფუძე+itis, -itidis f

მაგ.: gastĕr, astris f -კუჭი
gastr-itis, -itidis f -გასტრიტი,კუჭის გარსის ანთება
bronchus, bronchi m -ბრონქი
bronch-itis, itidis f -ბრონქიტი,ბრონქების ანთება

3. სუფიქსი -osis - დაერთვის ბერძნული არსებითი სახელის ან ზმნის ფუძეს და აწარმოებს მდედრობითი სქესის თანაბარმარცვლიან არსებით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ ორგანოს პათოლოგიურ მდგომარეობას, დაავადების პროცესს ან რეზულტატს:

არსებითის ფუძე+osis, -is f
ზმნის ფუძე+osis, -is f

მაგ: monocytus, i m - დიდი ერთბირთვიანი ლეიკოციტი
monocyt-osis, is f -მონოციტოზი,მონოციტების რაოდენობის მომატება სისხლში

lipoma, atis n -ლიპომა,ცხიმგროვა
kipomat-osis, -is f -ლიპომაგობა,ცხიმოვანი ქსოვილის
დაჯგუფება სხეულის ზოგიერთ ნაწილში

4. სუფიქსი -io - დაერთვის ზმნის სუპინუმის ფუძეს და აწარმოებს III ბრუნების მდედრობითი სქესის არსებით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას ან მოქმედების შედეგებს.

supinum-ის ფუძე+io, -ionis f

მაგ: inicio, inieci, *iniectum*, inicĕre -შეშპარება
iniect-io, -ionis f -ინექციაშეშპარება
solvo, solvi, *solutum*, solvĕre -გახსნა
solut-io, -ionis f -ხსნარი

5. სუფიქსი -iasis - აწარმოებს III ბრუნების მდედრობითი სქესის თანაბარმარცვლიან არსებით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ არაანთებითი ხასიათის დაავადებებს ან მათი სიმპტომებისა და სინდრომების სახელწოდებებს.

არსებითის ფუძე-iasis, -is f

მაგ: amoeba, ae f -ამება,ერთუჯრედიანი უგარსო ორგანიზმი
amoeb-iasis, is f -ამებიაზი,ამებური დიზენტერია
leo, ontos m -ლომი
leont-iasis, is f -ლეონტიაზი,ლომის სახე,კეთრის ნიშანი

6. სუფიქსი -oma - დაერთვის ბერძნული არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს III ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელებს. რომლებიც აღნიშნავენ სიმსივნურ წარმონაქმნს.

არსებითის ფუძე+oma, -atis n

მაგ:
haema, atis n -სისხლი(ბერძ.)
haemat-oma, atis n -ჰემატომა,სისხლიანი სიმსივნე,
ქსოვილებში სისხლის ჩაქცევის შედეგად
წარმოქმნილი სიმსივნისმაგვარი შეგუბება
lipos -ცხიმი(ბერძ.)
lip-oma, atis n -ლიპომა,ცხიმგროვა,სიმსივნე,რომელიც
ვითარდება ცხიმოვანი ქსოვილიდან

7. სუფიქსი -men დაერთვის ზმნის აწმყო დროის ფუძეს და აწარმოებს III ბრუნების საშუალო სქესის სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედების საშუალებას ან შედეგს.

ზმნის ფუძე+men, -minis n

მაგ.: medico, medicāre -მკურნალობა
medicamen, inis n -წამალი (სამკურნალო საშუალება)

§55. III ბრუნების სუფიქსთან არსებით სახელთა ლექსიკური მინიმუმი

1. abductor, oris m -განმზიდავი კუნთი
2. adductor, oris m – მომზიდავი კუნთი
3. depressor, oris m -დამწევი კუნთი
4. extensor, oris m -გამშლელი კუნთი
5. flexor, oris m -მომხრელი კუნთი
6. hydrator, oris m -ჰიდრატორი,კირის ჩამქრობი აპარატი
7. granulator, oris m -გრანულატორი,გრანულების დამამზადებელი აპარატი
8. autolysator, oris m -ავტოლიზატორი,საფუარიანი ავტოლიზატის დამამზადებელი აპარატი
9. elephantiasis, is f -ელეფანტიაზი,პილოს დაავადება
10. sialolithiasis, is f -სიალოლითიაზი,სანერწყვე ჯირკლებში ქვების წარმოშობა (sialon - ნერწყვი)
11. elongatio, onis f -დაგრძელება,ამობურცვა
12. epilatio, onis f -ეპილაცია,თმის,წამწამების ფესვიანად ამოღება
13. exfoliatio, onis f – ექსფოლიაცია,აქერცვლა
14. extractio, onis f -ექსტრაქცია,ამოღება,ამოწვლილვა
15. fluctuatio, onis f -ფლუქტუაცია,რყევა
16. granuloma, atis n -გრანულომა,კეროვანი სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნი, ახალგაზრდა შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედებისაგან
17. haemangioma, atis n -ჰემანგიომა, სისხლძარღვებისაგან განვითარებული კეთილთვისებიანი სიმსივნე
18. neuroretinitis, idis f -ნევრორეტინიტი,მხედველობის ნერვისა და ბადურის ერთდროულად ანთება
19. papillitis, idis f -პაპილიტი,მხედველობის ნერვის ღისკოს ანთება
20. leucosis, is f -ლეიკოზი,ლეიკოციტების სიჭარბე
21. thrombosis, is f -თრომბოზი,თრომბოციტების სიჭარბე
22. mycosis, is f -მიკოზი,სოკოვანი დაავადება
23. onychomycosis, is f -ფრჩხილების სოკოვანი დაავადება

24. dermatosis, is f - დერმატოზი, კანის არაანთებითი დაავადება.

სავარჯიშო:

1. აწარმოეთ მოცემული ზმნებისაგან არსებითი სახელები or სუფიქსის დართვით და თარგმნეთ:

levo, avi, atum, are - აწევა
roto, avi, atum, are - ბრუნვა, ტრიალი
adduco, duxi, ductum, ducĕre - მოზიდვა

2. აწარმოეთ მოცემული ზმნებისაგან ტერმინები -io სუფიქსის დართვით და თარგმნეთ:

formo, a vi, atum, are - წარმოქმნა
flecto, flexi, flectum, fectĕre - მოხრა
fransfusio, fusi, fusum, fusĕre - გადასხმა

3. აწარმოეთ ანთების აღმნიშვნელი ტერმინები მოცემული არსებითი სახელებისაგან და თარგმნეთ:

meninx, ngis f	pleura, æ f
appendix, icis f	arteria, æ f
pharynx, ngis m	latynx, yngis m

4. აწარმოეთ მოცემული ფუძეებიდან სიმსივნის აღმნიშვნელი ტერმინები და თარგმნეთ:

neur-	chondr-
lip-	haemat-
angi-	sarc-
oste-	my-

5. თარგმნეთ ტერმინები:

თირკმლის ანთება. სწორი ნაწლავის ანთება. ღვიძლის ქრონიკული ანთება. სახსრის ანთება. ძვლის ტვინის ანთება. თორმეტგოჯა ნაწლავის გემო ნაწილი. საკეისრო კვეთა. კარგი პროგნოზი, ძვლის ტვინის შერყევა. თავის ტვინის შერყევა. გულის კუნთის ფუნქცია. სისხლის კოაგულაცია. სისხლის გადასხმა. ეპისკლერის გრანულომა.

6. თარგმნეთ ქართულად:

1. Musculus abductor hallucis. 2. Musculus abductor pollicis longus. 3. Musculus corrugator supercilii. 4. Musculus extensor indicis proprius. 5. Musculus levator anguli oris. 6. Stomatitis aphthosa (aphth - წყლული). 7. Cholecystitis subacuta. 8. Amputatio manus. 9. Amputatio pedis. 10. Functio laesa. 11. Functio lienis. 12. Dilatatio cervicis uteri. 13. Inflamatio acuta. 14. Elephantiasis palpebrae. 15. Elongatio canaliculorum lacrimalium.

§56. II რიგის ზედსართავი სახელები

II რიგის ანუ III ბრუნების ზედსართავები სქესის დაბოლოებათა რაოდენობის მიხედვით 3 ჯგუფად იყოფა:

1. სამდაბოლოებიანი: მამრობით სქესში დაბოლოება -er, მდედრობითში -is, ხოლო საშუალოში -e.

მაგ.: M.	F	N.
acer,	acris,	acre - ბასრი, ცხარე
celer,	celeris,	celere - ჩქარი (საჩქარო)
saluber,	salubris,	salubre - გამაჯანსაღებელი

2. ორდაბოლოებიანი: მამრობითსა და მდედრობით სქესში დაბოლოება -is, საშუალოში კი - e.

მაგ.: M. F.	N.
brevis,	breve - მოკლე
temporalis,	temporale - საფეთქლისა, სასაფეთქლე

3. ერთდაბოლოებიანი: სამივე სქესში ერთნაირი დაბოლოება (s, x ან r).

მაგ.: M.	F	N.
biceps,	biceps,	biceps - ორთავა
simplex,	simplex,	somplex - მარტივი უბრალო
par,	par,	par - თანაბარი, წყვილი

§57. II რიგის ზედსართავ სახელთა სალექსიკონო ფორმები

ლექსიკონში ზედსართავ სახელთა სქესის ფორმებიდან პირველ ადგილზე მამრობითი სქესი დგას, შემდეგ მდედრობითი, ბოლოს კი - საშუალო.

სამდაბოლოებიანი ზედსართავების ფორმათაგან ლექსიკონში სრულად იწერება მამრობითი სქესის ფორმა, მდედრობითი და საშუალო სქესის დაბოლოებები და გვერდით აღენიშნება და გამოიყოფა მძიმეებით.

მაგ.: saluber, bris, bre - გამაჯანსაღებელი
celer, is, e - ჩქარი (საჩქარო)

ორდაბოლოებიანი ზედსართავები ლექსიკონში შედის მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმით, მძიმით გამოყოფილია სასუალო სქესის დაბოლოება.

მაგ: brevis, e -მოკლე
temporalis, e -საფეთქლისა

ერთდაბოლოებიანი ზედსართავები ლექსიკონში მოცემულია სამივე სქესისათვის მიარი მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმით (Nom. sing.), რისშემდეგაც მძიმით გამოყოფილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ფუძის დაბოლოებითურთ.

მაგ: simplex, icis -მარტივი
recens, ntis -ნორჩი,ახალი
par, paris -თანაბარიწყვილი

ამ ზედსართავთა სალექსიკონო ფორმა წააგავს III ბრუნების არსებით სახელთა სალექსიკონო ფორმას იმ განსხვავებით, რომ არსებითებთან მითითებულია სქესიც.

§58. ორდაბოლოებიანი ზედსართავები

ორდაბოლოებიანი ზედსართავები 2 ქვეჯგუფად იყოფა: თავისთავად და წარმოებულ ზედსართავებად. თავისთავადი ზედსართავი საგანს რაიმე ნიშნით ახასიათებს. მაგ: brevis, e -მოკლე, mollis, e -რბილი; წარმოებული ზედსართავი კი ევიჩვენებს ერთი საგნის მეორისადმი მიმართებას, მაგ: temporalis, e -საფეთქლისა, abdominalis, e -მუცლისა.

ორდაბოლოებიანი ზედსართავები იწარმოება როგორც არსებით სახელთაგან, ასევე მწნებიდან. სამედიცინო ტერმინოლოგიაში ფართოდ გამოიყენება არსებით სახელთაგან წარმოებული ზედსართავები, რომელთა მისაღებად არსებითი სახელის ფუძეს ემატება ზედსართავის მაწარმოებელი სუფიქსი: -al ან -ar, შემდეგ კი სქესის დაბოლოებები: is მამრობითსა და მდედრობითში, -e - საშუალოში (სუფუქსი ar ემატებათ I-ბე ფუძედაბოლოებულ არსებითებს).

	ფუძე
მაგ: abdomen, abdominis	abdomin+al+is, e (abdadominalis, e)
tempus, temporis	tempor+al+is, e (temporalis, e)
maxilla, maxillae	maxill+ar+is, e (maxillaris, e)
clavicula, claviculae	clavicul+ar+is, e (clavicularis, e)

მწნიდან ორდაბოლოებიანი ზედსართავის მისაღებად მწნის აწმყო დროის ფუძეს ემატება სუფიქსი -bilis, e ან ilis, e.

მაგ: sano, sanare -განკურნება
sana + bilis, e -განკურნებადი
facio, facire -კეთება,შესრულება
fac + ilis, e -აღვილი (აღვილად შესრულებული)

შენიშვნა: თანამედროვე სამკურნალო პრეპარატების სახელწოდებაში ხშირად გვხვდება ზედსართავები:

fortis, e -ძლიერი

mollis, e -რბილი

mitis, e -საშუალო (სიძლიერის) მოქმედებისა

ეს ზედსართავები ახასიათებენ პრეპარატებს მათი მოქმედების ინტენსივობის მიხედვით. მაგ: Mesim forte, Sustac mite, Essentiale forte (mite) და ა.შ

§59. II რიგის ზედსართავ სახელთა ბრუნება

III ბრუნების ზედსართავები იბრუნვიან ხმოვანი ტიპის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ზედსართავებს Abl. sing.-ში აქვთ i, e-ს ნაცვლად, Gen. plur.-ში ium, um-ის ნაცვლად, საშუალო სქესის ზედსართავებს კი -Nom. და Acc.plur.-ში ia, a-ს ნაცვლად.

ბრუნვის ნიშნები

Casus	N. singularis		N. pluralis	
	M. F.	N.	M. F.	N.
Nom.	er is	e	es	ia
Gen.	is	is	ium	ium
Dat.	i	i	ibus	ibus
Acc.	em	=Nom	es	ia
Abl.	i	i	ibus	ibus

ბრუნვის ნიმუშები

ა) სამდაბოლოებიანი

acer, cris, cre -ბასრი, ცხარე

	N. sing.		
	M.	F	N
Nom.	acer	acris	acre
Gen.	acr-is	acr-is	acr-is
Dat.	acr-i	acr-i	acr-i
Acc.	acr-em	acr-em	acr-e
Abl.	acr-i	acr-i	acr-i

N. plur.

	M.	F	N
Nom.	acres	acres	acria
Gen.	acr-ium	acr-ium	acr-ium
Dat.	acr-ibus	acr-ibus	acr-ibus
Acc.	acr-es	acr-es	acr-ia
Abl.	acr-ibus	acr-ibus	acr-ibus

ბ) ორდაბოლოებიანი
brevis, e -მოკლე

	N. sing.		N. plur.	
	M. F.	N	M. F.	N
Nom.	brevis	breve	breves	brevia
Gen.	brev-is	brev-is	brev-ium	brev-ium
Dat.	brev-i	brev-i	brev-ibus	brev-ibus
Acc.	brevem	brev-e	brev-es	brev-ia
Abl.	brev-i	brev-i	brev-ibus	brev-ibus

გ) ერთდაბოლოებიანი
simplex, icis -მარტივი,უბრალო

N. sing.

	M.	F	N
Nom.	simplex	simplex	simplex
Gen.	simplic-is	simplic-is	simplic-is
Dat.	simplic-i	simplic-i	simplic-i
Acc.	simplic-em	simplic-em	simpli-ex
Abl.	simplic-i	simplic-i	simplic-i

N. plur.

	M.	F	N
Nom.	simplic-es	simplic-es	simplic-ia
Gen.	simplic-ium	simplic-ium	simplic-ium
Dat.	simplic-ibus	simplic-ibus	simplic-ibus
Acc.	simplic-es	simplic-es	simplic-ia
Abl.	simplic-ibus	simplic-ibus	simplic-ibus

მესამე ბრუნების ზედსართავები, ისევე, როგორც I და II ბრუნებისა, ტერმინში ასრულებენ შეთანხმებული მსაზღვრელის ფუნქციას, უთანხმდებიან რა არსებით სახელებს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში, ე. ი. ქმნიან შეთანხმებულ მსაზღვრელ-საზღვრულს.

ბრუნების ნიმუშები

musculus brevis -მოკლე კუნთი

	N. sing.	N. plur.
Nom.	musculus brevis	musculi breves
Gen.	musculi brevis	musculorum brevium
ის ზედსართავები, რომლებიც უწესოდ (სუპლეტურად) აწარმოებენ ხარისხებს, შესაბამის მმნიზედებსაც სუპლეტურად აწარმოებენ.

bene -კარგად	melius -უკეთესად
male -ცუდად	peius -უფრო ცუდად
magnopere -მეტად	magis -უფრო მეტად

**ილიმბიადების ლოზუნგი Citius! Altius! Fortius! (უფრო სწრაფად, უფრო მაღალ, უფლო ძლიერად) შედარებითი ხარისხის მმნიზედებია.*

multum - ბევრად
non multum - ნაკლებად

plus - უფრო ბევრად
monis - უფრო ნაკლებად

optime - საუკეთესოდ
pessime - ყველაზე ცუდად
maxime - ყველაზე მეტად
plurimum - უმეტესად
minus - უმცირესად

NB. სამედიცინო ტერმინოლოგიაში გამოყენებული ზმნიზედები

ana - თანაბრად
cito - სწრაფად
citissime - ძალიან სწრაფად
statim - დაუყოვნებლივ
bis - ორჯერ
bene - კარგად
optime - საუკეთესოდ
maxime - მაქსიმალურად
minime - მინიმალურად
aseptice - ასეპტიკურად
grosse - მსხვილად

quantum satis - რამდენიც საჭიროა
modice - ზომიერად
calide - თბილადცხლად
frigide - ცივად
lente - ნელა
semilente - შენელებულად
exacte - ყურადღებით
subtilissime - უწვრილესად
satis - საკმარისად
caute - ფრთხილად

***

1. Nota bene (NB) - მიაქციეთ ყურადრება (სამახსოვრო ნიშანი)
2. Festina lente - იჩქარე ნელა
3. Fer patienter onus, fac sapienter opus - მოთმინებით ეზიდე ბარგი, ბრძნულად შეასრულე საქმე

სავარჯიშო:

I. მოცემული ზედსართავებიდან აწარმოეთ ზმნიზედები და მათი ხარისხთა ფორმები:

longus, a, um - გრძელი
altus, a, um - მაღალი
gravis, e - მძიმე
frigidus, a, um - ცივი
felix, icis - ბედნიერი

niger, gra, grum - შავი
liber, era, erum - თავისუფლად
saluber, bris, bre - სალი
profundus, a, um - ღრმა

II. თარგმნეთ მოცემული ზედსართავები. აწარმოეთ მათგან ზმნიზედები ხარისხის ფორმებით: ღრმა, მაღალი, რბილი, საშიში, გვიანი (დაგვიანებული), წვრილი, ფრთხილი, ბედნიერი.

III. თარგმნეთ ლათინურად:

1. ავადმყოფი ყურადღებით უნდა უსმენდეს ექიმს.
2. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი თავს ცუდად გრძნობს.
3. მიეცი ავადმყოფს წამალი სწრაფად და უფასოდ!
4. მოამზადე წამალი (ხელოვნების) წესის დაცვით.
5. კარგად გახეხე ჭინჭრის ფოთლები.

IV. თარგმნეთ ქართულად:

1. Medici ut Celsus sentit, aegrotos cito, tuto et jucunde curare debent. 2. Nonnuli morbi cutis aegre sanantur. 3. Vitamina hominibus semper necessaria sunt. 4. Infusa et decocta frigide et calide parantur, exempli causa, infusum foliurum Digitalis est infusu, calide paratum. 5. Valetudinem cura diligenter. 6. Multum vinum bibere – non diu vevere. 7. Aegrotum bene et optime auscultamus, ut diagnosis certa sit. 8. Anamnesim morbi exactissim praepara. 9. Dentur medicamenta statim. 10. Arteriae venis profundius locatae sunt. 11. Morbi juvenum facile, senum autem difficile statim et gratis. 12. Ren dexter profundius rene sinistro locatus et. 13. Da suppositoria statim et gratis. 14. Bene et recte curare non potest medicus, si origo ignota est. 15. Festina lente.

§79. ნაცვალსახელი

ნაცვალსახელი, როგორც თვით ტერმინი მიუთითებს, ისეთი სიტყვაა, რომელიც სხვა სახელის (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი) ნაცვლად იხმარება არსებობს ნაცვალსახელთა რამდენიმე ჯგუფი.

I. I. პირის ნაცვალსახელები (Pronomina personalia)

ego -მე tu -შენ nos -ჩვენ vos -თქვენ

ბრუნება

	N. sing.		N. plur.	
Nom.	ego	tu	nos	vos
Gen.	mei	tui	nostri (nostrum)	vos (vestrum)
Dat.	mihi	tibi	nobis	vobis
Acc.	me	te	nos	vos
Abl.	me	te	nobis	vobis

შენიშვნა: 1. ლათინურ ენაში მე-3 პირის ნაცვალსახელი არა გვაქვს. III პირის ნაცვალსახელის მაგიერ იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელები: is, ea, id, his, haec, hoc, ille, illa, illud.

2. წინდებულები: cum- "თან", "ური" მოქმედებითში დასმულ პირის ნაცვალსახელებთან იწერება ბოლოში და ამავე დროს სიტყვასთან მოუცილებლად, ისევე როგორც ქართული თანდებული.

mecum	ჩემთან	tecum	შენთან
nobiscum	ჩვენთან	vobiscum	თქვენთან

3. პირის ნაცვალსახელი, როგორც ქვემდებარე, ლათინურ მეტყველებაში საერთოდ არ იხმარება, ე. ი. წინ იგი არ გვხვდება. მაგ.: მე ვმუშაობ - laboro, მე წიგნს ვკითხულობ - lego librum, მე ავადმყოფს ვკურნავ - curo aegrotum.ხოლო თუ ნაცვალსახელზე დაისმის ლოგიკური მახვილი, მაშინ, იგი იხმარება.

მაგ.: 1. თუ შენ ჯანმრთელი ხარ, კარგია, მე კარგად ვარ.
Si tu vales, bene est. Ego valeo.
2. მე ვწერ წერილს, შენ კითხულობ წიგნს.
Ego scribo epistolam, tu legis librum.

II. უკუქცევითი

უკუქცევითი ნაცვალსახელი: sui "თავი" იხმარება III პირის ნაცვალსახელის მაგიერ. მას არა აქვს სახელობითი ბრუნვა, ორივე რიცხვში ერთნაირი ფორმები აქვს. ეს ნაცვალსახელი მხოლოდ III პირთან მიმართებაში იხმარება. I და II პირებთან კი შესაბამისი პირის ნაცვალსახელები გამოიყენება.

ბრუნება

	sing.	plur.
Nom.	—	
Gen.	sui	
Dat.	sibi	
Acc.	se	
Abl.	se	

male me habeo - მე ცუდად ვგრძნობ თავს
male te habes - შენ ცუდად გრძნობ თავს
male se habet - ის ცუდად გრძნობს თავს

III. კუთვნილებითი
(Pronomia possesiva)

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია პირისა და უკუქცევითი ნაცვალსახელებისაგან:

meus, a, um - ჩემი	noster, nostra, nostrum - ჩვენი
tuus, a, um - შენი	vester, vestra, vestrum - თქვენი
suus, a, um - მისი, მათი	

კუთვნილებითი ნაცვალსახელები იბრუნვიან I-II ბრუნების მედსართავი სახელების მსგავსად.

IV. ჩვენებითი

(Pronomia demonstrativa)

ჩვენებითი ნაცვალსახელი იხმარება არსებითი ან მედსართავი სახელის ნაცვლად, იბრუნვის I-II ბრუნების მედსართავი სახელების მსგავსად, მაგრამ მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსი აქვს -ius, მიცემითში კი -ic ბოლოკიდური სამივე სქესისათვის.

საშუალო სქესის სახელს მოუდის ბოლოკიდური -d, მამრობითს -e, მდედრობითს -a.

hic, haec, hoc -ეს is, ea, id -ან

iste, ista, istud -ეგ idem, eadem, edem -იგივე

	N. sing.			N. plur.		
	M.	F.	N.	M.	F.	N.
Nom.	hic	haec	hoc	hi	hac	haec
Gen.	huius	huius	huius	horum	harum	horum
Dat.	huic	huic	huic	his	his	his
Acc.	hunc	hanc	hoc	hos	has	haes
Abl.	hoc	hac	hoc	his	his	his

	N. sing.			N. plur.		
	M.	F.	N.	M.	F.	N.
Nom.	ille	illa	illud	illi	illae	illa
Gen.	illius	illius	illius	illorom	illarum	illorum
Dat.	illi	illi	illi	illis	illis	illis
Acc.	illum	illam	illud	illos	illas	illa
Abl.	illo	illa	iilo	illis	illis	illis

	N. sing.			N. plur.		
	M.	F.	N.	M.	F.	N.
Nom.	is	ea	id	ii(ei)	eae	ea
Gen.	eius	eius	eius	eorum	earum	eorum
Dat.	ei	ei	ei	iis(eis)	iis(eis)	iis(eis)
Acc.	eum	eam	id	eos	eas	ea
Abl.	eo	ea	eo	iis(eis)	iis(eis)	iis(eis)

	N. sing.			N. plur.		
	M.	F.	N.	M.	F.	N.
Nom.	idem	eadem	idem	eidem	eaedem	eadem
Gen.	eiusdem	eiusdem	eiusdem	eorundem	earundem	eorundem
Dat.	eisdem	eisdem	eisdem	eisdem	eisdem	eisdem
Acc.	eundem	eandem	idem	eosdem	easdem	eadem
Abl.	eodem	eadem	eodem	eisdem	eisdem	eisdem

V. მაჩვენებლითი

(Pronomia relaiva)

qui, quae, quod -ვინც,რომელიც

	N. sing.			N. plur.		
	M.	F.	N.	M.	F.	N.
Nom.	qui	quae	quod	qui	quae	quae
Gen.	cuius	cuius	cuius	quorum	quarum	auorum
Dat.	cui	cui	cui	quibus	quibus	quibus
Acc.	qiem	quam	quod	quos	quas	quae
Abl.	quo	qua	quo	quibus	quibus	quibus

VI. უარყოფითი
(Pronomia negativa)

nemo - არავინ
nihis - არაფერი

Nom.	nemo	bihil
Gen.	nullius	nullius rei
Dat.	nemini	nulli rei
Acc.	neminem	nihil
Abl.	nullo	nolla re

VII. კითხვითი
(Pronomia cirrelativa)

quis? - ვინ?
quid? - რა?
qui, quae, quod? - რომელი?

VIII. ურთიერთობითი
(Pronomia pronominalia)

quantus, a, um? - რა სიდიდის? რამდენად დიდი? რამდენი?
tantus, a, um - ასეთი, ასეთი დიდი
qualis, quale? - როგორი?
talis, tale - ასეთი
quot? - რამდენი?
tot - იმდენივე

IX. ზედსართავ-ნაცვალსახელები
(Pronomia possesiva)

M.	F	N.
unus	una	unum - ერთი (ერთი მრავალთაგან)
solus	sola	solum - მხოლოდ ერთი
totus	tota	totum - მთელი
ullus	ulla	ullum - რომელიმე, რომელი (მრავალთაგან)
uter	utra	utrum - რომელი (ორში რომელი)
alter	altera	alterum - მეორე, სხვა (ორიდან)
neuter	neutra	neutrum - არც ერთი (ორში არც ერთი)
nullus	nulla	nullum-არავითარი, არც ერთი (მრავალთაგან)
alius	alia	aliod - სხვა, მეორე

აღნიშნული ნაცვალსახელები იბრუნვიან ისევე, როგორც I-II ბრუნების მეღსართავი სახელები, მაგრამ შემდეგი თავისებურებებით:

Gen. sing. -ius -(სამისქსისათვის)
Dat. sing. -i -(სამივესქსისათვის)

§80. რეცეპტში გამოყენებული ნაცვალსახელები

pro me ან (mpro auctore) -ჩემთვის (ავტორისათვის) ეს გამოთქმა იხმარება მაშინ, როდესაც ექიმი თავისთვის იწერს წამალს.
per se -სუფთა სახით

e quo, e qua -რომლისგან; fiat massa, e qua formantur suppositoria Numero - გაკეთდეს მასა, რომლისგან შეიქმნას (დამზადდეს) სანთლები რიცხვით...

cui (-qui-სგან)-რომელსრომელსაც; fiat emuslum cui adde sirupi simplicis grammata quinque - გაკეთდეს ემულსია, რომელსაც დაუმატე მარტივი სიროფი ხუთი გრამი.

talis, e -ასეთი; dentur tales doses numero... -გაიცეს ასეთი დოზები რიცხვით...
quantum satis -რამდენიც საკმარისია
quantum liber -რამდენიც საჭიროა (ესურს)

სავარჯიშო:

I. თარგმნეთ ლათინურად:

1. გაეცი წამალი ჩემთვის. 2. გაეცი წამალი ავტორისათვის. 3. გაეცი ასეთი დოზა რიცხვით... 4. გაეცი ასეთი დოზები რიცხვით... 5. იოდი სუფთა სახით. 6. აიღე გოგირდი და მისი შენაერთები სუფთა სახით. 7. შეურიე, რათა დამზადდეს ფხვნილი. 8. დაამატე ქოლოს სიროფი რამდენიც საჭიროა. 9. ჩვენ თავს ცუდად ვგრძნობთ. 10. თქვენი მარჯვენა თვალი. 11. ჩემი მეგობარი. 12. იარე ჩემთან ერთად. 13. არ შემეხო. 14. წამლები, რომლითაც იკურნებიან ავადმყოფები, სხვადასხვაა. 15. ამ ავადმყოფს აქვს ბრონქიტი, ხოლო მეორეს - პლევრიტი. 16. ექიმი მიწერს მე თევზის ქონს ორჯერ დღის განმავლობაში. 17. შარდის ბუშტი ის ორგანოა, რომელშიც გროვდება შარდი.

II. თარგმნეთ ქართულად:

1pulmones sunt duo viscera, quibus respiramus. 2. Misce, ut fiat massa, e qua formentur pitulae Numero 10. 3. Multo plus intellegitur, quod oculis videtur, quam quod aure percipitur (Seneca). 4. Vita nostra brevis est, brevi finietur, venit mors velociter, rapit nos

atrociter, nemini parcetur (Gaudeamus). 5. Ex omnibus, quae habemus medicamentis, alia sunt dura, alia fluida, alia mollia. 6. Hippocrates Graecus medicus dixit: "Quae medicamenta non sanant, ea Ferrum sanat; quae Ferrum non sanat, ea ignis sanat, quae vero ignis non sanat, ea insabilia reputare opertet".

***

1. Ad hoc - ამ შემთხვევაში, საამისოდ, ამ შემთხვევისათვის
2. alia tempora! - სხვა დროა!
3. Noli me tangere! - არ შემეხო!
4. Alter ego - "ალტერ ეგო" მეორე "მე"
5. Ea mea culpa est - ეს ჩემი ბრალია

§81. რიცხვითი სახელი

ლათინურ ენაში რიცხვითი სახელები იყოფა ოთხ ჯგუფად:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელები - Numeralia cardinalia - მოგვიგებენ კითხვაზე quot? რამდენი? მაგ: unus ერთი; quinque ხუთი; sex ექვსი და სხვ.
2. რიგობითი რიცხვითი სახელები - Numeralia ordinalia, - მოგვიგებენ კითხვაზე quitus? რომელი? მაგ: primus პირველი, quintus მეხუთე, sextus მეექვსე და სხვ.
3. დაყოფითი რიცხვითი სახელები - Numeralia distributiva მოგვიგებენ კითხვაზე quoteni? რამდენ-რამდენი? მაგ: bini ორ-ორი; terni სამ-სამი; quini ხუთ-ხუთი და სხვ.
4. ჯერობითი - მმნისართული რიცხვითი სახელები - Numeralia adverbia მოგვიგებენ კითხვაზე quoties? - რამდენჯერ? მაგ: semel ერთხელ; bis ორჯერ; ter სამჯერ და სხვ.

ლათინურ ენაში რიცხვითი სახელები გამოიყენება მეღსართავი სახელის (რაოდენობითი, რიგობითი, დაყოფითი) და მმნიშედის (ჯერობითი) მნიშვნელობით.

§82. რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები
NUMERALIA CARDINALIA ET ORDINALIA

არაბული მნიშ-ბა	რომაული მნიშ-ბა	რაოდენობითი რიცხვითი სახელები	რიგობირითი რიცხვითი სახელები
1	I	unus, una, unum ერთი	primus, a, um - პირველი
2	II	duo, duae, duo ორი	secundus, a, um - მეორე
3	III	tres, tria სამი	tetrius, a, um - მესამე
4	IV	quattor ოთხი	quartus, a, um - მეოთხე
5	V	quinque ხუთი	quintus, a, um - მეხუთე
6	VI	sex ექვსი	sextus, a, um - მეექვსე
7	VII	septem შვიდი	septimus, a, um - მეშვიდე
8	VIII	octo რვა	octavus, a, um - მერვე
9	IX	novem ცხრა	nonus, a, um - მეცხრე
10	X	decem ათი	decimus, a, um - მეათე
11	XI	undecim თერთმეტი	undecimus, a, um - მეთერთმეტე
12	XII	duodecim თორმეტი	duodecimus, a, um - მეთორმეტე
13	XIII	tredecim ცამეტი	tertius decimus, a, um - მეცამეტე s. tredicimus, a, um -

14	XIV	quattuordecium თოთხმეტი	quartus decimus, a, um - მეთოთხმეტე s. quattuordecimus, a, um
15	XV	quindecim თხუთმეტი	quintus decimus - მეთხუთმეტე s. quindecimus, a, um
16	XVI	sedecim თექვსმეტი	sextus decimus, a, um - მეთექვსმეტე
17	XVII	sepdendecim ჩვიდმეტი	septimus decimus, a, um - მეჩვიდმეტე
18	XVIII	duodeviginti თვრამეტი	duodevicesimus, a, um - მეთვრამეტე
19	XIX	undeviginti ცხრამეტი	indevicesimus, a, um - მეცხრამეტე
20	XX	viginti ოცი	vicesimus, a, um - მეოცე
21	XXI	unus et viginti ოცდაერთი s. Viginti unus	unus et vicesimus - ოცდამეეთე s. Vicesimus primus
22	XXII	duo et viginti ოცდაორი s. Viginti duo	alter er vicesimus - ოცდამეორე s. Vicesimus alter
23	XXIII	tres et viginti ოცდასამი s. Viginti tres	tertius et vicesimus - ოცდამესამე s. Vicesimus tertius
24	XXIV	quattuor et vigint ოცდაოთხი s. Viginti quattuor	quartus et vicesimus - ოცდამეოთხე s. Vicesimus quartus
25	XXV	quique et viginti ოცდახუთი viginti quinque	quintus et vicesimus - ოცდამეხუთე s. Vicesimus quintus
26	XXVI	sex et viginti ოცდაექვსი s. Viginti sex	sextus et vicesimus - ოცდამეექვსე s.Vicesimus sextus -

27	XXVII	septem et viginti ოცდაშვიდი s. Viginti septem	septimus et vicesimus - ოცდამეშვიდე s. Vicesimus septimus
28	XXVIII	duodetriginta ოცდარვა	duodetricesimus, a, um - ოცდამერვე
29	XXIX	undetriginta ოცდაცხრა	undetricesimus, a, um - ოცდამეცხრე
30	XXX	triginta ოცდაათი	tricesimus, a, um - ოცდამეათე
40	XXXX s-XL	quadraginta ორმოცი	quadragesimus, a, um - მეორმოცე
50	L	quinquaginta ორმოცდაათი	quinquagesimus, a, um - ორმოცდამეათე
60	LX	sexaginta სამოცი	sexagesimus, a, um - მესამოცე
70	LXX	septuaginta* სამოცდაათი	septuagesimus, a, um - სამოცდამეათე
80	LXXX	octoginta ოთხმოცი	octogesimus, a, um - მეოთხმოცე
90	XC	nonaginta ოთხმოცდაათი	nonagesimus, a, um - ოთხმოცდამეათე
100	C	centum ასი	centesimus, a, um - მეასე
200	CC	ducenti, ae, e ორასი	ducentesimus, a, um - მეორასე

*septuaginta - *ეწოდება ბიბლიის კანონიკურ ბერძნულ თარგმანს, გადმოცემით სამოცდაათი განათლებული ბერი დასვეს განცალკევებულად საკნებში, მიუჩინეს თითო მსახური. დაავალეს ბიბლიის ებრაულიდან თარგმნა. მთარგმნელებზე გადმოვიდა სულიწმინდის მადლი და ერთი წლის შემდეგ, როდესაც თითოეულმა წარმოადგინა თავისი თარგმანი, აღმოჩნდა, რომ ყველას აბსოლუტურად ერთნაირად უთარგმნია წმინდა წერილი.*

300	CCC	trecenti, ae a სამასი	trecentesimus a, um - მესამასე
400	CD	quadrigenti, ae a ოთხასი	quadringentesimus a, um - მეოთხასე
500	D	quingenti, ae a ხუთასი	quingentesimus - მეხუთასე
600	DC	sescenti, ae, a ექვსასი	sexcentesimus, a, um - მეექვსასე
700	DCC	septingenti, ae, a შვიდასი	septingentesimus, a, um - მეშვიდასე
800	DCCC	octingenti, ae, a რვაასი	octingentesimus, ae, um მერვაასე
900	DCCCC (CM)	nongenti, ae, a ცხრაასი	nongentesimus a, um - მეცხრაასე
1000	M	mille ათასი	millesimus a, um - მეათასე
2000	MM	duo milia ორიათასი	bis millesium - მეორიათასე
3000	MMM	tria milia სამიათასი	ter millesimus - მესამეათასი
10000	X	decem milia ათი ათასი	decies millesimus - მეათიათასე
20000	XX	viginta milia ოცი ათასი	vicies millesimus - მეოცეათასე
100000	C	centum milia ასი ათასი	centies millesimus - მეასიათასე
1000000	X	decies centena milia მილიონი	decies centies millesimus - მემილიონე

§83. რთული რიცხვითი სახელები

1. 8 და 9-ზე დაბოლოებული რთული რიცხვითი სახელები ე. ი. 18, 19, 28, 29, 38, 39 და ა. შ. იწარმოება მომდევნო ათეულიდან ორისა და ერთის გამოკლებით:

18duo-de viginti = 20–2	ე. ი. ორის გამოკლებით ოცი
19un-de viginti = 20–1	ე. ი. ერთის გამოკლებით ოცი
28duo-de triginta = 30–2	ე. ი. ორის გამოკლებით ოცდაათი
29un-de triginta = 30–1	ე. ი. ერთის გამოკლებით ოცდაათი

de დაკლების ნიშანია

2. 21-დან 99-ის ჩათვლით რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორგვარად გამოიხატება: ა) ჯერ ერთეული, შემდეგ კავშირი et (და), ბოლოს ათეული, ან ბ) ჯერ ათეული, შემდეგ ერთეული კავშირის გარეშე.

21-unus et viginti s. viginti unus
42-duo et quadraginta s. quadraginta duo
66-sex et sexaginta s. sexaginto sex
85-quinque et octoginta s. octoginta quinque

შენიშვნა: c თანხმოვანი n-ს შემდეგ მკერი ხდება და გვაძლევს eg-ს. quincenti – quingenti 500 sptincenti – septingenti 700

§84. რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების ბრუნება

რაოდენობრივი რიცხვითი სახელებიდან იბრუნვის unus, duo და tres, ყველა ასეული centum-ის გარდა, ე. ი. დაწყებული "ოთხიდან" - "ორასამდე" რიცხვითი სახელი არ იბრუნვის. რიცხვითი სახელი unus, una, unum იბრუნვის I-II ბრუნების მიხედვით და ავლენს შემდეგ თავისებურებებს:

1. Gen. sing. -ius (სამივე სქესისთვის)
2. Dat. sing. -i (სამივე სქესისთვის)

unus, a, um იბრუნვის მხოლობით რიცხვში

	Singularis		
	M.	F	N.
Nom.	unus	una	unum
Gen.	uniius	un-ius	un-ius
Dat.	un-i	un-i	un-i
Acc.	un-um	un-am	un-um
Abl.	un-o	un-a	un-o

რიცხვითი სახელი duo, duae, duo - ორი. იბრუნვის I-II ბრუნების მრავლობითი რიცხვით, მიცემითსა და მოქმედებითში ღებულობს bus - ბოლო კიდურს.

	N. plur.		
	M.	F	N.
Nom.	duo	duae	duo
Gen.	du-orum	du-arum	du-orum
Dat.	du-obus	du-abus	du-obus
Acc.	du-os	du-as	du-o
Abl.	du-obus	du-abus	du-ibus

რიცხვითი სახელი tres, tria - სამი - იბრუნვის III ბრუნების მრავლობითი რიცხვით, ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელის ხმოვანი ტიპის მსგავსად:

	N. plur.	
	M. F.	N
Nom.	tres	tr-ia
Gen.	tr-ium	tr-ium
Dat.	tr-ibus	tr-ibus
Acc.	tr-es	tr-ia
Abl.	tr-ibus	tr-ibus

რიცხვით სახელს "ათასი" - mille - მხოლობითი რიცხვი არა აქვს, მრავლობით რიცხვში კი უბრუნვის III ბრუნების საშუალო სქესის ხმოვანი ტიპის არსებითი სახელების მსგავსად:

	N. plur.
Nom.	milia
Gen.	millium
Dat.	milibus
Acc.	milia
Abl.	milibus

"milia" მოითხოვს არსებით სახელს მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში.

duo milia hominum - ორი ათასი ადამიანი
quinque milia vasorum - ხუთი ათასი სისხლძარღვი

"mille" ვერ მართავს არსებით სახელს. მაგ: mille homiines - ათასი კაცი. სიტყვა "ერთი ათასი" - "mille" მხოლობითი რიცხვის, ხოლო ორი. სამი და სხვა ათასი მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია:

duo milia -ორი ათასი
tria milia -სამი ათასი

რიცხვითი სახელი "ორასი" ducenti, ducentae, ducenta იბრუნვის I-II ბრუნების მრავლობითი რიცხვით.

N. plur.

	M.	F	N
Nom.	ducenti	ducentae	docenta
Gen.	ducent-orum	ducent-arum	ducent-orum
Dat.	ducent-is	ducent-is	ducent-is
Acc.	ducent-os	ducent-as	ducent-a
Abl.	ducent-is	ducent-is	ducent-is

რიცხვითი სახელები: sescenti (ზოგჯერ mille), trecenti, ducenti, quingenti იხმარება "ბევრის" მნიშვნელობით.

რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის როგორც I-II ბრუნების ზედსართავი სახელი.

§85. რიცხვითი სახელის შეთანხმება არსებით. სახელთან

ლათინურ ენაში რაოდენობითი რიცხვითი სახელები უთანხმდება არსებით სახელს ბრუნვაში, რიცხვსა და სქესში:

unus angulus -ერთი კუთხე
unum corpus -ერთი სხეული
una cellula -ერთი უჯრედი
duo anguli -ორი კუთხე
duae sellulae -ორი უჯრედი
duo corpora -ორი სხეული
ducenti homines -ორასი ადამიანი
ducenta ossa -ორასი ძვალი

რაოდენობით რიცხვით სახელთან შეთანხმებული არსებითი სახელი თუ წინადადებაში დამატების როლს ასრულებს, მაშინ იგი Acc. ბრ-ში დგას.

სამი წვეთი tres guttae (Nom. ბრ.)
აიღე სამი წვეთი Recipe tres guttas (Acc. ბრ.)

ბრუნების ნიმუში

duo homines -ორი კაცი (ადამიანი)
viginti homines -ოცი კაცი (ადამიანი)

		N. plur.
Nom.	duo homines	viginti homines
Gen.	duorum hominum	viginti hominum
Dat.	duobus hominibus	viginti hominibus
Acc.	duos homines	viginti homines
Abl.	duobus hominibus	viginti hominibus

tria grammata -სამი ერთი
duae partes -ორი ნაწილი

		N. plur.
Nom.	tria grammata	duae partes
Gen.	trium grammatum	duarum partium
Dat.	tribus grammatis	duabus partibus
Acc.	tria grammata	duas partes
Abl.	tribus grammatis	duabus partibus

დაყოფითი რიცხვითი სახელები რაოდენობითის მნიშვნელობით იხმარება და იბრუნვის მრავლობით რიცხვში, როგორც I-II ბრუნების ზედსართავი სახელები

დაყოფითი რიცხვითი სახელები numeralia distributiva	ჯერობითი-მმნისართული რიცხვითი სახელები numeralia adverbia
singuli, ae, a - თითო-თითო	semel - ერთხელ
bini, ae, a - ორ-ორი	bis - ორჯერ
treni (trini), ae, a - სამ-სამი	ter - სამჯერ
quaterni, ae, a - ოთხ-ოთხი	quater - ოთხჯერ
quini, ae a - ხუთ-ხუთი	quinquies - ხუთჯერ
seni, ae, a - ექვს-ექვსი	sexies - ექვსჯერ
septeni, ae, a - შვიდ-შვიდი	septies - შვიდჯერ
octoni, ae, a - რვა-რვა	octies - რვაჯერ
noveni, ae, a - ცხრა-ცხრა	novies - ცხრაჯერ

deni ae, a - ათ-ათი	**decies** - ათჯერ
viceni - ოც-ოცი	**vicies** - ოცჯერ
triceni - ოცდაათ-ოცდაათი	**tricies** - ოცდაათჯერ
quidragenti - ორმოც-ორმოცი	**quadragies** - ორმოცჯერ
quinquageni - ორმოცდაათ-ორმოცდაათი	**quinquagies** - ორმოცდაათჯერ
centeni - ას-ასი	**centies** - ასჯერ
quingeni - ხუთას-ხუთასი	**quingenties** - ხუთასჯერ
singula milia - ათას-ათასი	**milies** - ათასჯერ

სავარჯიშო:

I. აბრუნეთ:

Vertebra septima prominens -მეშვიდე წარბიდული მალა

Unus digitus -ერთი თითი

Duo ligamenta -ორი იოგი

II. თარგმნეთ ლათინურად:

ადამიანს აქვს: ერთ თავი, ერთი პირი, ორი მხარი, ორი თვალი, ორი ყური, ერთი ცხვირი, 32 კბილი, ორი მუხლი, ორი ფეხი, ათი თითი, ხერხემალი; ოცდაოთხი ნეკნი, ხუთი ნეკნის მოგეხილობა, ხერხემალი შედგება 33 მალისაგან. ადამიანის ჩონჩხი შედგება 260 ძვლისაგან. ნამდვილი ნეკნები შედგება 7 წყვილი ნეკნისაგან, ხოლო ცრუ - 5 წყვილი ნეკნისაგან.

III. თარგნეთ ქართულად:

DE DENTIBUS

Jn ore hominis adulti triginta duo dentes sunt. Infantes usque ad septem annos habent lacteos, sive primarios numero ad viginti. Jn ultraque maxilla seni deni dentes haerent: quaterni incisivi, bini canini, quaterni praemolares, sive, bicuspidati, seni molares.

Dentes incisivi, canini et praemolares habent radices singulas; radices dentium molarium sunt duplices in mandibula et triplices in maxilla. Juvenibus post annum duodevicesimum plerumque inter viginti et triginta annos dentes sapientiae, sive dentes serotini crescunt.

DE VERTEBRIS

In corpore hominis triginta tres seu triginta quattour vertebras disinguimus. Compages vertebrarum columna vertebtalis vocatur. Vertebra forma simillis est anulo osseo. Vertebra ex tribus partibus constat, quarum prima est corpus vertebrae, secunda – arcus vertebrae, tertia – processus. Processus Vertebrae sunt: processus spinosus, duo processus transversi, quattour processus articulares superiores et inferiores. Prima vertebra atlas, secunda axis nominatur. Vertebra septima prominens nominatur. Vertebrae dividundur in septem vertebras cervicales, duodecim vertebras thoracales, quinque vertebras sacrales et quattuor seu quinque vertebras coccygeas. In columna vertebrali distinguimus quinque partes: cervicalem, thoracalem, lumbalem, sacralem, et coccygeam.

§86. სიტყვანარმოება რიცხვითი სახელების მეშვეობით

მრავალი სამედიცინო ტერმინი ნაწარმოებია იმ პრეფიქსების დახმარებით, რომლებიც ლათინურ ან ბერძნულ ენებში რიცხვით სახელებს წარმოადგენენ:

ლათინური რიცხვითი სახელი - პრეფიქსებია:

un – uni -ერთ(ი)	unipennatus -ერთფრთიანი
	unicellularis -ერთუჯრედიანი
bi – bin -ორ	biceps -ორთავა
	bicolor -ორფერი
tri -სამ	triceps -სამთავა
	triplex -სამმაგი
quadr – quadri -ოთხ	quadriceps -ოთხთავა
	quadripartitus -ოთხნაწილიანი
sex – sexi -ექს	sexdentatus -ექვსკბილა
semi -ნახევარ	semilunaris -ნახევარმთვარისებრი
sesqui -ერთნახევარ	sesquichloratus-ერთნახევარქლორიანი

პრეფიქსებად გამოყენებული ბერძნული რიცხვითი სახელების ნიმუშები:

1 – mon (o) - ერთ(ი)	5 – penta -პენტა
2 – di -ორ(ი)	6 – hexa - ჰექსა
3– tri -სამ(ი)	7 – hept (a) -ჰეპტა
4 –tetra -ტეტრა	8 – oct (a) -ოქტა

9-ennea s. non-ენნეა/ნონ
10-dec (a) -დეკა
11-undec -უნდეკ
12-dodec -დოდეკ
13-tridec -ტრიდეკ
14 -tetradec -ტეტრადეკ
15-pendatec -პენტადეკ

სავარჯიშო:

I. თარგმნეთ ლათინურად:

ბარძაყის ორთავა კუნთი. მხრის სამთავა კუნთი. სამწვერა ნერვი. ბარძაყის ორთავა კუნთის მყესი. კვადრატული (ოთხკუთხა) იოგი. სამფერა ია. ორვალენტიანი ანატომიკინი. ნახევრადცოცხალი უჯრედი. ნახევრადმშრალი ბალახი. სამმაგი დოზა. ერთქლორიანი ვერცხლისწყალი.

II. თარგმნეთ ქართულად:

1. Nomina anatomica nonnullorum ex nominibus numeralibus oriuntur, ut: musculus biceps brachii, musculus triceps brachii, musculus triceps suare, musculus quadriceps femoris, musculus digastricus s. musculus biventer; musculus semitendinosus, musculus semimembranosus et musculus unipennatus.

2. Venae hemiazygos superior et inferior, in parte sinistra colomnae vertebralis locatae, sanguinem ex duodecim venis intercostalibus superioribus et inferioribus colligunt.

3. Omni bihora, hora nocte, quadrante hora.

4. Digiti manus ternas phalanges habent, pollices autem binas.

5. Duae arteriae, aorta et arteria pulmonalis, habent ternas valvulas semilunares.

6. Sume remedium ter vel quater per diem, semel vel bis per noctem.

III. თარგმნეთ რეცეპტები:

1. აიღე: სათითურას ფოთლების გამონაცემის 5 დგ : 200 მლ პილპილა პიტნის ზეთის 5 წვ შეურიე. გაეცი. აღუნიშნე:
#

2. აიღე: ტეტრაციკლინის 1 დგ გაეცი ასეთო დოზები რიცხვით 20 ტაბლეტებში აღუნიშნე:
#

3. აიღე: კაგაბალახას ფესვების 35 გ თეთრი ღვინის (8-10°) 200 გ ცხოველური ნახშირის 5 დგ შეურიე. სარშე 10 წთ. გაეცი. აღუნიშნე:
#

4. აიღე: ოკტესტროლის 1 მგ გაიცეს ასეთი დოზები რიცხვით 20 ტაბლეტებში აღნიშნოს:
#

***

1. bis ad eudem lapidem offendere - ორგზის ერთსა და იმავე ქვისთვის ფეხის წამოკვრა (შეცდომის გამეორებაა).
2. Bis dat, qui cito dat - ორჯერ იძლევა, ვინც სწრაფად იძლევა.
3. Bis vincit, qui se vincit in victoria - ორგზის იმარჯვებს ვინც საკუთარ თავსა სძლევს გამარჯვების ჟამს.
4. Qui scribit, bis legit - ვინც წერს ორგზის კითხულობსე. ი. ორჯერ წაიკითხე, ერთხელ დაწერე.
5. Prima facie - ერთი შეხედვით.
6. Primus inter pares - პირველი თანასწორთა შორის.
7. Tertius non datur - მესამე არ არსებობს (დროგ. მესამის გამორიცხვის პრინციპი)

§87. კავშირი

კავშირები აერთებს წინადადებებს ან წინადადებების წევრებს. კავშირები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. მაერთებელი

ა) შემაერთებელი (copulativae): et, que, ac, atque და que, რომელიც იწერება დასაკავშირებელი სიტყვების შემდეგ, სიტყვასთან მოუცილებლად.

მაგ.: nasus oculique - ცხვირი და თვალები
etiam - ავრეთვე, -ც
nec, neque - არც
ne... quidem - არც კი, -ც, კი
quoque - ავრეთვე

ბ) მაცალკევებელი (disiunctivae):
aut, vel - ან
sive, seu - ან
se - ან, თუ

გ) მაპირისპირებელი (adversativae):
sed - არამედ, ხოლო
at, verum - მაგრამ
vero - ხოლო, მაგრამ, - ღა
autem - მაგრამ, ხოლო, კი
tamen - მაინც, ამასთანავე
autem - კი

დ) მიზეზობრივი (causales):

nam, enim - ვინაიდან, ხომ, ნამდვილად
prout - რადგან

ე) დასკვნითი (conclusivae):

itaque - ამრიგად, ასე, ამიტომ
igitur - მაშ, ამგვარად, მაშასადამე
ergo - მაშასადამე
quare, quam, ob rem - ამიტომ, ამის გამო
proinde - ამის გამო, ამიტომ

ვ) დათმობითი (concessivae):

quidem - კი, -ც
ut... ita - რადგანაც, თუმცა, მაგრამ
heque - არც-არც, არა-არა
cum tum - მაშინ როცა
non solum -sed etiam - არა მარტო-არამედ (მაგრამაგრეთვე)

2. მაქვემდებარებელი:

ა) დროის:

quum (cum) - როდის
dum - ვიდრე
quamdiu - ვიდრე
postquam - მას შემდეგ, ვიდრე
denec - ვიდრე, ჯერ არა
antequam, priusquam - ვიდრე

ბ) ადგილისა:

ubi - სად
ibi - იქ
ibidum - იქვე

გ) პირობითი: si თუ he რომ, არა

დ) მიზნისა: ut რომ

ე) დამატებითი: quin რა, neve და რომ არა, ut რომ

ვ) მიზეზისა: quod, quia, quoniam რადგან, იმიტომ რომ
cum რადგან, prout რადგან

ზ) დათმობისა: quamquam, esti, tamesti თუმცა

§88. ლათინური და ბერძნული პრეფიქსები

ლათინური ან ბერძნული პრეფიქსი	მნიშვნელობა
con- (co, col-, com-, cor-) - ლათ.	თან, შეერთება ერთობლივი ქმედება
syn- (sym-) - ბერძნ.	
circum - ლათ.	ირგვლივ
para - ბერძნ.	ახლო, გვერდით
amphi - ბერძნ.	ირგვლივ, ორმხრივი
peri - ბერძნ.	ირგვლივ, ახლოს
contra - ლათ.	საწინააღმდეგოდ
anti - ბერძნ.	საწინააღმდეგოდ
e- (ec-, ex-) - ლათ.	-გან, -დან
ec-, exo - ბერძნ.	შიგნიდან გარეთ მოქმედება
dis - ლათ.	უარყოფა, დაყოფა
dys - ბერძნ.	ფუნქციის მოშლა
a- (ab-, abs-) - ბერძნ.	-გან, გაშორება
ad - ლათ.	-მო, მოახლოება
eu - ბერძნ.	კარგი, სწორი, სასიამოვნო
extra - ლათ.	გარეთ
dis - ლათ.	უარყოფა, დაყოფა
ecto - ბერძნ.	გარედან
de - ლათ.	ჩამო; ზემოდან ქვემოთ მიმართული
	გაუარესება ან უარყოფა
in- (im-) - ლათ.	მოძრაობა გარედან შიგნით
en - ბერძნ.	ში, შიგნით, შორს

in- (im) - ლათ.	უარყოფა, არარსებობა
a-, an - ბერძნ.	უარყოფა, არარსებობა
infra - ლათ.	ქვემო, ქვეშა
sub - ლათ.	ნაკლები, ქვეშ
hypo - ბერძნ.	
intra - ლათ.	შიგნით
endo - ლათ.	
inter - ლათ.	შორის, შუა
per - ლათ.	საშუალებით, გავლით
dia - ბერძნ.	
prae - ლათ.	წინ, თვის
pro - ლათ. - ბერძნ.	
re - ლათ.	ისევ, ხელმეორედ
ana - ბერძნ.	განახლება, საპასუხოდ
semi - ლათ.	ნახევარ -
hemi - ბერძნ.	ნახევრად
super - ლათ.	ზემო, ზედა
supra - ლათ.	მეტი,ჭარბი; ზემოთ მდებარე
epi - ბერძნ.	
hyper - ბერძნ.	
trans - ლათ.	გადა-
meta - ბერძნ.	გადაადგილება
ultra - ლათ.	მეტად, მეტისმეტად

მაგალითები

co-agulatio - კოაგულაცია
col-lateralis - გვერდითი
com-misura - ნაწიბური, შეერთება
com-municans - მაერთებელი, მაკავშირებელი
cor-rigens - შემასწორებელი
con-nexus - კავშირი, შეერთება
sy-chondrosis - ხრტილოვანი შეერთება
sym-physis - სიმფიზი, შებრდა
circum-flexus - შემოხვეული
circum-ferentia - გარშემოწერილობა
para-typhus - პარატიფიტიფის მსგავსი
para-mnesia - მიახლოებით გახსენება
amphi-bion - ამფიბია, ორმხრივ (ორ გარემოში) მცხოვრები
peri-osteum - ძვალსაბრლელა
peri-cardium - გულის პერანგი
contra-ceptivus - ჩასახვის საწინააღმდეგო
anti-dotum - შხამსაწინააღმდეგო ნივთიერება
anti-asthmaticus - ასთმის საწინააღმდეგო
ex-sudatum - ანთებითი ნაოფლარი
ex-piratio - ამოსუნთქვა
ex-tractum - გამონაწველილი, ექსტრაქტი
exo-genes - გარე წარმოშობის
ec-topicus - ადგილიდან დაძრული
dis-proportio - არაპროპორციულობა
dis-sociatio - განცალკევება, განკერძოება
dis-seminatus - განთესილი, გაბნეული
dys-uria - შარდის გამოყოფის შეფერხება
dys-pepsia - საკვების მოუნელებლობა
dys-kinesia - მოძრაობის შეფერხება
a-scendens - ასწვრივი
ab-ductor - განმზიდველი
abs-cessus - ჩირქეროვა
ad-ductor - მომზიდველი
ac-cessorius (ad-cessorius-დან) - დამატებითიდაფარული
eu-pnoe - სწორი სუნთქვა
Eu-laevomycetinum - ევლევომიცეტინი (წამალი)
eu-phoria - კარგი განწყობილება
Eu-phyllinum - ეუფილინი (წამალი)
extra-cardialis - გულისგარეთა
ectro-derma - ექტოდერმა, ჩანასახის გარეთა ფენა
de-scendens - დასწვრივი

de-ciduus - სარძევე (ჩამოსაგდები,ანუ ამოსაგდები კბილი)
de-viatio - გადახრა (გზიდან)
de-generatio - გადაშენება
de-formans - ფორმის დამკარგავი
des-infectio - ინფექციის გაუვნებელყოფა
in-jectio - შეშხაპუნება
en-cephalon - თავის ტვინი
in-sanabilis - განუკურნებელი
in-operabilis - არა საოპერაციო
im-potentia - უძლურება
an-alginum - ანალგინი
a-mnesia - მეხსიერების სრული დაკარგვა
infra-sternalis - მკერდქვეშა
sub-cutaneus - კანქვეშა
sub-acutus - ნაკლებ მწვავე
hypo-tonia - დაბალი წნევა
intra-venosus - ვენისშიდა
endo-crinus - შინაგანი სეკრეციის
inter-costalis - ნეკნთაშუა
inter-muscularis - კუნთებშორისი
per-cussio - დაკაკუნების საშუალებით ავადმყოფის გასინჯვა
dia-thermia - გათბობის საშუალებით
dia-gnosis - დიაგნოზი, შეცნობა
prae-cordium - წინაგული
prae-cancerosis - კიბოსწინა
pro-logus - წინასიტყვაობა,შესავალი
pro-cessus - წანაზარდი, მორჩი
re-actio - რეაქცია
re-infectio - ხელმეორედ ინფიცირება
ana-mnesis - შეხსენება, გახსენება
ana-biosis - ანაბიოზი, გამოცოცხლება
re-animatio - რეანიმაცია, მოსულიერება
semi-lunaris - ნახევარმთვარისებრი
hemi-cranium - შაკიკი, თავის ერთი ნახევრის ტკივილი
hemi-plegia - სხეულის ნახევრის დამბლა
super-cilium - წარბი (წამწამს-ზედა)
supra-renalis - თირკმელზედა
epi-dermis - ეპიდერმისაკანის ზედა შრე
epi-demia - ეპიდემია
hyper-aciditas - მჟავიანობის აწევა
hyper-tonis - მაღალი წნევა
trans-fusio - გადასხმა

trans-plantatio - გადანერგვა
meta-plasia - (ქსოვილის) გადაგვარება
meta-statis - მეტასტაზი,გადაადგილება
ultra-lente - ძალიან ნელი
ultra-filtratio - ძალიან (მედიწევნით) გაფილტვრა

§89. რეცეპტი - RECEPTUM

სიტყვა რეცეპტი (receptum, i n) მიღებულია მმნიდან recipo, ĕre - აღება.

რეცეპტი იურიდიული დოკუმენტია, რომელიც წარმოადგენს ექიმის წერილობით მიმართვას აფთიაქისადმი წამლის დამზადების, გაცემისა და გამოყენების შესახებ. ამიტომ, რეცეპტის შედგენის დროს აუცილებელია დავიცვათ შემდეგი წესები:

1. რეცეპტი იწერება სამკურნალო დაწესებულების ბლანკზე ან შტამპიან ქაღალდზე, ბურთულებიანი კალმით და გარკვეული კალიგრაფიით, შესწორებები რეცეპტში დაუშვებელია.
2. წამლის შემადგენლობა. სამკურნალო ფორმის აღნიშვნა და ექიმის მიმართვა ფარმაცევტისადმი წამლის დამზადებისა და გაცემის შესახებ იწერება ლათინურ ენაზე. ამ მონაკვეთში შემოკლებების გამოყენება დაუშვებელია მხოლოდ სამედიცინო და ფარმაცევტულ პრაქტიკაში მიღებული წესებით, დაუშვებელია მსგავსი სახელწოდებების ინგრედიენტების შემოკლება.
3. წამლის მიღების წესი იწერება ექიმისა და ავადმყოფისათვის გასაგებ ენაზე. ყოველად დაუშვებელია წამლის მიღებისა და დოზის შესახებ ზოგადი მითითება.
4. თუ წამალი შეიცავს ტოქსიკურ ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მაშინ ერთ სარეცეპტო ბლანკზე იწერება მხოლოდ ერთი დასახელების წამალი, სხვა შემთხვევაში კი დასაშვებია ორიც.
5. ერთ ბლანკზე გადმოწერილი ორი რეცეპტი ერთმანეთისაგან გამოიყოფა ნიშნით #.

§90. რეცეპტის სტრუქტურა

რეცეპტი არსებობს 2 სახის:

1. მარტივი რეცეპტი - Receptum simplex seu formula simplex, რომელიც შეიცავს მხოლოდ ერთ ინგრედიენტს.

2. რთული რეცეპტი - Receptum compositum seu formula composita, რომელიც შეიცავს რამდენიმე ინგრედიენტს.

რეცეპტი შედგება 9 ნაწილისაგან:*

1. Inscriptio (წარწერა I) - სამკურნალო დაწესებულებების შტამპი, მისამართი, ტელეფონის ნომრით და შიფრით.
2. Inscriptio II (წარწერა II) - რეცეპტის გამოწერის თარიღი.
3. Nomen aegroti - ავადმყოფის გვარი და ინიციალები.**
4. Aetas aegroti - ავადმყოფის ასაკი.
5. Nomen medici - ექიმის გვარი და ინიციალები.
6. Designatio materiarum - ნივთიერებათა დასახელება.
7. Subscriptio - მითითებები წამლის დამზადების და გაცემის ფორმაზე.
8. Signatura (დანიშნულება) - მითითებები წამლის მიღების შესახებ.
9. Nomen medici - ექიმის ხელმოწერა და პირადი ბეჭედი.

§91. რეცეპტის ლათინური ნაწილი

აღნიშნული 9 ნაწილიდან ლათინურ ენაზე იწერება:

VI ნაწილი - Designatio materiarum – ნივთიერებათა დასახელება.

VII ნაწილი - Subscriptio – ქვეშმიწერა.

VIII ნაწილი - Signatura-ს I სიგყვა.

რეცეპტის ლათინური ნაწილი გარკვეული ფორმის დაცვას გულისხმობს. ის იწყება სიგყვით Recipe! - აიღე! (შემოკლებით Rp.) (ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის ნივთიერებათა ჩამოთვლა).

ამ მიმართვას მოსდევს სამკურნალო ნივთიერებათა ჩამოთვლა. თითოეული ნივთიერების სახელწოდება იწერება ახალ ხაზზე მთავრული (დიდი) ასოთი, ასევე მთავრულით იწერება სახელწოდების შუაში მოქცეული ბოტანიკური და ქიმიური ნომენკლატურული ერთეულები. ნივთიერების სახელწოდების მარჯვნივ მიეთითება რაოდენობა.

---

* *არსებობს სხვაგვარი დაყოფაც. ჩვენ ვიზიარებთ ჩერნიავსკის მოსაზრებას (М. Н. Чернявский, Латинский язык и основы фармацевтической терминологии, М., 1984 г.).*

** *თუ ექიმი თავისთვის იწერს წამალს, ავადმყოფის გვარის ადგილას წერს: ჩემთვის* pro me *ან* pro auctore *ავტორისთვის.*

ზმნა Recipe გარდამავალია და მოითხოვს პირდაპირ დამატებას, რომლის ფუნქციას რეცეპტში ასრულებს ნივთიერების რაოდენობა. როგორც ვიცით, ლათინურში პრიდაპირი დამატების ბრუნვაა ბრალდებითი (Accusativus). ამ ბრუნვით გადმოცემული რაოდენობა ნივთიერების სახელწოდებას ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვს. ასეთ გრამატიკულ კონსტრუქციას ლათინურ სინტაქსში Genetivus quantitatis - რაოდენობის ნათესაობითი ჰქვია.

გრაფიკულად რეცეპტის VI ნაწილის გრამატიკული დამოკიდებულების მოდელი ასე გამოიყურება:



მაგ: აიღე: კატაბალახას ნაყენის 10 გრამი
Recipe: Tincturae Valerianae 10 grammata

მაგრამ მზა სამკურნალწამლო ფორმის გამოწერისას (ტაბლეტები, სუპოზიტორები და სხვა) სახელწოდება დადგება მრავლობითი რიცხვის ბრალდებით ბრუნვაში (Acc. plur.) რადგან ამ შემთხვევაში ის არის პირდაპირი დამატება. შესაბამისად იცვლება გრაფიკული სურათიც.



იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ნივთიერება, მყარი თუ თხევადი, რაოდენობა გადმოიცემა გრამებით, ლიტრებით ან წვეთობით.

მყარი ნივთიერების რაოდენობა გადმოიცემა გრამებით (ან გრამის მეათედი, მეასედი, მეათასედი, სიზუსტით). სიტყვა გრამი (gramma, atis n) რეცეპტში არ იწერება - იგულისხმება (Acc. – ში). გრამების რაოდენობა კი გამოისახება ათწილადებით.

მაგ:

1 გ - 1,0	1 სგ - 0,01
5 გ - 5,0	5 სგ - 0,05
1 დგ - 0,1	1 მგ - 0,001
5 დგ - 0,5	5 მგ - 0,005

თხევადი ნივთიერებები გამოიწერება მილილიტრებში და აღინიშნება არაბული ციფრებით.

მაგ: 10მლ-10ml (mililitrum)

1 მლ-ზე ნაკლები რაოდენობა აღინიშნება წვეთობით, წვეთების რაოდენობა გამოისახება რომაული ციფრებით, რომლის წინ დგას სიტყვა წვეთი-gutta (Acc. sing. ან plur).

მაგ: 1 წვეთი-guttam I
5 წვეთი-guttas V

თუ რეცეპტში რამდენიმე სამკურნალო საშუალება გამოიწერება ერთნაირი დოზით, ამ შემთხვევაში რაოდენობა მიეთითება მხოლოდ ბოლო ინგრედიენტთან, ხოლო ციფრის წინ დაისმის შემნიშვნა ana (āā) - თანაბრად.

მაგ: აიღე: შროშანას ნაყენის
კატაბალახას ნაყენის თანაბრ. 5 მლ.

Recipe: Tincturae Convallariae
Tincturae Valerianae ana 5 ml

Designatio materiarum - რთულ რეცეპტში იყოფა შემდეგ ქვენაწილებად:

ა) Basis (remedium cardinale) - ძირითადი საშუალება (ნივთიერება).

ბ) remadium adjuvans - დამხმარე ნივთიერება, რომელიც გააძლიერებს ან შეასუსტებს, დააჩქარებს ან შეანელებს ძირითადი საშუალების მოქმედებას (დამხმარე საშუალება შეიძლება იყოს რამდენიმეც).

გ) remedium corrigens - შემასწორებელი ნივთიერება, რომელიც უცვლის ფერს, უკარგავს სუნს და აუმჯობესებს გემოს.

დ) remedium constituens - ფორმის მიცემა (დამდგენი) საშუალება (ნივთიერება), რომელიც წამალს აძლევს საბოლოო ფორმას (ფორმის მიმცემ საშუალებად გამოიყენება გამოხდილი წყალი, სპირტი, ვაზელინი, ლანოლინი, ღორის ქონი, შაქარი, მაგნეზია და სხვ.

აუცილებელი არ არის რეცეპტში ოთხივე ნივთიერების არსებობა.

VII - Subscriptio - ქვეშმიწერა. ამ ნაწილში ლათინურად მიეთითება წამლის დამზადებისა და გაცემის ფორმაზე: რა ხერხით უნდა დამზადდეს წამალი. რა ფერის ჭურჭლით უნდა გაიცეს და სხვ.

მაგ: Misce, ut fiat...
შეურიე, რომ გაკეთდეს...

Da tales doses numero...
გაეცი ასეთი დოზები რიცხვით...

Divide in 10 partes aequales
დაყავი 10 თანაბარ ნაწილად

Da ad vitrum fuscum
გაეცი მუქი შუშით

Da in capsulis galatinosis
გაეცი ჟელატინის კაფსულებში და სხვ.

VIII - Signatura. ამ ნაწილიდან ლათინურად იწერება მხოლოდ პირველი სიტყვა Signa "აღუნიშნე", რომლის შემდეგაც მშობლიურ ენაზე იწერება დანიშნულება - დღეში რამდენჯერ ან როგორ მიიღოს წამალი ავადმყოფმა.

Recipe: Diuretini 4,0
Aquae Menthae
Aquae destillatae ana 30 ml
Missce. Da.
Signa:

§92. დამაბებითი ნარნერები რეცეპტზე

1. თუ ექიმს მიაჩნია, რომ წამალი სასწრაფოდ უნდა დამზადდეს მაშინ რეცეპტის ლათინური ნაწილის წინ მიუთითებს: Ctio! სწრაფად! ან statim! უსწრაფესად! ან citissime! დაუყოვნებლივ!

2. თუ ავადმყოფისათვის საჭიროა ძლიერმოქმედი ან ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი წამლის გამეორებით მიღება, მაშინ ექიმი ბლანკის დასაწყისში ფარმაცევტს მიუთითებს:

bis reperaur! ან reprete bis!
ორჯერ განმეორდეს! ან გაიმეორე 2-ჯერ

3. თუ რეცეპტი არ თავსდება ერთ გვერდზე და დასამთავრებლად საჭიროა მისი გადატანა მეორე მხარეს, მაშინ ბლანკის მარჯვენა ქვედა კუთხეში იწერება მნა verte! შემოკლებით V! (გადააბრუნე!).

§93. სამკურნალო საშუალებათა კონსისტენციის აღნიშვნა

რეცეპტში ექსტრაქტებისა და ნაყენების გამოწერის დროს საჭიროა მიეთითოს მათი კონსისტენცია.

extractum (გამონაწვლილი)	-fluidum (თხიერი) -spissum (ბლანტი,სქელი) -siccum (მშრალი)
tinctura (ნაყენი)	-aquosa (წყლიანი) -spirituosa (სპირტიანი) -aetherea (ეთეროვანი)
infusum (გამონაცემი)	-simplex (მარტივი) -compositum (რთული)

მაგ: Recipe: Extracti Urticae fluidi
Extracti Millefolii fluidi ana 25 ml
Misce. Da.
Sigma:

აირე: ჭინჭრის თხიერი გამონაწვლილის
ფარსმანდუკის თხიერი გამონაწვლილის თანაბარ. 25 მლ
შეურიე. გაეცი.
აღუნიშნე:

§94. სამკურნალწამლო ფორმები

მზა სამკურნალწამლო ფორმების სამი სახეობა არსებობს: მყარი, რბილი და თხევადი.

მყარ სამკურნალწამლო ფორმებს მიეკუთვნება: ფხვნილები, აბები, ტაბლეტები, კრებულები, დრაჟეები.

1.ფხვნილები-pulveres (pulvis, eris m)

ფხვნილები გამოიყენება როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი სმარებისათვის. ფხვნილის სიწვრილის ხარისხის მიხედვით ასხვავებენ რამდენიმე სახეობას: მსხვილი ფხვნილები– pulveres grossi, წვრილი ფხვნილები pulveres subtiles და უწვრილესი-pulveres subtilissimi. გარდა ამისაარსებობს მარტივი ფხვნილი - pulvis simplex, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი ნივთიერებისაგან და რთული - pulvis

compositus, რომელიც შედგება ორი ან მეტი ნივთიერებისაგან.

ფხვნილები გაიცემა ორი სახით: დაუნაწილებლად - pulveres indivisi ან ზუსტად დოზირებულად-pulveres divisi ერთ მილებაზე (pro dosi).

მწარე ან მძაფრსუნიანი ფხვნილები გაიცემა სახამებლის ან ჟელატინის კაფსულებით-in capsulis amylaceis seu gelatinosis.

ჟელატინიანი კაფსულები არსებობს რბილი ან ელასტიური cpsulae molles seu elasticae და მაგარ თაქსახურიანი-capsulae durae seu operculatae.

2.ტაბლეტები-tabulettae (tabuletta, ae f)

ტაბლეტი არის დოზირებული მყარი სამკურნალწამლო ფორმა, რომელიც გამოიყენება როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ხმარებისათვის. თუ ტაბლეტის შემადგენლობაში შედის შხამიანი ნივთიერება, მას ანიჭებენ წითელ ან ცისფერ შეფერილობას. ზოგჯერ ამზადებენ გარსიან ტაბლეტებს (tabulettae obductae).

3.აბები-pilulae (pilula, ae f)

აბი არის დოზირებული მყარი სამკურნალწამლო ფორმა, რომელიც გამოიყენება შინაგანი ხმარებისათვის. აბს აქვს ბურთულის ფორმა. მასა კი მერყეობს 0,1-დან 0,5 გრამამდე. 0,5 გრამზე მეტი მასის აბს ბოლუსს (bolus, i f) უწოდებენ. აბის სემადგენლობაში შედის სამკურნალწამლო და ფორმისმიმნიჭებელი ნივთიერებები - აბების მასა (massa pilularum).

აბების მასას ამზადებენ ძირტკბილას ფესვის ფხვნილისა და ექსტრაქტისაგან (pulvis et extractum radicis Glycyrrhizae sive Liquiritiae), გლიცერინისა და სხვა ნივთიერებებისაგან. ჩვეულებრივ, მზა აბებს მოაფრქვევენ ლიკოპოდიუმის ფხვნილს (pulvis Lycopodii) ან სახამებელს (amylum, i n) მჟანგავი ნივთიერების შემცველ აბებს კი აფრქვევენ თეთრ თიხას (bolus alba).

4. სამკურნალწამლო კრებულები
species (species, erum f)

სამკურნალწამლო კრებული არის სამკურნალო მცენარეების მსხვილად დაკეპილი ნაწილების ნარევი: ფოთლების (folium, i n), ფესვების (radix, icis f) ფესურების (rhizoma, atis n), ყვავილების (flos, floris m) ნაყოფების (fructus, us m) თესლის (semen, inis n). ზოგჯერ კრებულს უმატებენ მინერალურ მარილებსა და ეთეროვან ზეთებს. სამკურნალწამლო კრებულები გამოიყენება გამონაცემების, ნახარშების, ნაყენების დასამზადებლად, საინჰალაციოდ, მოსაწევად, აბაზანებისათვის.

5. დრაჟე - dragee (უბრუნველი)

დრაჟე არის მყარი დოზირებული სამკურნალწამლო ფორმა, რომელიც მიიღება სამკურნალო და დამხმარე ნივთიერებათა დრაჟირებით (დაფენით) შაქრის გრანულებზე და გამოიყენება შინაგანი ხმარებისათვის. დრაჟე შეიცავს სამკურნალო და დამხმარე ნივთიერებებს: შაქარს, ხორბლის ფქვილს, სახამებლის ბუბკოს (წებოს). დრაჟეს სახით ამზადებენ ვიტამინებს, ზოგიერთ ჰარმონიულ პრეპარატს და სხვა სამკურნალო ნივთიერებებს.

რბილი სამკურნალწამლო ფორმები

რბილ სამკურნალწამლო ფორმებს მიეკუთვნება მალამოები, ლინიმენტები, პასტები, სუპოზიტორიები (სანთლები), სალბუნები.

1. მალამოები - unguenta (unguentum, i n)

მალამო არის რბილი სამკურნალწამლო ფორმა, რომელიც გამოიყენება გარეგანი ხმარებისათვის და შედგება ძირითადი და დამხმარე სამკურნალო ნივთიერებებისაგან. მალამოს ფუძედ გამოიყენება ვაზელინი (Vaselium, i n), გაწმენდილი ღორის ქონი (Adeps siulus depuratus ან Axungia porcina depurata), წყლიანი ლანოლინი (Lanolinum hydricum), უწყლო ლანოლინი (Lanolinum anhydricum), ცვილი (cera, ae f) და სხვ.

2. ლინიმენტები (თხიერი მალამოები)
Linimenta (linimentum, i n)

ხმარებისათვის, ლინიმენტები, გამოიყენება: 1. ურთიერთგამხსნელი ნივთიერებების გამჭვირვალე ნარევების სახით. მაგ.: ქლოროფორმიანი ცხიმოვანი ზეთების. 2. ემულსიების. 3. სუსპენზიების სახით.

3. სუპოზიტორიები (სანთლები)
(suppositoria, i n)

სუპოზიტორია არის დოზირებული სამკურნალწამლო ფორმა, რომელსაც ნორმალურ ტემპერატურაზე აქვს მყარი კონსისტენცია და ლღება მხოლოდ სხეულის ტემპერატურაზე, სუპოზიტორიების სამი სახეობა არსებობს:

1. რექტალური - suppositoria rectalia – სხეულში შეიყვანება სწორი ნაწლავის გზით; მათ აქვთ ცილინდრის ან კონუსის ფორმა წვეტიანი ბოლოთი.

2.ვაგინალური-suppositoria vaginalia – სხეულში შეიყვანებაასაშოს გზით (per vaginam); მათ აქვთ სფეროს ან ბურთულის ფორმა (globuli), აგრეთვე კვერცხისებრი (ovula) ან ბრტყელი სხეულის მომრგვალებული ბოლოთი (pessaria).

3. ბაცილები - (bacilli) – მათ აქვთ ჩხირის ფორმა და სხეულში შეიყვანებიან შარდსადენი არხით.

სუპოზიტორიების ფორმის მიმცემი ძირითადი საშუალებებია: კაკაოს ცხიმი (oleum Cacao), ჟელატინ-გლიცერინის ნარევი, სინთეტური პროდუქტები და სხვა ნივთიერებები.

4.სალბუნები-emplastra (emplastrum, i n)

ეს სამკურნალწამლო ფორმა ინიშნება გარეგანი ხმარებისათვის. სალბუნები ოთახის ტემპერატურაზე მყარია, სხეულის ტემპერატურაზე კი - რბილი, რის გამოც ადვილად ეწებება კანს. არსებობს წასასმელი და არაწასასმელი სალბუნები. სამკურნალწამლო ნივთიერებებთან ერთად თხელ ფენად ესმება ფორმის მიმნიჭებელი საშუალებანი - ცხიმი, ცვილი, კაუჩუკი, სკიპიდარი და სხვა. მეორე სახის სალბუში კი მზადდება მკვრივი მასის სახით, რომელსაც ავადმყოფი თავად უსვამს ქსოვილზე.

5.პასტები-pastae (pasta, ae f)

პასტა არის ძალიან სქელი მალამო, რომელიც გამოიყენება გარეგანი ხმარებისათვის. პასტების დასამზადებლად იყენებენ იმავე ფორმის მიმნიჭებელ ფუძეს, რითაც ამზადებენ მალამოებს, საჭირო კონსისტენციის მისაღებად კი ხშირად უმატებენ ტალკს (talcum, i n), ხორბლის სახამებელს (amylum Tritici), თეთრ თიხას (bolus alba), თუთიის ჟანგს (Zinci oxydum) და სხვა ნივთიერებებს.

თხიერი სამკურნალწამლო ფორმები

თხიერ სამკურნალწამლო ფორმებს მიეკუთვნება ხსნარები, გამონაცემები, ნახარშები, ნაყენები, ექსტრაქტები, ემულსიები, მიქსტურები, ლორწოები, სიროფები.

თხიერ სამკურნალწამლო ფორმათა ნაწილი გალენური და ნეოგალენური პრეპარატებია. მათი სახელწოდება დაკავშირებულია ცნობილი რომაელი ექიმის - გალენუსის სახელთან. გალენური პრეპარატები ოფიციალური სამკურნალწამლო ფორმებია. მათ ამზადებენ ფარმაცევტულ ქარხნებსა და ფაბრიკებში მცენარეული ნედლეულიდან მოქმედი ნივთიერებების (გლიკოზიდების, ალკალოიდების) გამოწვლილვის გზით. გამომწვლილველ საშუალებად გამოიყენება სპირტი, წყლიანი სპირტი, სპირტიანი ეთერი

და სხვა. გარდა გამოწვლილული მოქმედი ნივთიერებებისა გალენური პრეპარატები შეიცავენ მცირე რაოდენობით ბალასტურ ნივთიერებებსაც (ცილები, ლორწოები) გალენური პრეპარატებიდან უფრო ხშირად გამოიყენება ნაყენები და ექსტრაქტები.

ნეოგალენური პრეპარატები გამოიყენება ყველა სახის ინექციებისათვის. ზოგჯერ მათ ტაბლეტების სახითაც ამზადებენ შინაგანი ხმარებისათვის.

1.ხსნარები-solutiones (solutio, onis f)

ხსნარი გამჭვირვალე სითხეა, რომელიც მიიღება სამკურნალწამლო საშუალებების (მყარი, თხიერი) სრული გახსნით გამხსნელში. გამხსნელად გამოიყენება წყალი (aqua destillata), სპირტი (spiritus aethylicus), გლიცერინი (Glycerinum, i n), ვაზელინი (Vaselinum, i n), ზეითუნის ზეთი (Oleum Olivarum), ატმის ზეთი (Oleum Persicorum), აქედან გამომდინარე, ხსნარები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: წყლიანი (Solitiones aquosae ან უბრალოდ solutiones), სპირტიანი (solutiones spirituosae) და ზეთიანი (solutiones oleosae).

ხსნარები გამოიყენება გარეგანი და შინაგანი ხმარებისათვის (ad usum externum et internum), აგრეთვე პარენტერალური გადასხმებისათვის - კანქვეშ, კუნთებში, ვენებში. ბოლო შემთხვევაში აუცილებლად მიუთითებენ, რომ წამალი უნდა იყოს სტერილური და გაიცეს ამპულებში (im ampullis).

2. გამონაცემები და ნახარშები - infusa et decocta (infusum, i n; decoctum, i n)

ეს არის წყლიანი გამონაწვლილვები მცენარეული ნედლეულიდან ან სპეციალურად ამ მიზნით დამზადებული ექსტრაქტების (კონცენტრატების) წყლიანი ხსნარები. გამონაცემებისათვის გამოიყენება მცენარის რბილი ნაწილები - ბალახი (herba, ae f), ფოთლები (folium, i n) ყვავილები (flos. floris, m). ხოლო ნახარშებისათვის - უფრო მკვრივი, უხეში ნაწილები: ფესვები (radix, icis f), ფესურები (rhizoma, atis n), ქერქი (cortex, icis m). გამონაცემებს ადუღებენ 15 წუთის განმავლობაში. ნახარშებს კი - 30 წუთი. გამონაცემებს წურავენ ცივად (ცივი სახით), ნახარშებს კი - ცხლად.

3.ნაყენები-tincturae (tinctura, ae f)

ნაყენი არის შეფერილი სპირტიან-წყლიანი ან სპირტიან-ეთეროვანი სამკურნალწამლო ნივთიერების გამონაწვლილი.

მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ნედლეულიდან, ნაყენები

ძირითადად შინაგანი ხმარებისათვის გამოიყენება.

4. ექსტრაქტები-extracta (extractum, i n)

ექსტრაქტი არის კონცენტრირებული გამონაწველილი მცენარეული ნედლეულიდან. კონსისტენციის მიხედვით განასხვავებენ თხიერ ექსტრაქტს (extractum fluidum), სქელ (ბლანგ) ექსტრაქტს (extractum spissum) მშრალ ექსტრაქტს (extractum siccum).

5. ემულსიები შინაგანი ხმარებისათვის (emulsa ad usum internum, emulsum, i n)

ემულსია არის თხიერი სამკურნალწამლო ფორმა, რომელიც გამოიყენება შინაგანი ხმარებისათვის და გარეგნული ფორმით ძლიერ წააგავს რძეს. ემულსია წარმოიქმნება წყლის შერევით წყალში უხსნად სითხეებთან - ცხიმებთან, ზეთებთან, ბალზამებთან. არსებობს ზეთოვანი (emulsa ex oleis) და თესლიანი (emulsa ex seminibus) ემულსიები.

6. ლორწოები-mucilagines (mucilago, inis f)

ლორწო არის სქელი სითხე, რომელიც მიიღება ლორწოვანი ნივთიერებების შემცველი მცენარეებისაგან, როგორებიცაა: სელის თესლი (semen Lini), სალეპის ბოლქვი (tuber Salep), სახამებელი ან თავისთავად ლორწოვანი ნივთიერებებისაგან, როგორიცაა: არავიული გუმფისი (gummi arabicum) და სხვა. ლორწოებს ხშირად უმატებენ დამანგრეველი მოქმედების წამლებს, რადგან ისინი ლორწოვან გარსს ფარავენ თხელი ფენით და იცავენ მას შეყვანილი წამლის დამანგრეველი მოქმედებისაგან. ლორწოები აგრეთვე ზღუდავენ სამკურნალწამლო ნივთიერებების შეწოვის სისწრაფეს. ჩვეულებრივ ლორწოები შეყავთ პირით (per os) ან ოყნის საშუალებით, სწორი ნაწლავით (per rectum).

7. მიქსტურები-mixturae (mixtura, ae f)

მიქსტურა არის სითხე, რომელიც მიიღება რამდენიმე სამკურნალწამლო ფორმის შერევით: მაგალითად, სითხეებისა და ექსტრაქტების ან ნახარშების, ნაყენების და სხვადასხვა მარილების. მიქსტურები იყოფა რამდენიმე ჯგუფად (სახეობად); განჭვირვალე (mixturae limpidae), დაბურული (ამღვრეული) (mixturae turbidae), შესანჯღრევი (mixturae agitandae).

&სიროფები-sirupi (sirupus, i m)

სიროფი არის სქელი გამჭვირვალე სითხე, მისი შემადგენელი ნივთიერებებისთვის დამახასიათებელი სუნითა და გემოთი. სიროფები ფართოდ გამოიყენება მიქსტურებში, გამონაცემებში, ნახარშებში, როგორც remedium corrigens, ამ მიზნით ხშირად იყენებენ ალუბლის სიროფს - sirupus Cerasi, ოლოს ფიროფს - sirupus Rubi idaei, უბრალო შაქრის სიროფს - sirupus simplex. ბევრი სიროფი, რომელიც შეიცავს სამკურნალო ნივთიერებებს, ახდენს გარკვეულ მოქმედებას. მაგალითად, რევანდის სიროფი (sirupus Rhei) - შემასუსტებელი (კუჭში გამხსნელი) საშუალებაა, ხოლო იპეკაკუანის სიროფი (sirupus Ipecacuanhae) - ამოსახველებელია.

სავარჯიშო:

I. წაიკითხეთ, თარგმნეთ:

1. Rp.: Ronidasi 5,0
   Da. Signa:
   Da. Signa:
   #
2. Rp.: Oxytocini 1 ml
   Da in ampullis numero 6
   numero 20
   Signa:
   #
3. Rp.: Mezidoli 1 ml
   Da in ampullis
   Signa:
   #
4. Rp.: Retandroli 1 ml
   Da in ampullis numero 6
   Signa:
   #
5. Rp.: Aristococti o,002
   Da numero 20 in tabulettis
   Signa:
   #
6. Rp.: CyClobarbitali 0,2
   Da numero 20 in tabulettis
   Signa:
   #
7. Rp.: Tabulettas Aminazini 0, 25
   numero 10
   Da. Signa:
   #
8. Rp.:Tabulettas Diiodthyrosis
   0,05 numero 20
   Da. Signa:
   #
9. Rp.: Suppositoria "Anaesthesoilum"
   numero 20
   Da. Signa:
   #
10. Rp.: Dragee Riboflavini 0,05
    Da numero 30
    Misce.
    Da. Signa:
    #
11. Rp.: Dragees Padutini numero 30
    Da. Signa:
    #
12. Rp.: Guttarum Inosemzovi 20 ml
    Da. Signa:
    #
13. Rp. Suppositoria cum
    Theophyllino 0,2
    numero 20
    Da. Signa:
    #

14. Rp.: Emulsi Synthomycini 10% 50,0
Da. Signa:
#

15. Rp.: Oxacillini-Natrii 0,25
Da numero 40 in capsulis gelatinosis
Da. Signa:
#

16. Rp.: Foliurum Sennae 10,0
Da in sacculis chartaceis
Da. Signa:
#

17. Rp.: Emulsi olei Ricini 180,0
Sirupi Sacchari ad 200,0
Misce. Da.
Signa:
#

18. Rp.: Exctracti Aloes 1, 0
Da. Signa.
#

19. Rp.: Solutionis Chlorali hydratis 1,0–200 ml
Mucilaginis amyli Tritici 30,0
Da. Signa:
#

20. Rp.: Hirudines medicatas numero 6
Da. Signa:
#

II. თარგმნეთ ლათინურად:

1. აიღე: ქაცვის ზეთის 100 გ
გაეცი. აღუნიშნე:
#

2. აიღე: ვიკალინის ტაბლეტები რიცხვით 100
გაეცი. აღუნიშნე:
#

3. აიღე: ტაბლეტები "ალოხოლი" რიცხვით 50
გაეცი. აღუნიშნე:

4. აიღე: ვაზელინის ზეთის 100 გ
ბაღის პიტნის ზეთის 2 წვ
გაეცი. აღუნიშნე:
#

5. აიღე: ჭინჭრის ფოთლების გამონაცემის 15 გ : 200 მლ
გაეცი. აღუნიშნე:
#

6. აიღე: ფურაცილინის 2% მალამოს 25 გ
გაეცი. აღუნიშნე:
#

7. აიღე: რუტინის ტაბლეტები 2 დგ რიცხვით 50
გაეცი. აღუნიშნე:
#

8. აიღე: სანთლები დიგიტოქსინთან ერთად 15 დგ რიცხვით 10
გაეცი. აღუნიშნე:
#

9. აიღე: ბრომიზოვალის 3 დგ
ამიდოპირინის 25 დგ
გაეცი. აღუნიშნე:
#

10.აიღე: ფურაცილინის ტაბლეტები 0,1 რიცხვით 20
გაეცი. აღუნიშნე:
#

11.აიღე: სულფადიმეზინის ტაბლეტები 0,5 რიცხვით 20
